XII

# კარი მეთორმეტე

# ქუჩუკ ყარამანიანი

სპარსულიდამ ქართულად ნათარგმნი, სახლთ-ხუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან. „საამოთ სასმენელი“.

გამოცემა მეორე.

გამოცემული დ. ლაზარევის-მიერ.

ტფილისი

მსწრაფლ-მბეჭდავი „ძმობისა“, მოსკოვის ქუჩა № 5.

1908.

# შინა-არსი:

აქ ორთავ მხრის ძლიერი ომი და სისხლის ღვრა.—აქ ბაყბაყ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ ჭუჩუკის ამბავი და გამარჯვება მოიხსენიეთ.—აქ ბაყბაყ-დევის ამბავი.—აქ დიდი ომი და გარდაწყვეტა, სააბყირანისა და ბაყბაყ-დევისა.—აქ ფარვან-დევისაგან, ზორაბ-შაჰისაგან, ზორაბ-დევისაგან, სარვიხუ-რამანისაგან, უსნიარასაგან, ბულიჯანისაგან, რუიზანისაგან და სხვათა დევთა სარდლებისაგან. თეთრი დევის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ დიდი ომი ბაყბაყ-დევისა და ჭუჩუკისა.—აქ ბაყბაყ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.—კვალად ბაყბაყ-დევის ამბავი.—აქ დევნი ფიქრში დატოვება.—აქ ჭუჩუკისა და ქალების ამბავი მოიხსენიეთ.—აქ ყოვლიბანისა, ხოსროვშირისა, ნარიმანისა, ყათრანისა და ბა-რამ-ჯიბილის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ ბაყბაყ-დევის შეკვრა და ჭუჩუკისაგან შეპყრობა.—აქ ჭუჩუკისაგან ღვთის ვედრება.—აქ ფარვან-დევისა და თეთრი-დევის ამბავი.—აქ ფარვან-დევისაგან წიგნის წაღება და თეთრი დევის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ ფარვან-დევის შესვენება.—აქ ფარვან-დევის და თავის სარდლების დევებისა მოიხსენიეთ.—აქ თეთრი-დევისა და ახირ-ჯადოს ამბავი.—აქ არდევან-შაჰის წიგნის მიწერა, თეთრ-დევთან შემდგომ სიტყვებით.—აქ ახირ-ჯადოს, თეთრი-დევისაკენ გამგზავრება.—აქავ ჭუჩუკისა და ბაყბაყ-დევის საუბარი და არდევან-შაჰისაგან, ჭუჩუკისაგან, სიმრუღისაგან, ბაყბაყ-დევის ლაპარაკი და დამორჩილება ზემდეგ მის განთავისუფლება.—აქ აფთარ-ჯადოს და ფარვან-დევის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ თეთრი-დევის ამბავი.



# XII

# კარი მეთორმეტე

# ქუჩუკ ყარამანიანი

(გაგრძელება მეთერთმეტე კარის, ქუჩუკ-ყარამანიანისა).

## აქ ორთავ მხრის ომი ძლიერი და სისხლის ღვრა.

Აგრეთვე სთხოვა როგორც სხვა ფალევნებს, ისე სიმრუღ-ფრინველსაც: „ფრინველთა ხელმწიფევ! თქვენცა გთხოვთ რომ შვიდთა იყლიმის მპყრობელ ჩვენ ხელმწიფე არდევან-შაჰსას არ მოშორდეთ" და თუ ნახოთ რომ თქვენი მოხმარება ჩვენთვისაც საჭირო იქნეს, დაუყოვნებლივ მოგვეხმარეთ. მაშინვე ყოველნი თავის დარიგებისამებრ განაწესა და თვითონ გამობრუნდა ხალვათში შევიდა, დაიჩოქა და ცხარის ცრემლით და მოწიწებით ღმერთს შევევედრა და სთხოვა: „ჰოი, ცისა და ქვეყნის გამჩენო, ნუ გაახარებ ჩვენზედ ჩვენ მტერს, ყოველნი შენი მონანი ვართ, უსჯულოს გულისას ნუ გაგვხდი". თითქმის ორ ჟამამდე ცხარის ცრემლით ევედრებოდა უფალს. შემდეგ ადგა და გამოვიდა, მივიდა თავის სარდლებთან და უბრძანა: „ჰეი, სარდალნო და ფალევანნო! დღეს ის დღე ჩვენთვის რომ ან ჩვენი აღსასრული უნდა იყოს ან აღდგენა ჩვენი დროშისა". ახსენეთ ღმერთი ყოველმა და შეუტიეთ! მაშინვე თავის იარაღი მოითხოვა, შუბებიანი ჯაჭვი ჩაიცვა თილიასმუამი წელს შემოირტყა, გურზი ხელთ იპყრა, ფარი მხარს გადიგდო და მშვილდ-ისარი მოიმარჯვა, გაბრუნდა და თავის საყვარელ სამსურ ცხენს ორსავ თვალებში აკოცა და უთხრა: ჰეი, საყვარელო ჩემო და გაჭირვებიდამ მხსნელო! დღეს ისეთი ომი უნდა გადაიხადო რომ ჩემ დღეში არ მენახოს შენგან. დღეს ან ჩვენ უნდა ვიყვნეთ ან ისინი. აბა შენ იცი და შენმა ღმერთმა. ქუჩუკის თხოვნაზე ერთი ასეთი შეჰყვირა რომ ამას

იტყოდა კაცი ცა ქვეყანას დაეცაო. ამის ხმა ყარამანის შეშფაიბარს მიესმა რომელიც სარვიხურამანს ახლდა; იმანაც იქიდამ თორმეტნაირი ხმები აღმოუტევა ისე რომ იქაურობა შეიძრა. იქით მხრიდამ ბაუბაუ-დევს შეესმა ეს ხმები და თავის სარდლებს ჰკითხა: დევნო ეს რა ხმები იყოვო? მოახსენეს: დევთა ხელმწიფევ, ქუჩუკის ცხენის ხმა იყოვო—და ერთიც იმისთანა მხეცი იქით ქალთა ჯარშია, იმაზედაც ერთი ქალთა ფალევანი მხედრობს და ის მეორე ხმაც იმისი იყოვო. აქეთ მხარეს ქუჩუკმა თავის სარდლებს თავი დაუკრა და ხელმწიფე არდევან შაჰს გამოეთხოვა. მაშინ არდევან-შაჰმა დალოცა: წარვედ და ღმერთი იყოს შენი შემწე და მშველელი, ჩვენგან შეყვარებულის ღვთისათვის მიმიბარებიხარ. ქუჩუკის ერთგულნი ფაშკუნჯი და ფარვან-დევი იმ ბილწის მოგონებით, ქუჩუკს რომ უყურებდნენ გულები უწუხდებოდათ და თავიანთშა ამბობდნენ, ამან იმის ლახტს როგორ უნდა გაუძლოსო? დიდათ სწუხდნენ.

მაშინვე ქუჩუკი მოედანს გავიდა, წინ გარდანქეშანი და ასიმი გაუძღვა და საომარს ადგილს გაიყვანეს. გარდანქეშანი და ასიმი გამობრუნდნენ და მორი-ახლო იმ უზარ-მაზარ დევს უყურებდნენ და ჰკვირობდნენ და ღმერთს მადლობას სწირავდნენ იმისთანის გაჩენისთვის. იმ დროს ერთი ცის ჭექასავით ხმა მოესმათ! ქუჩუკს შემოსძახა: ჰეი ფალევანო შენა ხარ ჩემი მებრძოლი? ქუჩუკმა ხმა არ გასცა და იმ დევის სიბილწეს უყურებდა სრულიად გულში შიში არ იქონია, მეორედ დაუძახა: ადამის შვილო და მიწით ნაშობო! მოდი დამიჯერე, ჩემი მონა შეიქმენ და ჩემი ღმერთი რაჯიბი იცან და ჩემ შვილათ აგიყვანო და მთელ ხმელეთის ხელმწიფობას შენ მოგცემო! ქუჩუკმა კვალად პასუხი არ გასცა მაგრამ ისეთი განრისხებული სახე დაედო რომ იმ ქუჩუკის განრისხებულ სახის მაყურებელი ბაუბაუ-დევი შეკრთა და თავის გუნებაში ჰკვირობდა და იძახდა მე ამისთანა ადამიანთ ფალევნის მნახველი არა ვარო. იმ ჟამად ქუჩუკის სამსურ ცხენმაც ისეთი მრისხანე და მტრული თვალით დაუწყო ბღვერა რომ უნდოდა ზედ შეჰფრენოდა, მაგრამ ქუჩუკის ბრძანებას ემორჩილებოდა. მაშინ ბაუბაუ-დევი ქუჩუკის უპასუხობაზედ ძლიერ გაცეცხლდა და მხეციდამ ჩამოხტა და მარჯვნივ ერთი დევთა ფალევანი იდგა, იმას უბრძანა: „წადი მსწრაფლ და ის მიწით შექმნილი ფალევანი აქ მომგვარეო!“ მაშინვე ბაუბაუ-დევს ხელს აკოცა და დიდათ გაამაყებული ქუჩუკისაკენ წამოვიდა: ეს დევი ბაუბაუ-დევის პირველი ფალევანი იყო თავის ჯარში. როდესაც ეს დევი მიუახლოვდა, ქუჩუკს შესძახა! შენ ვინა ხარ რომ ჩემის ხელმწიფის ბაუბაუ-დევის ომი გაბედეო! მაშინ როდესაც საჭმანმა ეს დევი დაინახა და მისგან ასეთი უკადრისი სიტყვები გაიგონა, გულმა ველარ მოუთმინა და საჭ-

მანი მოეჭრა და წინ გადუდგა, შესძახა! შე ძაღლო და უმსგავსო! შენი ომი მაგას არ ეკადრებათ. მაშინვე ხელი გაიკრა თავის ბასრ ნაჯახს და გაჯავრებული ისეთი შემოჰკრა რომ იგი ბილწი ამაყათ მოსული დევი შუაზედ გაწყვიტა, დაავლო ხელი და ნახევარი ბაყბაყ-დევს შესტყორცნა, გამობრუნდა და ქუჩუკს თავი დაუკრა და ფეხთა აკოცა, მოახსენა: სააბუირანო, გთხოვთ და გევედრებით რომ ეს ჩემი კადნიერება მომიტევოთ, იმის უმზგავს სიტყვებზედ გულმა ვეღარ მომითმინა. ამ ჟამად ქუჩუკი გადმოხტა სამსურ ცხენიდამ და ორსავ თვალებში აკოცა. მკითხველო საკვირველი ის არის რომ რათ სცემდნენ პატივს და რათ უყვარდათ ქუჩუკი, ყოველსა სულსა? იმისთვის თავიანთ თავს ჭირის სანაცვლოდ გასწირავდნენ ხოლმე, მართლაც რომ საყვარელიც იყო ყველასთვის, თავის სიმდაბლით. ქუჩუკმა საჭმანს დიდი მადლობა უბრძანა და ისევ თავის სამსურ ცხენზედ შეჯდა და საშინელის ხმით შესძახა! ჰეი! შე წყეულო და ბილწო რას უდგეხარ და მოედანს აციებ! შე განა შენი მონა უნდა შევიქმნა? და შენს წყეულ ეშმაკს თაყვანი უნდა ვსცე! მე შენ რაჯიბს არა ვცნობ. მე ვცნობ ჩემ საბაოთ ღმერთს. გამოდი და იმასაც ვნახავ რასაც შენი რაჯიბ ეშმაკი შეგეწევა და გიხსნის. მაშინ ბაყბაყ-დევი განრისხდა და წამოვიდა ისე როგორც დიდი მთა, ისეთი ლახტი ეჭირა რომ იმის გაძლება კაცთაგან შეუძლებელი იყო. ამ ჟამად წყეულმა ბაყბაყ-დევმა შესძახა! აბა თუ ხარ ჩემი მოპირდაპირე მანდ მოიცადე, რა ესე უთხრა, მაშინ თავის უშველებელი ლახტი ქუჩუკს შესტყორცნა. რა სამსურ ცხენმა ლახტი შემოტყორცნილი იხილა, ასეთი შეხტა მაღლა რომ ის ლახტი ფეხებ ქვეშ გაიტარა. ქუჩუკის უკან ზორაბ-დევის დევთა ჯარი იდგა, იმ მდგომარე დევთა ჯარს ეცა და სამასი ხვადი დევი გაიტანა და დახოცა. შემდეგ იგი ლახტი კლდეს ეცა და კლდე ჩამოანგრია, გურზი კლდეში დაიკარგა. ქუჩუკი მაშინვე ცხენთაგან გარდმოხტა და ერთი თავის პაპა ყარამანისეულად შესძახა და ღვთის სახელი ახსენა, თილიყამყამს ხელი მოივლო და იმ საშინელ დევს მიუხდა, რამდონსამე მწყრთაზე მაღლა შეხტა და შემოჰკრა, ერთი თავი და ხუთი ხელი მოსწყვიტა და ის ხელები დიდრონ ჭანდრის ხეებივით ძირს დაეცნენ. ამაზე ბაყბაყ-დევი გამწვავდა და ქუჩუკს ისეთი წიხლი ჰკრა რომ ას მწყრთაზე შორს გადააგდო და ქუჩუკი პირქვე დაეცა, ქარის უსწრაფესად წამოხტა და ერთი საშინელი ხმა აღმოუტევა, კვალად მიხდომას უპირებდა, მაშინ ქუჩუკის სამსურ ცხენმა თავი დაღუნა, გაექცა ქუჩუკს და იმ ბილწს ისეთი რქა აძგერა რომ თუმცა იალბუზის მთას მოხვედროდა იმასაც შუა გააპობდა, მაგრამ იმისმა რქამ იმ ბილწს ვერა დააკლორა, გამოტრიალდა და ბაყბაყის მხეცს მიუხტა, იქიდამაც ის მხეცი ეძგერა, ამ ორთა მხეცის

ომი ერთი საკვირველი წარმოდგენა იყო, მეტად უშველებელი დიდი მხეცი იყო და თავის სიდიდით ცქვიტად ვერ იქცეოდა, ქუჩუკის სამსურ ცხენი კი ისე ცქვიტად ქცეოდა და მშვენივრათ ეომებოდა რომ კაცს გაუკვირდებოდა, იმ უშველებელ მხეცის ბრძოლას ორივე მხრის ლაშქარი გაოცებული უყურებდნენ და ჰკვირობდნენ. ამ დროს ქუჩუკის ცხენმა კუდი მაღლა აიწია და ერთი საშინლად დაიღრიალა და თავდაღუნული მივარდა, ფერდში ისეთი რქა ჰკრა რომ იქით მხარეს გაუტარა, მსწრაფად გამოაძრო და ახლა მეორე მხარეს აძგერა, წინა ფეხებით დაიჩოქა და ეს ამოდენა მთის ოდენა მხეცი ასწია ხვახვინით და თამაშობით ქუჩუკთან მიატანა და ქვეყანას დასცა, გატრიალდა და საშინლად თავი გაიქნია, გამობრუნდა კვალად რქა აძგერა ასწია და ბაყბაყ-დევის ლაშქრისაკენ გასტყორცნა, მხეცი ლაშქარს ეცა, მხეცის სიმძიმემ ასი დევი გაიტანა და დახოცა. მაშინ ქუჩუკის მხრას ლაშქართაგან, შაბაშ, შაბაშის ხმა გაამრავლეს, ისე რომ იმათი ყვირილისაგან ქვეყანა ირყეოდა.

ამ დროს ბაყბაყ-დევმა თავის მხეცის საკვდილი დიდათ ითაკილა, აგრეთვე თავის თავისა და ხელების მოწყვეტა იჯავრა. მაშინ ერთ საშინლად დაიღრიალა და საგდებელი შესტყორცნა ქუჩუკს და წელში მოზდო, ქუჩუკმა მაშინვე ხმალს ხელი გაიკრა, მოინდომა საგდებლის გაწყვეტა, მაგრამ ვეღარ მოასწრო და როგორც ჩიტი, იმ წყეულმა ისე გაიტაცა და ზედ მიიკრა და მოუჭირა უშველებელი მკლავებით, მაშინ ქუჩუკმა თავის თილიყამყამი გვერდში აძგერა და ქუჩუკის შუბებიან ჯავშანმაც ძლიერ შეაწუხა ბაყბაყ-დევი; შემდეგ რომ ვერაფერი გააწყო თავი ანება ამ ბილწმა და გაჯავრებული კვალად წიხლი აძგერა ქუჩუკს და კინაღამ მოკლა—და გულადმა დაეცა, მაგრამ საჩქაროდ წამოხტა, მარჯვენა ხელი მარცხენას შემოივლო და მარცხენა მარჯვენას, ზეით აიხედა და ასეთი ყარამანისეული ნარა გასწია რომ ის არე-მარე დაიძრა იმის ხმისაგან, ბაყბაყ-დევმა იმის ხმისაგან გაშტერებულმა აქა იქ ყრრება დაიწყო და ასეთი ხმა ზეციდამ მეხის ხმად მიაჩნდა, თავის დევნი და დევთა სარდალნი უგონოთ შეიქმნენ ამ ხმის შიშით, ვიდრე ბაყბაყ-დევი გონზე მოვიდოდა, ყარყუნ-შაჰის გურზი წელთაგან ბუდით ამოიღო, ორსავე ხელით იპყრა, გააქანა და მეიდნის ოდენა გულში ისე დასცა რომ ეს უშველებელი დევი პირქვე დაეცა და იმის დაცემაზედ მიწა შეიძრა, უნდოდა რომ მეორეც დაეკრა, მაშინ იმოდენა დევთა ლაშქარმა კიჟინა დასცეს და შემოუტიეს და ბაყბაყ-დევი გაიტაცეს. ჭაურიდამ ფაშკუნჯმა და ფარვან-დევმა გაიხარეს და ყვირილი დაიწყეს შაბაშ შაბაშის თქმით! შაბაშ შენს მამაცობას სააპყირანო! მაშინ დაერივნენ ეს ამოდენა ზღვის ოდენა ჯარი ერთმანერთს და ისეთი ომი შეიქმნა რომ მეო-

რეთ მოსვლას ემზგავსებოდა, ქურუკს დაესივნენ ეს ამოდენა დევთა ჯარი და გარს შემოერტყნენ, ქურუკმა მიიხედა ნახა რომ საჭმან-ადამზადი თავის ამხანაგებით, გარდანქეშან, ასიმ და კოჭლი დევი, იქ ახლოს იყვნენ და გვერდს უნახავდნენ, სხვანი კი სულ დევთა დარეოდნენ და უწყალოდ ხოცავდნენ, მაშინვე ქურუკმა ხმა უყო, აბა ფალევანნო მომყევით! ამათაც ერთმანერთს ხმა მისცეს და შეუტიეს, მეორე მხრიდამაც ყოვლიბან-შირვანმა და ხოსროვძიჩმა შემოუტიეს, ერთ მხარესაც ნარიმანმა, ყათრანმა და ბარამ-ჯიბილმა, შუა მხრიდამაც ანყაბუზ-ნარა-დევმა, ქაბუნარა-დევმა, ანბირ და ზანგ-დევმა და ეს ამოდენა ბაყბაყ-დევის ჯარები შეაყენეს და უწყალოდ ხოცვა დაუწყეს, მაშინ ერთ მხრიდამაც შავი-დევი, ხაზარან-დევი, შაქუტ-დევი, საყანჩუნ-დევი და არჯავ-დევები წამოვიდნენ და ისეთი უშველებელი ომი შეიქმნა რომ მეორეთ მოსვლას ემზგავსებოდა. გამაატრიალეს ქურუკის ჯარი და სადაც ქურუკი ომობდა იქ მორეკეს; და მაშინ ბაყბაყ-დევის სარდლებმა დიდი ბრძოლა გარდაიხადეს — და ერთიანად სულ ქურუკს მოაყარეს.

## აქ ბაყბაყ-დევის ამბავი მოისმენიეთ.

რა ბაყბაყ-დევი ესე უშველებელი გონებას მოეგო, ქურეკის ნაკრავიდგან, მაშინ ბრძანა: დევნო, მე რა დამმართებია? ჩემი ერთი თავი და ხელები სად არიანო? როგორც საქმე მომხდარიყო ყოველივე მოახსენეს. მაშინ ერთი საშინელი გრგვნა დაიწყო — აიღო სხვა იმაზე უდიდესი ლახტი და წამოვიდა — იკითხა: ახლა სად არის ის მიწისგან შექმნილი? რომ ჩემი მკლავების მოწყვეტა შევანანიო; მაშინ მოახსენეს: ჭეი დევთა ხელმწიფევ, ჩვენი შვიდასი ათასი დევი აირივნენ იმათ ლაშქარში და დიდი ბრძოლა აქვსთ, ის ვიდაც ქურუკია, თითოს ასეთს ნარას სწევს რომ იმოდენა დევთა ჯარი სულ ერთმანერთს ეცემიან; ვისაც ხმალსა სცემს შუაზე სწყვეტავს და თვითონ მარტოა და თავისი მხეცი თან ახლავსო, იმ მხეცმა თითქმის ჩვენი ხუთასი ხვადი დევი დაგვიხოცა, მერე მეორე მხარეს შეუტია, იქითაც ისეთი დღე დაყენა.

რა ბაყბაყ-დევმა ესე შეისმინა გაცოფებული წამოვიდა — და თავის ლაშქარში მოვიდა. ნახა რომ, ქურუკი ხმალი ხელში დარევია დევთა ჯარს და უწყალოთ ჟლეტავს. ას ათას დევს ქურუკი ქამანდში ჩაუგდიათ და ეწევიან. ამ დროს ქურუკმა ერთი მაღალის ხმით შესძახა და ალყები ერთად მოკრიბა და ძლიერად გამოსწია და ეს ამოდენა მოლაშქრე დევები პირქვე დაყარა, თიღიყამყამს ხელი გაიკრა და უწყალოდ ხოცვა დაუწყო. მაშინ ბაყბაყ-დევმა ამის მხილველმა ერთი საშინელი დაიღრიალა და ხმა მისცა!

არიქმნა დევნო, ეგ არ გაუშვათ! მაშინ მეორეთ გადააყარეს ქამანდები და ერთ ალაგას შეაყენეს და შეაწუხეს ძლიერ და თავისი თავის იმედისაგან ხელი აიღო. აიხედა მაღლა და სთქვა: საბაოთ ღმერთო, შენ მიხსენ! და ერთი საშინელი ნარა გასწია, ამ ნარის ხმაზედ, ყოვლიბასმა, ხოსროყშირმა, ნარიმანმა, ყათრანმა და ბარამჯიბილმა თვალი მოავლეს აქეთ იქით მაგრამ ქუჩუკი ვერ იხილეს, მაშინ იფიქრეს უთუოდ მტრის ჯარი შემოხვევიათ და იმის ხმა იქიდამ იყოვო და ის წყეული ბაყბაყ-დევიც უეჭველად იქ იქნებაო და ეტყობა რომ საქმე გასჭირებია ქუჩუკს. ამ დროს დასცეს კიყინა და დაერივნენ თითონ და თავიანთ ლაშქარი, ერთ მხარესაც აფთარზანგი და ამბირ-დევი, ოთხკუთხივ რაც ქუჩუკს ჯარი ჰყვანდა ყველამ ქუჩუკს დაუწყო ძებნა, გვალად ქუჩუკის ხმა მოესმათ და მიატანეს კიდეც, მაშინ ხმალ მოწდომით დაერივნენ, მაგრამ მტრის სიმრავლისაგან ვერ მივიდნენ ახლოს, ამ დროს ახლა ქალთა ჯარმა დასცეს კიყინა, ქუჩუკისათვის თავგანწირულნი, ისე მსწრაფად წამოვიდნენ რომ იმათი ზახილის ხმებმა ქვეყანა მოიცვა, იმ დროს სამსურ ცხენი გაცხარებული და გამძვინვარებული თავის პატრონ ქუჩუკს დაეძებდა და დევთა ჯარში დაერეოდა, და უწყალოდ ხოცდა, მაშინ ჰაერიდამ სიმრუდმა და ფარვან-დევმა რა ქუჩუკის ესეთი გაჭირვება იხილეს, თქვეს აბა ამისი გვეფიქრებოდა რომ ახლა ქუჩუკის მდგომარეობა საუთოვოა. ამ ჟამად არდევან-შაჰამ ბრძანა: არიქნა უნდა უშველოთო! მაშინ მოახსენეს: ხელმწიფეო იმათ ჯართა სიმრავლისაგან ჩვენი ჯარი ვერ მისდგომია და უწყალოდ მტრებს ხოცავენ, მაგრამ ჯერ ქუჩუკისთვის ვერ მიუხწევიათ. საუბედუროთ ბაყბაყ-დევმაც თავის საგდებელი ესროლა და წელში ჩაუგდო, გასწია მაგრამ ღვთის ძალით ქუჩუკის გურზმა გაწყვიტა და განთავისუფლდა. ამ დროს ერთი საშინლად შესძახა და ზეცას შეხედა, მაშინ სიმრუდი და ფარვან-დევი მსწრაფად გამოექანნენ ზევიდამ მისაშველებლად, ამ დროს სხვათა ფალევანთა შეატყობინეს რომ ქუჩუკი დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი და მიეშველეთო! ამ დროს რა ისმინეს ქუჩუკის იმ გვარი შეზღუდვა, მაშინვე ყველა ფალევანი მიისწრაფოდა ქუჩუკის მიდამოს მისაშველებლად.

აქედამ რა ქალთა ლაშქარს მიესმათ ქუჩუკის გაჭირვების ამბავი მაშინვე დარაზმდნენ ყოველნი: რუიზან-ნარა წინ გამოუძღვა თავის ქალთა რაზმს და სისწრაფით ძლივს მიეხწივნენ. ამ დროს რუიზან-ნარამ შეხედა ნახა რომ სამსურ ცხენიც გაგიჟებული დაეძებდა ქუჩუკს. მაშინ გულიჯანიც რუიზანთან იყო, ქუჩუკის ცხენმა შენიშნა რომ რუიზანი და გულიჯანი ქუჩუკს ეძებენ, მოვიდა წინ მორჩილად თავი დაღუნა და ეს ორივ ქალები ზედ შეისვა და ისე გაფრინდა ვითა მერანი. ვიდრე სხვა გმირნი მივი-

ლოდნენ, ესენი მივიდნენ. ამათ ნახეს რომ ძლიერ გაჭირვებაშია ქუჩუკი, ისე რომ არაოდეს არ ყოფილა ამისთანა განსაცდელში. ამ დროს სამსურ ცხენმა დიდი მხნეობა გამოიჩინა, როგორც რომ ქუჩუკს მიუახლოვდა და გაჭირვებაში ნახა, ქალებიც გადმოხტნენ, მაშინვე კიჟინა დასცეს ერთობ და ხმებს ხელნი გაიკრეს, ამ ორთა გმირმა ქალებმა—და მიუხდნენ სულ ხოცვით და ჟლეტით, სადაც ქუჩუკი ჰყავდათ შეყენებული, აგრეთვე სამსურ ცხენმა და ხუთმა გმირმა რომელიც ჰაერით ჩამოვიდნენ, ყოვლიბან-შირვანი, ხოსროვშირი, ნარიმანი, ყათრანი და ბარამ-ჯიბილი, ამათთან საჭმან-ადამზადი, ზორაბ-დევი, ზორაბ-შაჰა, მათუზ-დევი. ესენი ყველანი მიეშველნენ და დიდი საზარელი ხმა აღმოუტევეს და რომლებსაც ქამანდებში ეჭირათ იმათ მიუხდნენ და სულ ერთმანერთსა ჰკრეს და მრავალი დახოცეს, ისეთი ბრძოლა ასტეხეს რომ ამათი ლახტ-გურზის რახი-რუხი გრგვნათისმოდა, რომელსაც ხმალსა სცემდნენ, კაცსა და ცხენს შუა სწყვეტდნენ, ვისაც თავში გურზსა სცემდნენ, ძვალი და ტვინი ერთმანერთს აერეოდათ, საითაც შეუტევდნენ ეს ხუთნი გმირნი, გაცოფებულნი ერთმანერთში აურევდნენ, კაცს ეგონებოდა დევთა სამფლობელო სულ უნდა აოხრონო. მეორე მხარეს რუიზანი და გულიჯანი მამაცათ იბრძოდნენ. ამ დროს ქუჩუკმა შეხედა ნახა რომ თავის ერთგულნი გმირთა-გმირნი ფალევანნი და მამა ნარიმანი, მათთან თავის საყვარელი რუიზანი და გულიჯანი, ხლმებ მოწვდილნი, დევთა დარევიან და სახსენებელს უქრობენ, თავის სამსურ ცხენი ხომ უარესად იბრძვის პირ დაღებული. ამათთან თავისი ერთგულნი ამხანაგნი, ზორაბ-შაჰა, ზორაბ-დევი და თავისი საკუთარი კოჭლი-დევი. რა რომ ეს თავისნი ერთგულნი შემწენი ქუჩუკმა დაინახა, გული ერთი ათასად შეექმნა. ამ დროს ქუჩუკმა ერთი ნარა გასწია და თავის პაპისეული თილიყამყამი ამოახლინა და შეუტია, მარცხენა მხრიდამაც სარვიხურამანმა, გულჩინმა და თავის დედა უსნიარამ, გააპეს ის იმოდენა ზღვა ჯარი და სულ ხოცვით შემოვიდნენ შუა მტრის ჯარში. ისეთი სისხლის ღვრა გაჩნდა რომ მდინარე წყალსა ჰგავდა. ერთ მხრიდამაც ამბირ და ზანგ-დევი და სხვანი ისე რომ ღვთის რისხვა დასცეს მათ თავზე, ისე რომ იმისთანა ომი და სისხლის ღვრა არც ყარამანის დროს მომხდარა. ქუჩუკმა რომ თავის სარდლები სულ თავისთან იხილა ღმერთს მადლობა შესწირა. ამათობაში ბინდმაც მოატანა და გასაყარს ნაღარასა ჰკრეს და ორსავე მხრის ლაშქარი თავთავის ბინაზედ მივიდნენ. საომარი იარაღი მოიხსნეს და სალხინო ჩაიცვეს, დასხდნენ და უცხოთ შეექცნენ, დიდი მეჯლისი გამართეს. ამ მეჯლისის დროს სარვიხურამანი და უსნიარა ორნივ მშობლები ქუჩუკთან მოვიდნენ, მოეხვივნენ და სიყვარულის სურვილით ლოშნიდნენ და იმის-

თანა გაჭირვებიდამ მორჩენისათვის დიდხანამდინ ეხვეოდნენ და ეტრფიალებოდნენ, აგრეთვე თავის საყვარელი რუიზანა გვერდიდან აღარ შორდებოდა, მაშინ ქურუკმა უთხრა გულიჯანს და რუიზანას, ბარაქალა თქვენს მამაცობასა, რომ იმისთანა გაჭირვებაში მომეხმარეთო, აგრეთვე თავის ერთგულთა შემწეთა და გმირთა ფალევანთა: მადლობა უძღვნა და დევთა სარდლებისა ყოველსა და შექცევას და მხიარულებას მიჰყვნენ.

## ესენი ამ შექცევაში დაუტეოთ და ბაუბაუ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

რა დროსაც ბაუბაუ-დევი ომიდამ გაბრუნდა თავის სარდლებით, მაშინვე საომარი იარაღი აიხსნეს და სალხინოთი შეიმოსნენ და ლხინი გამართეს და შექცევას მიჰყვნენ. მაშინ შავმა დევმა მოახსენა: დევთა ხელმწიფევ! მე უნდა მოგახსენოთ რომ, მე იმათთანა ფალევანნი არსად მინახავსო, არც დაბადებულა, არც თუ დაიბადება. მაშინ ბაუბაუ-დევმა ბრძანა: მე ამას ვფიქრობდი რომ მთელი ქვეყანა ხელთ დამეპყრა ჩემის ძლიერებით და ჩემის სარდლების შემწეობით, თუ რომ მცოდნოდა ქურუკ-ყარამანი ესეთი ძლიერი იქნებოდა, მე ოკეანეს ზღვიდამ თავსაც არ ამოვყოფდიო, მეტადრე ის ხუთნი ადამთა მონათესავე ფალევანნი, ყოვლიბან-შირვანი, ხოსროვშირი, ნარიმანი, უათრანი და ბარამჯიბილი, ეს ხუთნი მთელ დევთა ქვეყანას ამოაგდებენო. საკვირველი ის არის რომ იმ ფალევნებზე უარესი მხეცია! ნეტა სად უშოვია და ან როგორ გაუწვრთნია! აგრეთვე იმათი ქალთა რაზმის ფალევნები, ისინი ხომ უარესნი არიან! ახლა ნამუსისათვის ვეღარა მიქნია რა, თორემ წაუსვლელი არ დავდგებოდი, მაგრამ მე რომ აქედამ სიცოცხლით დამარცხებული წავიდე, სადღა უნდა გამოვჩნდე!? ეს იმის ასეთი მწუხარებით ლაპარაკი ეშმაკს სულ ეყურებოდა და ამბობდა: ბარაქალა ქურუკ-ყარამან რომ ასეთი მძლავრი დევი ესე შეგიშინებიათ. მაშინ შავმა-დევმა და ხაზარან-დევმა მოახსენეს, ჩვენ ცოცხალნი დამარცხებულნი აქედამ დაბრუნებულნი, სიკვდილი გვირჩევნიათ. მხოლოდ ჩვენი ერთად ერთი იმედი რაჯიბის შემწეობაა, ხვალ ჩვენ დავამარცხებთო.

მეორე დღისთვის მზადება დაიწყეს და დიდ სამზადისს შეუდგნენ. ამ დროს აფთარ-ზანგი ფარულად ამათში ყოფილიყო და ეს ამათი განზრახვა და მეორე დღის ომის მზადება ყოველივე შეეტყო, შემდეგ მოვიდა ქურუკსა და ნარიმანს მოახსენა და აგრეთვე ფალევანთა. როცა ამათ ესე მოისმინეს ამათაც დიდი სამზადისი იწყეს და სახვალიოთ მზადება. რა

დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თავის სხივები ქვეყანას მოჰფინა, მაშინ ორსავე მხრის ლაშქარნი დარაზმდნენ და საომარს ბუკს შეჰბერეს და ყოველნი საომრათ მოემზადნენ. მაშინ ბაუბაუ-დევი დიდის საომრის იარაღით გამოვიდა და თავის ჯარებს აწყობდა და ყოველთა ფალევანთა უბრძანა დარაზმულიყვნენ.

## ესენი ამ მზადებაში დაუტეოთ და არდევან-შაჰასთან და ქურუკთან მოვიდეთ.

რა დილა გათენდა ყოველივე სარდლები მოვიდნენ ქურუკთან და სალამი უძღვნეს, მაშინ ქურუკმა უბრძანა: გარდასქეშან აიართა სარდალო! წადი და შვიდის ეულიმის ხელმწიფეს მოახსენე, ჩვენი იმასთან ხლებაო. მაშინვე წავიდა და სასახლეში შევიდა, არდევან-შაჰს სალამი ჰკადრა და მოახსენა: ხელმწიფეო! სააპჳირანი ქურუკი და ფალევანნი თქვენ სალამში გიახლნენო და თქვენს ნახვას ისურვებენო; მაშინვე წარმოდგა ხელმწიფე არდევან-შაჰა და მოეგება ქურუკს და პირსა აკოცა, აგრეთვე ყოვლიბან-შირვანს, ხოსროვშირს, ნარიმანს, ყათრანს და ბარამ-ჯიბილს მიესალმა, აგრეთვე ზორაბ-შაჰას, ფაშკუნჯსა და ფარვან-დევსა და სხვათა ყოველსა. შემდეგ შევიდნენ და დასხდნენ, უცხოთ იმუსაიფეს და მეჯლისი გამართეს. როდესაც ლხინს სასიამოვნოდ მობეზდნენ მაშინ მოსვენებას მიეცნენ.

## აქ დიდი ომი და გარდაწყვეტა სააპჳირანისა და ბაუბაუ-დევისა.—შეპყრობა ყოვლიბანისაგან შავი-დევისა და სიკვდილი დიდის ბრძოლით.—ხოსროვშირისა და ხაზარან-დევის ომი და ხოსროვშირისაგან მისი შეპყრობა. ნარიმანისა და არჯავ-დევის ომი და ნარიმანისაგან არჯავ-დევის დაჭერა. ყათრანისაგან შაქუტ-დევის ომი ძლიერი და ყათრანისაგან, შაქუტ-დევის სიკვდილი. ბარამ-ჯიბილისაგან, საყანჩუნ-დევის ომი და ბარამჯიბილისაგან მისი სიკვდილი. ფარვან-დევისაგან, ზოჰრაბ-შაჰისაგან, ზორაბ-დევისაგან, სარვიხურამანისაგან, უსნიარასაგან, გულიჯანისაგან და რუიზანისაგან და სხვათა დევთა სარდლებისაგან ომები.

რა ყამსაც ყველა თავთავის ადგილს დარაზმდნენ, მაშინვე მოედანზე გამოვიდნენ და ერთმანეთს დაუპირდაპირდნენ; აქედამ ბარამ-ჯიბილი

მშვენიერის ქცევით და ამაყობით გამოვიდა მოედანზე, თან აიარები გამოჰყვნენ, მობრუნდა და აიართა მადლობა უბრძანა და პირი მოედნისაკენ მიიქცია და შაქუტ-დევის მხრიდამ ფალევანი გამოითხოვა. ბაუბაუ-დევმა შეხედა ბარამ-ჯიბილს და დიდათ მოეწონა, შემდეგ დევთა სარდლებს ჰკითხა: დევნო ეს ფალევანი ვინ უნდა იყოსო!? რომ ესე ამაყათ და თამამათ გამოვიდა მოედანზედაო? ზედ ეტყობა რომ ძლიერი ფალევანი უნდა იყოსო, ამიტომ ჩვენცა გვმართებს რომ ამის შესადარი ფალევანი უნდა გაუგზავნოთ რომ მაშინ თავის თავი დაავიწყდეს. მაშინვე ერთ ძლიერ დევს უბრძანა ბაუბაუ-დევმა მოედანს გასვლა. ფალევან დევმა მაშინვე თავი დაუკრა ბაუბაუს და გავიდა, ხელში ისეთი გურზი დაიჭირა რომ მთისთვისაც რომ დაეკრა შუა გააპობდა. ბარამს მოუხდა და უთხრა ფალევანო, შენ არდევან-შაჰის ლაშქარში რას გიხმობენ!? ან შენი სახელი რა არის? მაშინ ბარამმა უპასუხა: დევო ჩემი სახელი ბარამ-ჯიბილია, სულთან-ჯიბილის ბაირამის ხელმწიფის შვილი ვარო და ამ ჟამად არდევან-შაჰის სარდალი. მაშინ დევმა უთხრა: ჰეი ბარამ, მეტად მომეწონე და მართლა კარგ ფალევანსა გავხარო, მოდი მე დამიჯერე და იწამე ჩვენი რაჯიბის რჯული და მას თაყვანი ეცი და მერე ჩვენი ხელმწიფე ბაუბაუ-დევთან დიდი მეგობარი იქნებიო და ტყუილად თავს ნუ შემომაკლავო და თუ არ დამმორჩილდები, მაშინ ამ ჩემის გურზით მაგ კისერს ძირში მოგწყვეტავ.

რა ბარამმა ამ დევისაგან ესეთი ქადილი მოისმინა, გაიცინა და უთხრა: დევო, ვიდრე რაჯიბს დავემორჩილო, წუწკ ძაღლის დამორჩილება სჯობია, მეორეც რომ შენს ხელმწიფე ბაუბაუთან მაწვევ და მერე მეუბნები თუ არ დაგმორჩილდე მაგ შენის გურზით კისერს მამწყვეტ! ჰეი მე საწყალობელო, მაგ შენის ტანის სიდიდით მე რას მაშინებ? შენი ტანის კვალათ ეგ შენი ქადილი რო ვერ აასრულო, მაშინ შენთვის დიდი სირცხვილი იქნება. რადგანაც არ იშლი, მოდი წინ და ეგ შენი იარაღი იხმარე. ამ ლაპარაკით დევმა დიდათ იწყინა და გულის ბრაზით წამოვიდა წინ და ის უშველებელი გურზი მოუქნია. მაშინ ბარამმა თავის გურზი მიაგება და შემოჰკრა, გურზმა დევს გურზი ხელიდამ გააგდებინა, დევმა რომ თავის გურზი ხელიდამ გავარდნილი ნახა, ახლა ხმალს გაიკრა ხელი, ბარამმა მაშინვე მარცხენა ხელით ფარი დაიჭირა და მარჯვენა ხელით ხმალი, მაშინ დევმა გაჯავრებული ასეთი ძლიერი ხმალი ჰკრა რომ კინაღამ ფარი შუაზედ გახეთქა, ასე რომ ბარამის ფარი ფოლადზედ დადგა, ბარამი უძრავად იდგა, ის დევიც კი ბარამზე ნაკლები არ იყო. რა ნახა ამ დევმა რომ ხმლითაც ვერა ავნორა, მაშინ გურზით მოუხდა და გურზი ძლიერათ დაჰკრა, მაგრამ ვერც იმით ავნორა, ბარამს იმისი ძალა დიდათ მოეწონა;

ბარამმა შესძახა! დევო აბა ახლა გამიფრთხილდი, მაშინვე თავის გურზი წელიდამ გამოიღო და დასაკრავად მიუხდა, მაშინვე დევი წინ მოეგება და ფარი იფარა, მაგრამ ბარამის ლახტი ისეთი ძლიერად მოხვდა რომ ფარი გაუხეთქა და კისერზე ჩამოუეცვა და მხარიც ძლიერ ეტკინა და სთქო თავის გულში დევმა, ადამის შვილი ესეთი ძლიერი ვის გაუგონია! მაშინ ბარამმა ნახა რომ ერთის დაკვრით ვერა უყორა, მეორეთ საშინელის ხმით შესძახა და ფეხი ავყანდაზედ შეიდგა და ლახტი დასაკრავათ მიუტანა, მაშინ დევმა თავისი გურზი თავზე დაიდვა და გამოწვიმული დადგა, ამ დროს ბარამმა სახელი ღვთისა ახსენა, მიუხდა და იმ მეიდნის ოდენა გულზედ ისეთი მუშტი შემოჰკრა რომ ნაფაზა შეუკრა და უცნობო შეიქმნა ცხენიდამ გადმოვარდა. მაშინ ბარამი ჩამოხტა ხელები მაგრა შეუკრა ააყენა და წამოიყვანა და თავის ხელმწიფე არდევან-შაჰას მოართო და გამარჯვება მოახსენა! თითონ გაბრუნდა და მოედანზედ ცხენს ტრიალი დააწყებინა და ფალევანი გამოიწვია. ბაყბაყ-დევმა რა თავისი პირველი ფალევნის დაჭერა ნახა დიდათ გაჯავრდა, საყანჩუნ-დევს უბრძანა: შენ გადი, დაიჭი და აქ მომგვარე ცოცხალი. მაშინვე საყანჩუნ-დევი დიდათ გაამაყებული გამოვიდა და ბარამს მოუხტა და ერთი მძიმე ლახტი დაჰკრა და ლახტი ბარამმა აიცუდინა, მეორეც და მესამეც დაჰკრა, მაგრამ ღვთის მადლით ბარამს ვერა ავნორა, ამაზე ამ დევს დიდათ ეწყინა, მაშინ ბარამმა უთხრა: დევო მოდი დამიჯერე და ჩვენ ხელმწიფე არდევან-შაჰას დაუკარ თავი, ჩვენი ჭეშმარიტი ღმერთი იწამე. რა დევმა ბარამისაგან ესე გაიგონა ღმერთს გმობა დაუწყო, მაშინ ბარამმა უთხრა: ჰეი საყანჩუნ-დევო! მაშ ახლა შენი სისხლი შენს კისერზედ იყოსო და შეუტია და ისეთი გურზი დაჰკრა რომ ამ გურზის ხმა ათ ფარანგზედ გაისმა, მაშინვე საყანჩუნ-დევმა გურზი მიაშველა, მაგრამ მედგრად მოხვდა, რომ მკლავმა ვეღარ გაუძლო, გურზი გურზს მოხვდა ასხლტა და სპილოს მოხვდა თავში და მაშინვე სპილო და საყანჩუნ-დევი ერთად დაეცნენ, მაშინ ბარამი გადმოხტა, რა საყანჩუნმა ბარამი ქვევითად ნახა თვალში ეფუქსავატა, იმ დროს მოუხდა მკლავები გაშალა და ვითომ უნდოდა რომ ბარამი დაეჭირა. მაშინვე ბარამმა შესძახა! შე ბილწო, ჯერ ჩემი იარაღის ხმარება კიდევ გმართებსო; მაინც არ იქმნა ვერ გაიგო და მკლავებ გაშლილი ბრაზზედ მოდიოდა, მაშინვე ბარამმა ბასრს ხმალს ხელი გაიკრა და იმ გაშლილ მკლავებში ისე შემოჰკრა რომ ოთხი მკლავი მოსწყვიტა და ძირს დაეცნენ. ამ დროს იქით მხრიდამ სამი დევი გამოვიდნენ საყანჩუნის მოსაშველებლად, რა მოახლოვდნენ მაშინ გარდანქეშანი, ასიმი და შიროვანჯა, იქიდამ მოსცვივდნენ და ეს სამნივე თავიანთ ბასრ ნაჯახებით დახოცეს, მაშინ საყანჩუნ-დევიც ფეხზედ წამოდ-

გა და ხმალს ჯელი გაიკრა, ამაზე ბარამმა აღარ დააცალა, ასეთი წიხლი ჰკრა გულში რომ სამჯერ ყირაზე გადატრიალდა. მაშინვე ჩამოხტა ბარამი და თავისი მოკლე ქამანდით მკლავები შეუკრა და ქუჩუკს მიჰკვარა. გამარჯვება მიულოცა და ისევ გამობრუნდა მოედანზედ და ფალევანი გამოითხოვა. მოკლეთ მოგახსენოთ, იმ დღეს ბარამმა ოცდა ათი გამოჩენილი ფალევანი დაიჭირა. რა ამ საყანჩუნ-დევის ჯარებმა თავიანთ პირველი სარდლის დაჭერა ნახეს და სამიც პირველი მეომარი დევიც მოუკლეს და ოცდა ათიც უცხო დევები ბარამისაგან შეპყრობილი, მაშინ დასცეს კოჟინა და ასი ათასმა საყანჩუნ სარდლის დევებმა ბარამს შემოუტიეს, მაშინ ბარამი ცხენიდამ გადმოხტა მოსართავები მოუჭირა ცხენს და შეახტა, აუარებელი დევის ჯარი მოაწყდა და ბარამს გარს შემოერტყნენ, იმ დროს უათრანმა რომ ნახა ბარამი შუაში მომწყვდეული, ერთი საშინელი ხმით შესძახა და ბარამს მიეშველა, თავისის ჯარით და დაერივნენ ერთმანერთში და უწყალოდ ხოცავდნენ.

ამ დროს როცა ბაუბაუ-დევმა ნახა თავის დევთა ჯარზედ, უათრანი გამოსული, მაშინვე შაქუტ-დევს უბრძანა: შაქუტ აბა ახლავ შენის ჯარითვინ, მაგრამ მაგ ფალევანს უფრთხილდი. მაშინვე შაქუტ-დევი გაჯავრებული და გულდამწვარი მოუხდა უათრანს, სამი ლახტი ჰკრა და ვერაფერი დააკლო. საჰმან-ადამზადმა რომ ნახა ორი სარდლის ჯარები, ბარამსა და უათრანს შემოეხვივნენ, მაშინვე თავის ათორმეტ ამხანაგებით მიუხდა და ხმა უყო ამხანაგებს — და დაერივნენ, დაუწყეს უწყალოდ ხოცვა, ისე რომ ერთმანერთი ვეღარ იცნეს, ამ არეულ დროს შაქუტ-დევი კიდევ უათრანს შემოხვდა და დასძახა! ადამის შვილო, შენი მებრძოლი მე ვარ და მე მებრძოლე, მაგათ რაზედ სწყვეტავ? მაგათგან ხელი აიღე თორემ განანიებო. უათრანმა რომ ნახა ეს შაქუტ-დევი კიდევ შეხვდა და დაუპირდაპირდა, მაშინ იმათგან ხელი აიღო და შაქუტ-დევს მიუხდა, ამ დროს ამ დევმა სამჯერ ძალზედ ხმალი სცა და უათრანმა სამჯერვე ფარით აიცდინა, როცა ნახა შაქუტ-დევმა რომ თავისი სამის ხმლის დაკვრით ვერაავნორა, აღარ დააცალა უათრანს იარაღის ხმარება, და ისე დეეძგერა რომ კინაღამ გულადმა გადააქცია, ამ დროს გაჯავრებულმა და თავის ძალის მოიმედე უათრანმა შესძახა! შე წყეულო რადგან ფალევანთა წესი არ გცოდნია ახლა მე გაჩვენებ. მაშინვე თავის ბასრი ხმალი აღმოიწოდა ბედნიერ ქარქაშიდან და უთხრა: ახლა შენი სისხლი შენ კისერზედ იყოს, ისეთი შემოჰკრა ამ უბედურ შაქუტ-დევს რომ შუა გასწყვიტა. მაშინვე გუმბათის ტოლა თავი მოსჭრა და არდევან-შაჰას მიართვა — და გამარჯვება მიულოცა! და გამობრუნდა. ახლა დაერივნენ იმათ ჯარს და პირი აბრუნებინეს და უკან გდე-

ტით მიჰყვნენ. ამ დროს ბინდმაც მოატანა და გასაყარ ნაღარას ჰკრეს და ორსავ მხრის ლაშქარი გამობრუნდნენ და ყველანი თავთავიანთ ბინაზედ მივიდნენ, საომარი იარაღი აიხსნეს და სალხინო ჩაიცვეს და ხელმწიფეს იახლნენ, ხელმწიფე არდევან-შაჰმა ყოჩლიბანი და ხოსროვშირი რომ დაინახა, წინ მიეგება მიიწვია და თავისთან ტახტს დასვა, მერე ყათრანი და ბარამჯიბილი შემოვიდნენ და გამარჯვება მიულოცეს! არდევან-შაჰმა დიდი მადლობა განუცხადა და მათ პირსა აკოცა, ყათრანს და ბარამს, იმ დღის ომისათვის ასეთი ძვირფასი ხალათები უბოძა რომ თითო, თითო ქვეყნის ფასად ღირდა: ფალავნებმა დიდი მადლობა მოახსენეს და გადავიდნენ თავიანთ ალაგას დასხდნენ და უცხო მეჯლისი გაიმართა, ღვინის სმას ხელი მიჰყვეს და კარგად შექცნენ.

## ესენი ამ შექცევაში დაუტეოთ და ბაუბაუ-დევის ამბავი მოისმინეთ.

ამ დროს როდესაც ყათრანმა და ბარამჯიბილმა იმისი ორი გამოჩენილი სარდალი მოკლეს და ზოგიც დაიჭირეს, ამიტომ ბაუბაუ-დევი დიდ მწუხარებით დაბრუნდა ომის ველიდამ და თავის ბინაზედ მივიდა და ტახტს დაჯდა, ცოტა ხნის შემდეგ თავის სარდალ ფალავნებიც შემოვიდნენ და ბაუბაუ-დევს თაყვანი სცეს, გადაიარეს და თავიანთ სკამებზედ დასხდნენ და მეჯლიში გამართეს და შექცნენ. ამ დროს ბაუბაუ-დევმა თავი მაღლა აიღო, შეხედა ფალავნებს და დაათვალიერა, ნახა რომ თავის სარდლები შაქუტ-დევი, საყანჩუნ-დევი და სხვა სახელოვანნი დევნი არა სჩანან. დიდათ შესწუხდა და თვალთაგან რუსავით ცრემლები გადმოყარა — და უბრძანა: ფალავანნო, ჩემი შაქუტ-დევი და საყანჩუნ-დევი ვისის ხელით დაიხოცნენ?! მაშინ ხაზარან-დევმა მოახსენა: იგი ფალავნები, ერთი ყათრანმა მოკლა და მეორე ბარამ-ჯიბილმა დაიჭირა ცოცხალი. ესე რომ გაიგო დიდათ იწყინა და გაჯავრდა. მაშინვე თავის ფალავნებს უბრძანა: ხვალ უეჭველად შაქუტის სისხლი ავიღოთ და თქვენ საუკეთესო იარაღით უნდა მოემზადნეთ. როგორც მეჯლისი გაათავეს მოსვენებას მიეცნენ.

## ესენი ამ მოსვენებაში დაუტეოთ და არდევან-შაჰის ამბავი მოისმინეთ.

რა არდევან-შაჰმა და ქუჩუკმა მეჯლიში გაათავეს, მაშინ საყანჩუნ-დევისა და სხვა პყრობილების მოყვანა ბრძანა: ესენი მძიმეთ შეკრულნი

მოიყვანეს და წინ წამოაყენეს. მაშინ ხელმწიფემ ყურები დაუწყო და კარგათ გამოჰკა, საყანჩურ-დევი და ამის ფალევნური აგებულება და ძლიერ მოეწონა. არდევან-შაჰამ უბრძანა: დევო გწამს ცისა და ქვეყნის გამჩენი ღმერთი, თუ არა? მაშინ დევმა მოახსენა: ხელმწიფევ, თუ რომ თქვენგან წყალობა რამ დამემართება, დიდის სურვილით მწამს თქვენი საბაოთ ღმერთი; და თქვენი მონობა. წყეულიმც იყოს ის ეშმაკი რაჯიბი და იმის მომყოლიცაო. მერე, მეორე დევებს ჰკითხა: ჰეი დევნო თქვენცა გწამთ ცისა და ქვეყნის გამჩენი ღმერთი, თუ არა? ისინიც მოიქცნენ და საბაოთ ღმერთს თაყვანი სცეს. იმ დროს უბრძანა: მკლავების გახსნა და თავიანთ შესაფერ ალაგას დასხა. და ბრძანება გასცა სახვალიოთ დამზადდნენ საომრად.

რა დილა გათენდა ორსავ მხარეს ლაშქარი დაიძრა საომრად მოედანზედ და რაზმები დააწყეს. მაშინ ბაყბაყ-დევის სარდლები და იმასთან გამორჩენილი ფალევნები და ჯარის კაცნი. ყათრანმა და ბარამმა რომელნიც დახოცეს და შეიპყრეს, ამაზედ დიდათ წყრომით იყო — და უნდოდა როგორმე ხელთ ჩაეგდო ის ფალევნები. ბაყბაყმა უბრძანა: ჰეი, შენ შავო დევო! დღეს უნდა ერთი კარგი ფალევანი დევი გაგზავნო მოედანზედ, იმიტომ რომ იმათ ფალევნების ჯავრი ამომყაროს. შავ-დევმა ამოარჩია ერთი უცხო ფალევანი დევი და მოედანზედ გაგზავნა, დევი მოედანზედ მივიდა და ფალევანი გამოითხოვა. ამ დროს საჰმან-ალამზადი მივიდა ქუჩუკთან თავი დაუკრა და მოედანზედ საომრად გავიდა. ამ დევმა საჰმანი რომ დაინახა დიდათ მოეწონა და საჰმანს სალამი მისცა, საჰმანმაც სალამი ჩამოართო. მაშინ საჰმანმა უთხრა: დევო, მოდი ჩვენი ქუჩუკ-ყარამანის მონა შეიქმენ, და საბაოთ ღმერთი იწამე და არ მოგკლავ, — ჩემთან ძმურათ გამეყოფებ. ამ დევმა მაშინ ღმერთს გმობა დაუწყო და საჰმანსაც შეაგინა. საჰმანმა რომ იმისაგან გინება გაიგონა, მაშინვე ზედ მივარდა გაჯავრებული, ასეთი ნაჯახი ჰკრა რომ შუა გაწყვიტა და უთხრა: რადგან სიკეთის დაუნახავი ყოფილხარ — მაგიერი ღირსებაც მიიღეო. იმ დროს ბაყბაყ-დევმა ესეთი მოქმედება რომ დაინახა, რომელიც იმასთანა ფალევანი დევი ერთის დაკვრით მიწასთან გაასწორა საჰმანმა. ბაყბაყს დიდათ გაუკვირდა და ჰკითხა შავ-დევს: ნეტა ის დევი ვინ უნდა იყოსო? რომ ამისთანა მძლავრი დევი ერთის დაკვრით მოკლაო? მაშინ ხაზარან-დევმა მოახსენა: ხელმწიფევ, ეგ დევი საჰმან-ალამზადია და დიდათ ძლიერი მეომარი. მაგას თერთმეტი ამხანაგი კიდევ სხვა ჰყავს, რომ მოინდომონ მთელ ქვეყანას გააოხრებენ. მთელი ყაფის მთა და მისი დევნი სულ მაგათგან არიან გაოხრებულნი. შემდეგ ყარუნ ხელმწიფემ დიდის ცდით სძლია დაიჭირა და თილისმით შეჰკრა და საპყრობილეში ჩაყარა თორმეტნივე. მერე რამდენიმე წლის შემდეგ ყარა-

მან ფალევანი გამოჩნდა და ყარუნ ხელმწიფის თილისმებიც იმან დაარღვია, შამბასარ-დევიც ჯურღმულში მოკლა და ესენაც იმ ძნელ საკანიდგან გამოიხსნა და ყარამან სააპირანს ერთგულად ემსახურებოდნენ, ვიდრე ის ცოცხალი იყო. როდესაც ის მოკვდა, შემდეგ ამ ქურუკს ახლავან და ერთგულად ემსახურებიანო. ამიტომაც ყაფის მთაში მრავალი ქვეყნები და ქალაქები მისცა და იქ გაახელმწიფოსა. ახლა მოგახსენოთ ჩემო ხელმწიფევ, ეს უბრალო დევი კი ნუ გგონიათ. რა ესე ყოველივე გაიგო ბაყბაყმა ქება შეასხა და ათი რჩეული დევი გაგზავნა მოედანზედ საჭმანის მოპირდაპირეთ და უბრძანა: ეცადენით რომ ცოცხალი არ დასტოვოთო. მაშინვე ეს ათნი დევნი მოუხდნენ და საჭმანს გარს შემოეხვივნენ, მაგრამ საჭმანს ჯერ არ იცნობდნენ. მაშინ წელთაგან ნაჯახი მოიწოდა და შეუტია და ერთ თვალის დახამხამებამდის ათნივ დახოცა; შემდეგ შესძახა საჭმანმა: ჰეი ბაყბაყ-დევო! რომელნიც ნაქები დევნი გეგულება, ისინი გამომიგზავნე. ამ დროს ბაყბაყმა დიდათ იწყინა და ბრძანება გასცა: ათასი დევის მისვლა. როდესაც იქიდამ ათასმა დევმა ერთად შემოუტიეს საჭმანს, მაშინ ნახეს საჭმანის ათერთმეტმა ამხანაგებმა დევებმა, რომ საქმე საძნელოა, ერთზე ათასი გამოვიდა, მაშინვე, რადინარა და სხვები მიუხდნენ, დასცეს კიჟინა! და ამ ათას დევში დაერივნენ — და უწყალოდ ხოცვა დაუწყეს. ამ დროს ზოგნი გაიქცნენ, ზოგნი დაიხოცნენ. ამის მნახველი ბაყბაყ-დევი ძლიერ შეწუხდა და შესძახა! თქვე წყეულნო ათასი დევი, თორმეტი დევისაგან ეგრე უნამუსოთ როგორ მორბიხართ უკან!? ამ დროს აქედამაც შაბაშის ხმა გაახშირეს და კიჟინა დასცეს. მაშინ უბრძანა ბაყბაყ-დევმა და ახლა ათი ათასი დევი გამოგზავნა. დასცეს კიჟინა როგორც ცის გრგვინა და მოუხდნენ. აქედამ ქურუკმა ზორაბ-დევს უბრძანა მიშველება, მაშინვე ზორაბ-დევი თავისი ასი ათასი დევთა ლაშქრით შეუტია და საშინელი ომი შეიქმნა, ბაყბაყ-დევმა რომ ნახა, ზორაბ-დევი ასი ათასის მეომარ დევით მოეშველა. მაშინ ბაყბაყმაც ორასი ათასი მეომარი დევი მიგზავნა. ესენიც დიდის კიჟინით წამოვიდნენ და შეიქმნა საშინელი სისხლის ღვრა ისე რომ მეორეთ მოსვლას ემზგავსებოდა. ქურუკმა უბრძანა: ამბირ-დევს თავისის ჯარებით შეტევა, ამ დროს დიდი წაღებ-წამოღება შეიქმნა. მერე იქიდამაც ხუთას ათასმა დევმა შემოუტია და ქურუკის ჯარი წამოიღეს და მრავალიც დახოცეს, ახლა აქედამ, ანყაბუზ-ნარა და ქაბუნ-ნარა, მივიდნენ და შეუტიეს, ამ ჟამად ისეთი საშინელი ბრძოლა ასტყდა რომ ერთმანერთს ვეღარა სცნობდნენ. ამ დროს ბაყბაყის ჯარმა სძლია და წამოიღო. აქ კოჭლი მათუზ-დევი, თავის ჯარით მიეშველა და მარჯვნივაც ზორაბ-შაჰა მივიდა და ძლივას გაატრიალეს ბაყბაყის ჯარი. როდესაც ნახეს თავიანთ ჯა-

რის გატრიალება, ბაუბაუს რაც ჯარი ჰყავდა სულ ერთობით შემოატევებინა, მხოლოდ შავი-დევი, ხაზარან-დევი და არჯავ-დევი, თავიანთ ჯარებით უძრავად იდგნენ, მაშინ რა ერთობით დაერივნენ, ისეთი ომი შეიქმნა რომ ხან ესენი წაიღებდნენ ხან ისინი წამოიღებდნენ.

როდესაც საქმე გაჭირდა, ამ დროს როგორც მოგეხსენებათ და იცნობთ სისხლის მღვრელ ნარიმანს, გულმა ველარ გაუძლო და საშინელი ნარა გასწია და მიუხდა, ასეთ მამაცად მიუხდა რომ პირველსავე მისვლაზედ მრავალი დევთა ჯარი ამოჟლიტა და დიდის ხმით ნარასა სწევდა და ვისაც ხმალსა სცემდა შუა სწყვეტდა. ამ დროს არც თუ ხოსროვშირმა მოითმინა და წამოვიდა; მარცხნივაც ყოვლიბან-შირვანი წამოვიდა, ქვემომხრიდამაც, ყათრანი და ბარამჯიბილი და ერთობ ხმა უყვეს ერთმანერთს და კიჟიხა დასცეს. იმ დღეს დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს ამ გმირებმა ასე რომ ენა ვერ მოსთქვამს, იმათ მხნეობას. ისე გახადეს რომ სულ მტვერი აადინეს და გაიბრუნეს, ის ზღვის ოდენა დევთა ჯარი და თვით ბაუბაუ-დევის ტახტამდე სულ ხოცვით მიჰყვნენ. და იმათ დროშები სულ დალეწეს. ბაუბაუ-დევმა ამისთანა საქმე ძლიერ ითაკილა და შემოსძახა! ჰეი დევნო და სარდალნო! მოვიდა ჩვენი დამხობის დღე! რაღას უყურებთ! შავო-დევო, ხაზარან-დევო, არჯავ-დევო, მიუხდით და უშველეთ, თორემ საქმე გაჭირდა. მაშინვე წამოვიდნენ მისაშველებლად სამი სარდალი თავიანთ ჯარებით. ჰეი, მკითხველნო უნდა მოგახსენოთ რომ ამისთანა ომებს არა დევი და არა ქაჯი, არცა ჯინი, არცა, არა ადამიანი არ მოსწრებია! ხან ხმლითა, ხან გურზითა, ხან ისრითა და ნაჯახით. ხმას აძლევდნენ ერთმანერთს დაჰკარ, მოჰკალ, შეჰკარ, შეიპყარ: ერთსაც ცოცხალს ნუ დასტოვებთო. რა ისინი წამოვიდნენ, ესენიც მივიდნენ, კაცს რომ ეყურებინა ამ არეულ ომისთვის, გონებას დაუკარგავდა და ჭკუას შეჰცდებოდა. ამისთანა სისხლის ღვრა არასოდეს არ მომხდარიყო. მაშინ ამ ხუთთა გმირთა და ყოველთა უმჯობესთა ფალავნებმა, ყოვლიბანმა, ხოსროვშირმა, ნარიმანმა, ყათრანმა და ბარამჯიბილმა ერთმანერთს ხმა მისცეს და მარჯვნივ შეიყარნენ ერთათ, რა ერთად შექუჩდნენ, მაშინ გული ერთი ათასად გაუხდათ. ესენი აქედამ მიეტევნენ და მარცხნივ მხრიდამ ანბირ-დევი, ზანგ-დევი, ანუაბუზ-დევი, ქაბუნარ-დევი, თავიანთ ჯარებით. ამ ოთხთაც ერთმანერთს ხმა მისცეს და ამათაც აქედამ შეუტიეს, წინიდამაც ზორაბ-დევმა, ზორაბ-შაჰვმ, საჰმან-ადამზადმა და შეიქმნა დიდი ჯოჯოხეთური ომი და ხოცვა; იმათ ყვირილისაგან ყურთა სმენა დაკარგული იყო. ამ დროს ყოვლიბან-შირვანმა შესძახა, ხოსროვშირსა და ნარიმანს. ჰეი გმირნო! დრო არის ომის გათავებისა. რა ესე დასძახა იერიში მიიტანეს. იქით მხრიდამაც ის სამნი სარ-

ჯალი დევნი წამოვიდნენ და ერთმანერთს შეეჯახნენ. ამ დროს შავი-დევი განრისხდა და გაჯავრებული რამდენიმე ფალევნები დახოცა და უკან ხოცვით მოსდევდა. მაშინ უოვლიბანმა თავის რაში შეაყენა და ყურება დაუწყო, ნახა რომ შავი-დევი ხოცვით მოსდევს. უოვლიბანმა მაშინვე ერთი საშინელი ხმა აღმოუტევა და ცხენი ზედ მიაგდო, დასძახა: ჰეი შენ ბილწო! მაგათგან ხელი აიღე და მე ვარ შენი მოპირდაპირე! ამ ხმაზედ შედგა შავი-დევი და ნახა რომ უოვლიბან-შირვანი დაჰპირდაპირებია გურზი ხელში, და ხოცვით მოსდევს. ამაზედ, შავი-დევი წინ გადუდგა უოვლიბან-შირვანსა და ერთი ძლიერი გურზი დაჰკრა. ისეთი ძლიერად რომ იმისთანა არავისმესგან სცემოდა, მაშინ უოვლიბანმა გულში დიდი ქება შეასხა შავი-დევის ძლიერებას, და სთქვა თავის გულში: ნეტარ ეს დევი დაგვიმორჩილდესო. ამ ფიქრში რომ იყო მეორეც დაჰკრა, მაგრამ თავის გამოცდილებით და მხნეობით გადურჩა, მესამეს უფრო ძლიერს უპირებდა. მაშინ უოვლიბანმა თავის გუნებაში სთქვა: ეს აღარ მეხუმრებაო, მაშინვე ცხენი მოიბრუნა და იმის მოქნეულ გურზს თავისი ლახტი მიაშველა, რა ლახტი ლახტს მოხვდა იმისი ხმა სამს ფარსანგზედ გაიგონებოდა. იმ დროს რა უოვლიბანმა იმისი მედგრად დაკრული ლახტი განიცადა ქება შეასხა, რადას ვაგრძელებთ მკითხველო, უოვლიბანსაც ხომ კარგათ ვიცნობთ რაც არის, მეომარი თუ გმირი. როდესაც რიგი უოვლიბანს ერგო, სამჯერ დაჰკრა და დიდათ შეაწუხა და კარგის მხნეობით გადურჩა და კვალად შეუტიეს ერთმანერთს. მაშინ უოვლიბანი ძლიერ გაჯავრდა და შესძახა: დევო, შენი ძალა დიდათ მომეწონა, მოდი დამიჯერე, აიღე ხელი შენი რაჯიბისაგან და იცანი ჭეშმარიტი ღმერთი. მაშინ შავმა-დევმა დასძახა: ფალევანო ნურც ეგრე გგონივარ რომ ადვილათ და სუმბუქად დაგიჯერო. მე ჩემ რაჯიბ ეშმაკს მაგისთანა ლაპარაკით თავს არ დავანებებო. და შენ თავს მოგჭრი და ბაუბაუ-დევს მივართმევო. გამოვბრუნდები და სულ გავაოხრებ თქვენსა სამეფოსა.

მაშინ უოვლიბანმა შესძახა: შე წყეულო, მე ჯერ ცოცხალი ვარ და შენ ჩვენის ქვეყნის გაოხრებას მიქადი; აბა საიდამ შეიძლებო? ესე რომ უთხრა გაჯავრებული, უოვლიბანმა მაშინვე თავისი მძიმე ლახტი ესროლა ცხენს თავში, ცხენი დაეცა და შავი-დევი მთასავით ძირს დაეცა. შავ-დევს ფეხი ცხენ ქვეშ მოჰყვა, ვიდრე ფეხს ამოიღებდა დაასცალა უოვლიბანმა და ახლო არ მივიდა, როდესაც ფეხი გამოიღო და თავისუფლათ დადგა. რა უოვლიბანი შავ-დევმა ქვევითად იხილა დიდათ იამა და თვალში ეფუქსავტა, გამოექანა და ჭანდრის მგზავსი ხელები გაშალა და უოვლიბანის დაჭერას ცდილობდა, მაშინ უოვლიბანმა მსწრაფად—ბედნიერის ქარქაშიდამ

ხმალი აღმოიწოდა და მოუქნია, ოცი მკლავი მოსწყვიტა, შავმა-დევმა ეს ჯერეთ არათ მიიჩნივა, მოუხდა და შემოეჭიდა, ამ დროს ყოვლიბანმა ხმალი ქარქაშში მიაქცია, მივარდა ერთი ხელი კისერში სტაცა მეორე გვერდში, ასწია ციმციმ ეს უშველებელი დევი და მცირე ყმაწვილივით ატარა, მიიტანა და სადაც არდევან-შაჰა, ქურუკი, და სიმრული იყვნენ იმათ მიართვა, დაჰკრა დედამიწაზე მაგრად შეკრული; ფარვანიც ამ ჟამად იქ იმყოფებოდა და მიულოცა გამარჯვება ყოვლიბანმა, არდევან-შაჰას და ქურუკს დასაჩქაროდ გამობრუნდა. ამათ რომ შეხედეს ამ დევის ტანსა და სიდიდეს, ძლიერ გაუკვირდათ და ყოვლიბანს დიდი ქება შეასხეს და სთქვეს: თუ ამაში ღვთის შემწეობა არ არის, კაცის ძალა ამას ვერ მოერეოდა, მაშინათვე ერთი ორმო გაათხრევინეს და შიგ ჩააგდეს.

იქიდამ რომ გამობრუნდა ყოვლიბანი, შეხედა ნახა რომ ხოსროვშირს ერთი საშინელი დევი ებრძვის, მაშინ ყოვლიბანი შედგა და ყურება დაუწყო და სთქვა თავის გულში, შავ-დევზედ კიდევ სხვაც ყოფილა ძრიელი, დევი, ახლოთ მივიდა და ყურება დაუწყო და სთქვა: ეს საძაგელი სად გაზდილაო! ხოსროვშირმა შესძახა: დევო გამიფრთხილდიო და ხმალი შემოსაკრავად მიუტანა, დევმა თავისი გურზი თავზედ დაიდო და გამოჭიმული დადგა. ხოსროვშირს რადგანაც ამ ხაზარან-დევის სიკვდილი არ უნდოდა ხმალი აღარ დაჰკრა, მარცხენა ხელში ხმალი მიიცა და მარჯვენა ხელით ძლიერი მუშტი შემოჰკრა, ისე რომ დევი ყირაზედ გადიბარცა და ის ომოდენა დევი პირქვე დაეცა, ხოსროვშირმა მოინდომა დევის დაჭერა მაგრამ ამ დროს ხუთასმა დევმა ერთად შემოუტიეს. მაშინ ყოვლიბანმა, ხოსროვშირს დიდი ქება შეასხა და იმის ძმობის სიყვარული ერთი ათასად განუცხოველდა. შემდეგ ამ ორთა გმირთა შეუტიეს და ეს ამოდენა ჯარი უკუ მიდრიკეს, ამდრომდის ხაზარან-დევიც გონს მოეგო და თავისი თავის გარდასავალს მიხვდა, ამ დროს გაცოფებული კამოექანა ხოსროვშირის ჯარისკენ და მრავალი ფალევნები დახოცა: ამ დროს ხოსროვშირმა შეხედა და იცნა რომ ეს ის ხაზარან-დევია და გაეხარდა, ამისთვის რომ მისი დაჭერა და დამორჩილება უნდოდა, რადგანაც ძლიერი დევი იყო. მაშინ დაიძახა ხოსროვშირმა, არიქნა ეს წყეული ჯარს ამოსწყვეტავსო! მაშინვე თავისი ყარამანისეული ვეშაპის ტყავისაგან დაწნული ქამანდი შესტყორცნა და წელში ჩაუგდო და მოზიდა, ეს უშველებელი დევი და ცხენიდამ გადმოაგდო და თრევით წამოიღო, მაშინ ყოვლიბანი კვალად იქ შეესწრო და სთქვა: თავისთვის ღმერთო დაილოცოს შენი განგება რომ ამ ერთ ადამიანისთვის ამისთანა ძლიერება მიგინიჭებიაო. ესეთი ძლიერება ყარამანსაც კი გაუჭირდებოდა ამ უშველებელის ბილწის დევის დაჭერა და ყოვლიბანმა მო-

ხვლა დააპირა, მანამ უოვლიბანი მივიდოდა ქარის უმალესად ხოსროვშირი მივარდა და ეს ვეშაპის მზგავსი დევი შეკრა და ფეხზედ წამოაყენა. ამ დროს უოვლიბანიც მივიდა და მიულოცა, პირს აკოცა და უთხრა: ძმაო ხოსროვშირ! შენ დღეს ასეთი საქმე ჰქმენ რომ არა საბუირანს არ შეეძლოვო, მაგ გვარად მაგ ვეშაპის შეპყრობა! შაბაშ შენს მამაცობას.

ამ დროს ხმა უყო გარდასჰქეშანს, ასიმს და შიროვანჯას და აფთარ-ჯადოს, ესენი მსწრაფლ მოცვივდნენ, ნახეს რომ ხოსროვშირს ერთი მთის ოდენა დევი შეუპყრია და უოვლიბანი გაკვირვებული შესცქერის, მაშინვე გარდანქეშანი მიიჭრა ხოსროვშირთან და გამარჯობა მიულოცა, მუხლთა აკოცა და აგრეთვე უოვლიბანსა. შემდეგ ის შეკრული დევი ჩამოართვეს, ხოსროვშირმა უბრძანა: აიარებს ის დევი წაუყვანათ და არდევან-შაჰსთვის და ქუჩუკისთვის მიერთმიათ. შემდეგ უოვლიბანმა და ხოსროვშირმა ხლმებს ხელი გაიკრეს და დევთა შეუტიეს, ამ შეტაკებაში და ამ დევთა ჯარის ხოცვაში იყვნენ რომ შეხედეს ნახეს, სისხლის მღვრელ ნარიმანს აგერ ერთი უფრო უარესი და საშიშარი ვეშაპის მგზავსი დევი დაუჭერია და მოაჭუავს თრევით, რა შეხედეს ნახეს რომ არჟავ-დევი იყო, ბაუბაყ-დევის პირველი სარდალი და მაშინვე მივიდნენ ერთმანერთთან. უოვლიბანი, ხოსროვშირი, ნარიმანს გამარჯვება მიულოცეს და ერთმანერთს გარდაეხვივნენ. მერე ნარიმანმა იმ დევს წიხლი ჰკრა ააყენა და უფრო მაგრა შეჰკრა და საჰუმანს მისცა და უბრძანა: ეს დევი სიფრთხილით წაიყვანე და არდევან-შაჰს მიართვი. მაშინვე საჰუმანმა, როდესაც ის დევი წამოიყვანა, გზაზე ამ უცხო გმირთა ფალევანთა ხმა უყვეს ერთმანერთს და იმ დროს, უათრანი და ბარამჯიბილიც იქ მივიდნენ და შეუტიეს და მალ-მალ ნარას გასწყვედნენ ხოლმე და უწყალოდ ხოცდნენ. მაშინ ფამკუნჯი და ფარვან-დევი ჰაერიდამ უყურებდნენ და ამბობდნენ: მე რამდენ საბუირანს მოვსწრებივარ მაგრამ უოვლიბანისთანა და ხოსროვშირისთანა ფალევნები არ მინახავსო, არც თუ იქნებაო. მართალია ნარიმანი, უათრანი და ბარამჯიბილიც ძლიერი ფალევნები არიან მაგრამ იმ ორთა უოვლიბანისთანა და ხოსროვშირისთანა არ დაიბადებიან. ამ დროს ნახეს რომ გარდანქეშანს, ასიმს, შიროვანჯას და აფთარ-ზანგს ერთი უშველებელი დევი წინ წამოუგდიათ და მოჰყავთ ხელებ-შეკრული: სამი თავი აბია სამასი მწყრთა სიმაღლე აქვს და ასეთი საძაგელი რამ არის რომ იმის შეხედვას კაცი ვერ გაუძლებდა. ესე რომ ნახეს, სთქვეს ნეტარ ამისთანა უშველებელი დევ-გმირი ვისი შეპყრობილი იქნებაო! ფარვან-დევმა მაშინვე იცნო და სთქვა: ეს ის ძლიერი ხაზარან-დევია და დიდათ გაიკვირვა. ამათ ეს პყრობილი დევი წაიყვანეს ხელმწიფე არდევან-შაჰსთან და მიართვეს. ხოსროვშირისაგან გამარჯვება მიულოცეს.

მაზედ ხელმწიფეს და ქუჩუკს დიდათ გაუკვირდათ და ხოსროვშირს ქება შეასხეს. მერე მხარეს შეხედეს ნახეს რომ—ერთი იმაზედ უარესი დევი საჰმანს წინ წამოუგდია და მოჰყავს, მკლავებ შეკრული, მოათრია და საჰმანმაც ეს დევი არდევან-შაჰს მიართვა და ნარიმანისაგან გამარჯვება მიულოცა. ხელმწიფე არდევან-შაჰს დიდათ იამა და ტახტიდამ გადმოხტა დაიჩოქა და ღმერთს დიდი მადლობა შესწირა. „ჰი, მართალ-მოსამართლე ღმერთო, შენი შემწეობაა ეს ყველა, თორემ ეს ამოდენნი დევნი ვის შეეძლო რომ ადამის შვილისაგან იძლიონ." შემდეგ ესენი წაიყვანეს და შავ-დევთან დააბეს. მაშინვე საჰმანი და გარდანქეშანი გამოეთხოვნენ და წავიდნენ საჩქაროდ, ამ დროს ქუჩუკმა ზმარება დაიწყო იმას მოწადინემ და თადარიგში შევიდა.

## ეს აქ დაუტეოთ და წავიდეთ იმ ხუთთა გმირთა ფალევანებთან.

რა ამ ხუთთა ფალევანთა ის დევები დაიჭირეს და გაუგზავნეს არდევან-შაჰს და ქუჩუკს, შემდეგ ხმლებზედ ხელი გაიკრეს და შეუტიეს, ისე რომ ღვთის რისხვა დასცეს და ეს ამოდენა დევთა ლაშქარი გაატრიალეს და ხოცვით უკან მისდევდნენ. ამ დროს ბაუბაუ-დევმა შახედა ნახა რომ ეს ამოდენი დევთა ჯარი გამოაბრუნეს—და უკან მორბიან. ბაუბაუმა მარჯვნივ და მარცხნივ შეხედა ნახა რომ აღარც შავი-დევია, აღარც ხაზარან-დევი, აღარც არჯავ-დევი სჩანს. და იმათი ჯარები და ფალევნები, მოუთმენლად უკან მორბიან, და უკან მოსდევენ ეს ხუთნი გმირნი ფალევანნი და ხოცავენ უწყალოდ. ახლა მარჯვნივ შეხედა ბაუბაუ-დევმა: დაინახა ამბირ-დევი, ავთარ-ზანგი, ზორაბ-დევი, ანუაბუზ-დევი, ქაბუნარა-დევი. თავიანთ ჯარებით მოზდევენ. მაშინ იკითხა, ჩვენი სარდალნი არც ერთი არა სჩანს სად არიანო!? რომ ეს ამოდენა ჯარები უპატრონოთ დაუყრიათ და ესენიც უკან მორბიან.

ამ დროს ერთი თავის დევი წარსდგა და მოახსენა: „ჰეი, დევთა დიდო ხელმწიფევ, უნდა მოგახსენო რომ შავი-დევი, ხაზარან-დევი და არჯავ-დევი, იმათ სამმა ფალევნებმა დაიჭირეს. და გუშინდელ ომშიაც მაქუტ-დევი მოკლეს — და საუანჩუნ-დევიც დაიჭირეს და წაიყვანესო". ბაუბაუმა რომ ესე გაიგონა, თავის გამოჩენილ სარდლების და ფალევნების დაჭერა და ზოგისა დახოცვა. მრავალი იტირა და ივაგლახა, რომელსაც რუსებრ თვალთაგან ცრემლები სდიოდა.—და ერთი ასეთი დაიღრიალა რომ

და ქვეყნის დაცემის ხმასა ჰგვანდა. მაშინვე თავის ჯარები შემოიკრიბა და უცხო სარდლები დაუდგინა და უბრძანა: სახვალიოთ მოემზადენითო და მე ბაუბაუ-დევი არ ვიქნები თუ ის ხუთნი ფალავნები არ დავხოცო! და ქუჩუკიც ხომ დიდის წვალებით და წამებით უნდა მოვკლაო, შემდეგ მთელს ადამიანთ ქვეყნებს და სამფლობელოებს ავაოხრებ. ეს ამბავი რაც რომ განიზრახა ბაუბაუ-დევმა: იქ ფარულად ქუჩუკის აიარნი იყვნენ, არდევან-შაჰსთან მოვიდნენ და ყოველივე დაწვრილებით მოახსენეს, ხელმწიფესაც და ქუჩუკსაც. მაშინ ესენიც დაემზადნენ სახვალიოთ.

არდევან-შაჰმა, ტუსაღნი მოითხოვა, მაშინვე მოასხეს ჯაჭვებით შეკრულნი და დაბმულნი. შავი-დევი, ხაზარან-დევი და არჯავ-დევი და რამდონიმე ფალავანი დევნი, მაშინ უბრძანა: არდევან-შაჰმა, დევნო! ხომ ნახეთ ჩვენმა საბაოთ ღმერთმა, თქვენი თავი ჩვენ დაგვიმონავა. ახლა შეაფურთხეთ თქვენს წყეულ რაჯიბ ეშმაკს და იცანით ჭეშმარიტი ღმერთი! ახლა თუ გწამთ ცისა და ქვეყნის გამჩენი ღმერთი?!

შავმა-დევმა მოახსენა: ჰეი ადამიანთ ხელმწიფევ და ძლიერნო ფალავანნო! თუ თქვენი ღმერთი ძლიერი არ არის, ჩვენ მორევნას ვერ შეიძლებდით. წყეულიმც იყოს რაჯიბ ეშმაკი რომ სულ იმან დაგვღუპა. ახლა მე მიწამებია თქვენი ჭეშმარიტი ღმერთი! მაგრამ ამას მოგახსენებთ რომ დღევანდლამდინ იმ ეშმაკს რომ ვემსახურებოდით, ჩვენს წინააღმდეგობას, უხილავი ღმერთი გვაპატიებს თუ არა? მაშინ არდევან-შაჰმა უბრძანა: დიახ რომ გაპატიებთ, იმიტომ რომ ახალათ მოიქეცით ჭეშმარიტ ღვთისადმი. ეგ თქვენი ბრალი არ არის. მაშინვე მოიქცნენ და იწამეს საბაოთ ღმერთი. მაშინვე ხელები აუხსნეს და წავიდნენ, ეს ოთხნი ვეშაპებივით დევნი — და არდევან-შაჰს თაყვანი სცეს და მუხლთა აკოცეს. ქუჩუკსაც კალთას აკოცეს და ყოვლიბან-შირვანს, ხოსროვშირს, ყათრანს და ბარამჯიბილს პირსა აკოცეს და ნარიმანსაც მუხლს აკოცეს. მერე უცხო საფალავნო სკამებზედ დასხდნენ. მაშინ ხაზარან-დევი წარმოდგა და მოახსენა: ხელმწიფევო! მე ისე მეგონა რომ ქვეყანაზედ ჩემი მომრევი დევი არ გამოჩნდებოდა, მე ახლა ათას ხუთასი წლისა ვარ და მრავალი ფალავანიც მინახავს და ჩემს ერთის ლახტის დაკვრას ვერავის გაუძლია, მაგრამ იმ ადამის შვილმა ხოსროვშირმა მომერია და შემიპყრო. მე ამაზე დავამტკიცებ რომ ქვეყანაზედ ამისთანა ფალავანი ძნელათ გამოვა. ახლა შავმა-დევმა დიდის ქებით მოიხსენია ყოვლიბან-შირვანი, ასე რომ დევიც ისა ყოფილაო და ფალავანიცაო. ჩვენ ამათთან არაფერი ვართ. აგრეთვე, არჯავ-დევმაც ნარიმანის ქება წამოსთქვა და საყანჩუნ-დევმაც ბარამისა. შემდეგ კიდევ შავმა დევმა მოახსენა: შაქუტ-დევი ჩვენზედ თუ მეტი არ იყო, ნაკლები არ იყო. თავისმა

ამპარტავნობამ და დიდგულობამ თავი მოაკვლევინა. მაშინ მობრუნდნენ და ქურუკს ხელს აკოცეს და იმასაც მოახსენეს: ჰეი ფალევანო! მართლაც რომ საამპირანობის ღირსი ყოფილხართ. და არცარავინ დაბადებულა თქვენისთანა და არც თქვენი ფალევნებისთანაო. ახლა მე ამასა გთხოვ და გევედრები რომ ბაუბაუ-დევს უფრთხილდეთ. უნდა მოგახსენოთ რომ არც ხმელეთზედა არც ოკეანეს ზღვაშია იმისთანა ძრიელი დევი. ზარბაქ-დევზედ ეს ბევრით ძრიელია, თუ საწყინოთ არ მიიღებთ, ჩვენ ძლიერ გვეშინიან შენი რომ იმის ხელით სიკვდილს არ მიეცეთ. რომ თქვენი ბრწყინვალე სახე არ გვენახა არას ვინაღვლიდით, რაკი გნახეთ ცოდოა შენისთანა ფალევნის და მშვენიერი საამპირანისა, იმ ბილწის ხელით გათავებაო. ეგები ის იდუმალ მოგკლათ, თორემ ქვეყანას სულ გააოხრებს გაჯავრებული. მაშინ ქურუკს იმ მოხსენებაზედ, ასეთი სახე დაედვა რომ იქ მსხდომთა პირის მრისხანებას ვეღარავინ გაუძლო რომ შეეხედათ. თვითონ ამ შავმა-დევმა რომ შეხედა იმის სახის მრისხანებას ვერ გაუძლო და კინაღამ პირქვე დაეცა. საჩქაროდ გონს მოვიდა და ყურება დაუწყო, და სთქვა თავის გუნებაში, თუ იყოს ფალევანი ამისთანა უნდა იყოსო. ჯერ როდესაც მრისხანე სახე ადევს იმ დროსაც ვერ უძლებთ ამას და ომში ვინ გაუძლებს. მაშინ ქურუკმა უბრძანა: ჰეი, შავო-დევო და ფალევანო! უნდა იცოდე რომ, რომელმა ღმერთმაც ზარბაქ-დევი და ჰაზარექდასტი მაძლევინა, მაგასაც ისევ ის ღმერთი მაძლევინებს, ხვალ მიყურე იმას რა დღეს ვაყენებ. კვლად მოახსენა შავმა დევმა: საამპირანო! მე იმას როგორ ვიტყვი რომ ის ბილწი თქვენ გაჯობდეს. მხოლოდ იმისთვის გავბედე და მოგახსენეთ რომ მაინც კიდევ სიფრთხილე გმართებთ. ქურუკმა მადლობა უბრძანა შავ-დევს და სახვალიოთ მომზადება უბრძანა. შემდეგ ხაზარან-დევს უთხრა: დევო, თქვენ გარდა ბაუბაუ-დევს, კიდევა ჰყავს თქვენისთანა ძლიერი თუ არა?

მაშინ ხაზარან-დევმა მოახსენა: ჰეი ნაქებო ფალევანო და მთელ ქვეყანაზედ გამოჩენილო საამპირანო. ამ ბაუბაუს თავისი საკუთარი ხუთასი ათასი კარგი გაწვრთნილი მეომარი ჯარი ჰყავს, სულ ცეცხლის მფრქვეველი და იმათში ათი ასეთი ძლიერი ფალევანი დევები არიან, რომ რკინას კევივით დაღეჭავენ. ჯერ ისინი უომრონი არიან. იმათ გარდა ორასი ათასიც ჯადოს ლაშქარი ჰყავს—და უცხო მეომარნიც არიან. მაგრამ საკვირველი ეს არის საამპირანო რომ დიდძალი ჯადოს მანქანები ამუშავეს და თქვენ ჯარს ვერა ავნესრა. რომელსაც ისინი ამზადებდნენ თქვენი ჯარის წინააღმდეგ ჯადოებს, იგივე თავიანთ გაკეთებული ჯადო თვითონვე, თავიანთ ჯარს ავნებდნენ და აოხრებდნენ. ამაზედ უულუნ-ჯადოს და ბარყულ-ჯადოს დიდათ უკვირდათ და ვერაფერი ვერა გაეწყოთრა. ისინი ისეც კარგი მეომარნი არიან.

ზარბაქ-დევის ქალაქში თეთრი-დევი დააყენა, ასი ათასის დევით და იმასთან აზირ-ჯალდო ორასი ათასის ჯალდოს ლაშქრით, ის წყეული აზირ-ჯალდო, ოქუალი-ჯალდოს შეგირდი ყოფილა და ძლიერაც დახელოვნებულია და გამარჯვებული. გზები ძლიერ გამაგრებული აქვს ჯალდოებით, აგრეთვე ის ქალაქები სადაც თეთრ-დევს აქვს ჩაბარებული, ამ ახლოხნებში აპირებდა წასვლას სამთავისისკენ თავისის ჯარებით. იმ აზრით იყვნენ ბაყბაყ-დევთან რომ თუ ჩვენი გამარჯვება შეეტყოთ, ის იქ უნდა წასულიყო, ახლა ის იქვე დარჩება რადგან ვერ გავიმარჯვეთ. ისიც ძლიერი დევია, კიდევ იმასთანაც სიფრთხილე გმართებთ ყოველ შემთხვევაში. ამისთანა გაფრთხილებისათვის ქუჩუკმა მადლობა უძღვნა და უთხრა: თქვენ არხეინად ბრძანდებოდეთ და ჩვენ გვიყურეთ, ღვთის მადლით რა ომს გარდვიხდით. მაშინ ყოვლიბანმა მოახსენა: სააბყირანო რადგანაც ესენი ბაყბაყ-დევისაგან დაშინებულნი ყოფილან, თქვენ იმიტომ გაფრთხილებენ. მაგრამ ის კი არ იციან რომ ჩვენი ჭეშმარიტი ღმერთი, იმათ არ დაგვაჩაგვრინებს.

რა ესე მოიუბნეს, შემდეგ საომარს ბუკს შეჰბერეს და ორსავე მხრის ლაშქარნი, დასტა-დასტად დარაზმდნენ, საომრათ მოედანზედ და იყურებოდნენ და ამბობდნენ, ნეტარ თვითონ გამოვა საომრათაო თუ ჩვენ გვიბრძანებსო. ამ დროს ბაყბაყ-დევმა ერთი საშინელის ხმით უბრძანა თავის უპირველეს სარდალს! ერთი ფალევანი გაგზავნე მოედანზედ საომრათაო. მაშინვე ერთი საშინელი დევი გაგზავნა მოედანზედ, თავი დიდს აბანოს გუმბათს უგვანდა და ას ათი მწყრთა სიმაღლე ჰქონდა, რა მოედანზედ გამოვიდა აქეთ-იქით ყურება დაიწყო და ფალევანი გამოითხოვა. მაშინ აქედამ ქაბუნარა გავიდა, ხელმწიფე არდევან-შაჰას თავი დაუკრა და ქუჩუკს გამოეთხოვა, ქუჩუკმა უთხრა: ქაბუნარავ, წადი და ჩემი ღვთისთვის მომიბარებიხარო! რა გავიდა მოედანს ერთმანერთს დაუახლოვდნენ. ქაბუნარამ მაშინვე სალამი მისცა და იმ დევმაც სალამი ჩამოართვა და უთხრა: „არდევან-შაჰის ლაშქარში შენ რას გიწოდებენო?! ქაბუნარამ უთხრა თავისი სახელი. მაშინ იმ დევმა უთხრა: ქაბუნარა-დევო, მოდი დამიჯერე, ჩვენი რაჯიბ ეშმაკი იწამე და ჩვენ ბაყბაყს თაყვანი ეცი, თუ რომ გინდა დიდი ხნის სიცოცხლე და კაი კაცი შეიქმნა. მაშინ ქაბუნარამ გაიცინა და უთხრა: ჰეი დევო! ბევრს რას ლაყბობ, ჯერ თქვენ რა კეთილი დაგაყენათ იმ თქვენ ეშმაკმა რომ მე რა მიყოსო? ღმერთმა ისიც დასწყევლოს იმის მწამებელიცაო. მოდი მართლა თუ შენ ჭკუა გაქვს, იწამე ჩვენი ჭეშმარიტი ღმერთი. ამ დევმა რომ ქაბუნარასაგან ესეთი სიტყვები გაიგონა, მაშინვე თავის მძიმე ლახტით მოუხდა და დასძახა! გამიფრთხილდი ქაბუნარავ, სამჯერ თავს შემოივლო და მედგრათ დაჰკრა, მაშინ ქაბუნარამ ფარი მიაშველა და

იმით გადურჩა, და გუდის თვისა დიდი ქება დაუწყო. მეორეც დაჰკრა მესამეც და ვერა ავნო. მაშინ ქაბუნარამ უთხრა: დევო მოდი დამიჯერე ჭეშმარიტი ღმერთი იწამე და არ მოგკლავო. მაშინ იმ დევმა ღმერთის გმობა დაუწყო; მაშინ ქაბუნარამ ისეთი ძლიერი ხმალი შემოჰკრა რომ ეს უშველებელი დევი შუაზედ გაწყვიტა, იმ დროს აქედამ შაბაშის ხმა გაამრავლეს, მოკლეთ უნდა მოგახსენოთ, იმ დღეს ქაბუნარამ ას ათი დევი მოკლა და მოედანზედ დადიოდა და ფალევანს გამოითხოვდა, იმ დროს მეხედა ნახა რომ ასი დევი ერთად მოუხდნენ. აქედამაც ორმოცდაათი დევი მიაშველეს და უკუ აქციეს ხოცვით. შემდეგ კიდევ ათასი დევი წამოვიდა, მაშინ ქაბუნარა გამობრუნეს, იმ ჟამად ქუჩუკმა უბრძანა: რაც ჩემი დევთა სარდლები არიან თავიანთის ჯარებით მივიდნენ. ამ დროს ეს სისხლის მღვრელნი ფალევან დევნი მიეტევნენ. ესე იგი ამბირ-დევი, ავრთარ-ზანგი, ქაბუნა, ანუაბუზ, თავიანთას ჯარებით. ამათთან ზორაბ-დევი, კოჭლი მანთუზ-დევი, თავიანთ ჯარებით, ესენიც მიეშველნენ.

რა ბაუბაუ-დევმა ნახა აქედამ ამოდენა ჯარის მისვლა, თვითონაც რაც მეომარი ჯარი ჰყავნდა, ნახევარი სულ საომრათ გაისტუმრა მოედანზედ და თვითონაც მოემზადა. როდესაც ეს ამოდენა ჯარი ერთმანეთში დაერივნენ, შეიქმნა საშინელი ყვირილი და წაღებ-წამოღება. მაშინ ბაუბაუ-დევი საომრის იარაღით შეიკაზმა და ერთ საშინელ მხეცზე შეჯდა და ჯარს უკან ჩაუდგა და საშინელის ხმით შესძახა! „ვაი იმას ვინც უკან გამობრუნდებაო“.

რა დევთა ბაუბაუისაგან ესე სიტყვები გაიგონეს, მაშინ სთქვეს თუ გამოვბრუნდებით ეს ბილწი ჩვენი ხელმწიფე ბაუბაუ-დევი მოგვკლავსო და თუ მივიდეთ საომრათ, აბა ჩვენ ქუჩუკის ჯარს რას დავაკლებთ? ჩვენ ქუჩუკთან სიკვდილი გვირჩევნია, ვიდრე ბაუბაუ-დევის პირის სახეზე ყურებას. მაშინ ერთი საშინელი კიჟინა დასცეს და წამოვიდნენ, დაერივნენ და მრავალი ქუჩუკის ჯარისანნი დახოცეს და კიდეც გამობრუნეს. ამ დროს ქუჩუკი თავის სამსურ ცხენზე შეჯდა და ერთი საშინელი ხმით ნარა გასწია და მივიდა პირდაპირ ამათთან, მარჯვნივ მხარეს ეს სისხლის მსმელი გმირი მარცხნივ მხარეს სხვა თავის გმირნი; უოვლიბანი, ხოსროვშირი, ნარიმანი. უათრანი და ჰარამჯიბილი. შუა მხრიდამაც საჭმანი, კოჭლი მათუზ-დევი და ზორაბ-შაჰა; ამათ ერთხმათ ერთი საშინელი ხმა აღმოახდინეს და დაერივნენ—და დაუწყეს უწყალოთ ხოცვა; ხან წაიღებდნენ, ხან წამოიღებდნენ. ამ დროს საქმე რომ გაჭირდა, ბაუბაუ-დევმა თავის დანარჩენ ჯარს სულ ერთად შეტევება უბრძანა: ამათ სულ ერთიანად შემოუტიეს, ასე რომ სულ გარს შემოერტყნენ. შეიქმნა საშინელი ომი. ამ დროს ქუჩუკმა სახელი ღვთისა ახსენა და ხელი გაიკრა თილიუამუამს და შეუტია, საითაც მხა-

რეს შეუტევდა სულ გააწყალებდა. მეორეს მხარეს ის ხუთნი გმირნი ფალავანნი და მარცხნივ ამბორ და ზანგ-დევი, თავიანთის ამხანაგებით. შუა მხრიდამ საჭმან-დევი და კოჭლი-დევი, ზორაბ-დევი, ზორაბ-მაჭა—დაერივნენ, ასეთი საშინელი ომი შეიქმნა იმ დღეს რომ მეორეთ მოსვლას ემზგავსებოდა. ბაუბაუ-დევის ჯარიც მედგრათ იბრძოდნენ. მეტადრე ის ბილწი ბაუბაუ-დევი ჯარს უკან მოზდევდა და ვაი იმის ბრალი ვინც უკან გაბრუნდებოდა. ამ დროს დიდი ძალა დაადგა ქუჩუკს და ქუჩუკის ჯარს. ქუჩუკმა რომ ნახა საქმე გასაჭირს არის, ცხენიდამ გადმოხტა და თავის ცხენს ბარგისტანი ჩააცვა და ზედ შეჯდა, მაშინვე ქუსლი ჰკრა და სადაც უფრო ხშირი ლაშქარი იდგა იქ მიუხდა და რისხვა ღვთისა მათზედ დასცა. რასაც თითონ ხოცავდა, ორ იმოდენას თავისი ცხენი. გაატრიალეს ეს ამოდენა ჯარი და შეაყენეს. იმ დროს ველარც ბანოვანთა მოითმინეს. გამოუძღვნენ თავიანთ ქალთა ჯარს, ე. ი. სარვიხურამანი, გულიჯანი, გულჩინი, უსნიარა და რუიზან-ნარა, კიჟინა დასცეს და დაერივნენ იმათში. გააპეს იმათი ჯარი და სადაც იგი ხუთნი გმირნი ფალევანნი იყვნენ და ომობდნენ, იქამდის სულ ხოცვით მიჰყვნენ. და იქ ნახეს რომ ყოვლიბახი გაცხარებული უწყალოდ ხოცავს, ხოსროვშირი, ნარიმანი, ყათრანი და ბარამჯიბილიც იმის კვალს მიჰყვნენ, დასცეს საშინელი კიჟინა და მოუხდნენ, ისე გააწყალეს, ეს ცალი მხარე დევთა ჯარისა რომ მესამედი აღარ გადარჩა. რა ამ ფალევანთა ქალები დაინახეს, რომელიც სარვიხურამანი ყარამანისეულ შეფაიბარზედ შემჯდარიყო და ხელთა მძიმე გურზი ეჭირა და ვისაც სცემდა, ცხენსა და კაცს მიწასთან ასწორებდა. ამასთან უსნიარ დედოფალი, ვისაც უზანგოდამ ფეხს აძგერებდა, უირაზედ გადმოაგდებდა, ამასთან რუიზანა ხმალი ხელთ ეჭირა და დევთა სინსილას უქრობდა, ვისაც ხმალსა სცემდა შუაზედ სწყვეტდა, გულიჯანს და გულჩინს სისხლის ღვარები დაეყენებინათ, იმოდენა დევთა ლაშქარი დაეხოცათ რომ მკვდარი მკვდარზედ ეყარა.

მეორე მხრიდამ ქუჩუკი და თავის სამსურ ცხენი, უწყალოდ ხოცავენ, ისე რომ რისხვა ღვთისა მათზედან დასცეს. და მაინც იმათი ჯარები უკან ვერ დასძრეს. მაშინ ქუჩუკმა ერთი საშინელის ხმით ღვთის სახელი ახსენა და მიუხდა ამ შედედებულ ჯგუფ ჯარს, სადაც აუარებელი რაზმი იდგა, თან თავის ერთგული კოჭლი დევი მისდევდა და საჭმან-ადამზადი თავის ამხანაგებით. ამ დროს ერთი საშინელი ნარა აქაც გასწია ქუჩუკმა. ქუჩუკის ნარის ხმა ქალებმა გაიგონეს და იქითა მხარეს შეუტიეს, ისე რომ საითაც ეს ქალები შეუტევდნენ, ვერავინ მოჰბედავდნენ წინ მოსვლას და ქალთა ჯარს აძლევდნენ გზას და ესე იძახდნენ, ადამიანთა გვარისა უველა, კაციცა და დედაკაციც სულ გმირები ყოფილან და მეომარნი—ამათ არა

დევი და ფერია ვერ გაუძლებსთ. გაატრიალეს ეს ამოდენა ზღვასავით ჯა-
რი და ბაყბაყ-დევის ბარაქობამდის მიჰყარეს, მაშინ ქურუკი სამსურ ცხე-
ნიდამ ჩამოხტა დაქვევითდა, მარჯვენა ხელი მარცხენას შემოივლო და მარ-
ცხენა მარჯვენას და ასეთი ნარა გასწია რომ დედამიწამ რყევა შექმნა და
იმ ხმაზედ დევნი ომს მოეშალნენ და ჭაერში ყურება დაიწყეს, ესეთი ხმა
ჭაერიდამ გვესმათ. ბაყბაყ-დევს ესეთი ხმა რომ შეესმა, იკითხა, ნეტარ ეს
ხმა რა ხმა იყოვო? მაშინ მოახსენეს: ხელმწიფევ, ეს ხმა ქურუკ ყარამანის
ნარის ხმა იყო, აგერ ჯარს მოუხდა და უწყალოდ ხოცავს.—მეორეს მხრი-
დამაც ის ხუთნი გმირნი ფალავანნი, ხმალ მოწვდილნი მოსდევენ და ცალ
მხარესაც ქალთა ჯარი. დანარჩენნი სარდლებიც მეორეს მხრიდამ მოსდევენ,
ჩვენ ჯარს დიდი ძალა დაადგა. ამ დროს შეხედა ნახა რომ ერთი საშინე-
ლი ფშვენის ხმა მოესმათ, ნახეს რომ ერთი საშინელი მხეცი გაცხარებუ-
ლი დადის და დევთა ჯარი წამოუყრია და უკან მოსდევს ხოცვით, ზოგს
ფეხით, ზოგს კბილით, ზოგს რქით ანადგურებს. და რქაზედაც ორი დე-
ვი აუგია და ასეთი ჭიხვინით და ხვიხვინით მიდის რომ იმის მაყურე-
ბელთ გულები უსკდებათ.

აქედამ რა ბაყბაყ-დევმა დაინახა ქურუკის სამსურ-ცხენი, გაუკვირდა და
იკითხა ამის ვინაობა: მაშინვე მოახსენეს რომ ეს გახლავთ, ქურუკის სამ-
სურ-ცხენს რომ მოგახსენებდით. ბაყბაყ-დევი დიდხანს გაშტერებული უყუ-
რებდა. სამსურ-ცხენმა რომ დაინახა ბაყბაყი გაშტერებით უყურებდა იმას,
სამსურმაც ისეთი მრისხანის თვალით დაუწყო ყურება, რომ ის უშველებე-
ლი დევი დამის შეაფიქრიანა და სთქვა: ქვეყანაზედ ამისთანა მეომარი მხე-
ცი, არა მგონია რომ სადმე გამოვიდეს. მაშინ ბაყბაყ-დევმა, ხელი მოავ-
ლო თავის უშველებელ დახტს. იმ დროს ქურუკის სამსურმა რომ ეს ნა-
ხა, მაშინვე თავი გაიქნია და რომელიც რქაზედ აცმული დევნი ჰყავდა,
გასტყორცა და ბაყბაყ-დევის წინ დასცა, მოტრიალდა დევთა შეუტია და
მრავალი დევი იმსხვერპლა. ამ დროს ბაყბაყ-დევიც უკან მოსდევდა ცეცხ-
ლის ფრქვევით, მაგრამ ეს სამსურს ვერ დაეწეოდა, სამსური ქარივით და-
ჰქროდა და ხოცდა. ამ დროს ქურუკის ნარის ხმა კვალად მოესმა, ახლა
ქურუკისაკენ გასწია, აქ დადგა და ყური დაუგდო, ერთი საშინელის კივი-
ნის ხმები კვალად მოესმა, ეს ხმებიც იმ ხუთთა გმირთა ფალავნების ხმე-
ბი იყო; მაშინ სამსურ-ცხენმა ქურუკისაკენ გაიწია და ასეთი შეფრინდა
რომ კაცს ეგონებოდა ფრთები ასხიაო. ერთ საშინელ ფალევან დევს შე-
ხედა მრისხანის თვალით, ამ დევმა ეს ცხენი რომ ნახა გურზით მიუხდა,
ცხენმა რომ თავისზე მისული დევი ნახა, ასეთის მრისხანის სახით შეხედა
რომ დევმა შიშით გურზი ხელთაგან გააგდო, მყწრაფად მივარდა ცხენი და

ერთი მათგანი რქაზედ წამოიგო და ფშვენით გასწია, იმ ადგილს მიაღწია სადაც რომ ქალთა ჯარი ომობდა. ამ დროს რუიზან-ნარამ შეხედა, ნახა რომ თავისი საყვარელი ძმის ცხენი გამოფითებული მორბის და უწყალოთ დევთა დარევია და ხოცს. მაშინვე რუიზანმა წინადამ მოასწრო და ხმა უყო. სამსურ-ცხენმა მიიხედა ნახა რომ სარვიხურამანი, უსნიარა, გულიჯანი, გულჩინი და რუიზანი, დევთა უწყალოთ ხოცდნენ და რუიზანიც თავისაკენ მოდის, რუიზანი რომ ნახა მშვენივრათ დაიჭიხვინა და დაიწყო თამაშობით გაქცევა. დაიჩოქა და თავი მიუშვირა, რუიზანმა მაშინვე ის რქაზედ აგებული დევი ამოართო, ხმალი შემოჰკრა და მოკლა. რუიზანი მიუბრუნდა და თვალებში აკოცა—და ქუჩუკი ჰკითხა, ამ დროს მეორე ფალევანი ქალებიც მოვიდნენ; იმავე დროს ქუჩუკის საშინელი ნარის ხმაც მოესმათ. მაშინ ანიშნა სამსურმა რუიზან-ნარას და რუიზანი ზედ შეჯდა და მსწრაფად გაფრინდა ისე რომ თითქოს ფრთები შეესხათ—და ქუჩუკისაკენ წავიდა აღარც ეს ქალები დადგნენ, დასცეს კიჟინა და ესენიც თან გამოუდგნენ. სამსურ ცხენმა რა ქუჩუკი დაინახა, ნახა რომ ოთხივ კუთხიდ დევთა ჯარი შემოხვევია და საშინელ ბრძოლაში იმყოფება, ასე რომ ქუჩუკი საშინლად დაღლილა, მაშინვე სამსურმა საშინლად დაიღრიალა და ამ დევთა მიუხდა. მეორეს მხარეს რუიზან, ხმალ გაკრული მიზდევდა, ასე გახადეს ეს დევთა ჯარი რომ მტვერი ადინეს, რა ქუჩუკმა მოიხედა ნახა თავისი საყვარელი და რუიზანი, ხმალ გაკრული ამ დევთა დარევია და უწყალოთ ხოცავს, მარჯვნივაც მიიხედა ნახა რომ თავის სამსურ ცხენის ფშვინვა მოესმა, ნახა რომ ესეც დარევია და უწყალოთ ხოცავს, მაშინ მხურვალის გულით ღმერთს მადლობა შესწირა და მცირე ხანს შედგა, თავის დის ომს ყურება დაუწყო და სთქვა: „გმადლობთ შენ ღმერთო, რომ ასეთი ძლიერი გაგიჩენია, აგრეთვე დედათ თვისება“. მაშინ ხმა მისცა თავის დას რუიზანს, მაშინვე გამობრუნდა რუიზანი, გარდაეხვია და ორსავ თვალებში აკოცა და უთხრა: შაბაშ შენსა ძლიერებასსა!.. მაშინ სამსურ ცხენიც ჭიხვინით მოვიდა და თამაშობა დაიწყო, იმასაც თვალებში აკოცა და ბანოვანთა ამბავი იკითხა, ვიდრე ამ სიტყვას დაასრულებდა, შეხედა ნახა რომ მარცხენა მხრიდამ, შემოვაიბარზედ მჯდომი სარვიხურამანი მოვიდა. ამასთან უსნიარა, გულჩინი და გულიჯანი, მოვიდნენ ხმალ მოწვდილნი. დევთა ჯარი წინ წამოეყარათ და უწყალოთ ხოცვით მოსდევდნენ. რა მოახლოვდნენ ქუჩუკი დაინახეს, მაშინვე გამოტრიალდნენ, მოვიდნენ და ქუჩუკს ქება შეასხეს. ღმერთს მადლობა შესწირეს, იმის მშვიდობით ნახვისათვის, შემდეგ ქუჩუკმა იმ დღის ომის გადახდისათვის დიდი მადლობა მოახსენა; ცოტას დასხდნენ და დაისვენეს. სარვიხურამანმა ქუჩუკს უთხრა: შვილო,

ქუჩუკ! მგონი რომ ბაუბაუ-დევი ამ თავის ჯარს უკან მოსდევსო. რა ესე გაიგონა მაშინვე ცხენს ამხედრდა და იმ მომავალ ჯარს შეუტია და უკანაც ბაუბაუ-დევი მოსდევდა.

## აქ დიდი ომი ბაუბაუ-დევისა და ქუჩუკ-ყარამანისა.

ამ დროს რა სარვიხურამანმა ქუჩუკს უთხრა რომ ბაუბაუ-დევი ამ ჯარს მოსდევსო, მაშინვე ქუჩუკი გამოტრიალდა და თავის ცხენს ბარგისტანი ჩაალო და შეუტია, ისეთი ნარა გასწია რომ იმის ხმის შიშით მრავალნი დევნი უსულონი იქმნენ. მაშინ ხმალს ხელი გაიკრა და უწყალოთ ხოცვა დაუწყო. ამ დროს საცა ყოვლიბან-შირვანი, ხოსროვშირი, ნარიმანი, ყათრანი და ბარამჯიბილი წამოვიდნენ, დასცეს კიყინა და მოუმარჯვეს შიშველი ხმლები, თავიანთ ფალევან სარდლებით და დაერივნენ ერთმანერთში. ხმა მისცეს და თითო ნარა გასწიეს და დაუყოვნებლივ ხოცვა დაუწყეს. ცალ მხარესაც ზორაბ-შაჰი, ზორაბ-დევი და სხვანი მოუტივნენ, გაატრიალეს ეს ამოდენა ზღვისოდენი ჯარი და უკან ხოცვით მიჰყვნენ, სადაც ბაუბაუ-დევი იდგა იქამდის მიჰყვნენ. მაშინ ბაუბაუმა იკითხა, ეს ჯარები ვისგან გამოტრიალდნენო? მაშინ მოახსენეს, ხელმწიფეო! ჯარებს ქუჩუკ-ყარამანი მოსდევს ხოცვით და ლამის ჩვენს ჯარებს ღვთის რისხვა დასცაო. ამოდენა უთვალავი ჯარი სულ უკან გამოატრიალაო. რა ბაუბაუ-დევმა ესე გაიგო, ისეთი გაცეცხლდა რომ ცხვირ-პირიდამ სულ ცეცხლი აფრქვივა და მაშინვე თავის ჯარს გული მისცა და შეტევა უბრძანა: მარჯვნივ და მარცხნივ მხარეს თვითონ და თავის სარდლებს შეატევებინა. ამ საშინელ ომში და სისხლის ღვრაში, მრავალი გამოჩენილი დევი დახოცა და გაატრიალა. ქუჩუკის ჯარს სულ უკან ხოცვით მისდევდა. მაშინ ქაბუნარა და ანყაბუზნარა, თავიანთ ჯარებით იქ ახლო ომობდნენ. შეხედეს ნახეს რომ ბაუბაუ-დევი ხმალ-გაკრული თავის ფალევან სარდლებით, ქუჩუკის ჯარს უკან მოსდევს და მრავალი ჯარი და ფალევნებიც დაუხოცია. ზოგს ხელსა სტაცებს დაიჭერს და მეორეს შესტყორცნის—ოცსა და ოცდა ათს ერთად ჰკლავს. თავის ხუთასის ხელებით, თითო დევს იჭერს და მეორეებს შემოჰკრავს, და ხუთასსაც სხვას გაატაინებს ხოლმე და ესე ამ რიგათ ხოცავს. ერთ ყამამდე შვიდი რვა ათასი მეომარი ჯარი დახოცა. ზოგჯერ თითო დახტომაში ხუთასს და ათას ერთად გაატაინებდა ხოლმე. მაშინ ანყაბუზ და ქაბუნარამ სთქვეს: არიქნა ჩვენი ჯარი ამ ბილწმა სულ მოსრაო; ესენიც ამათ ჯარს მიუხდნენ. მაშინ შეხედა ნახა ბაუბაუ-დევმა რომ ორი საშინელი დევი თავის ჯარს ებრძვიან და უწყალოდ ხოცვენ. ეს ბაუბაუ-დევმა დიდათ იწყო-

ნა და ერთი საშინელი ნარა გასწია, საითაც ქურუკის საყვარელი ქაბუნარა დევი იმობდა იქით შეუტია. ქაბუნარა დევმა რომ ბაუბაყის ხმა გაიგონა, გაოცებული შედგა. ამ დროს ბაუბაყ-დევმა თავის გურზი ესროლა, უბედურ ქაბუნ ნარას მოხვდა და თავისის ცხენით როგორც მტვერი ისე გაამტვერა და ის ლახტი ქაბუნარას ჯარს მოხვდა და ორი ათასი დევი დახოცა. ანუაბუზ-ნარამ რომ თავის ამხანაგის გაფუჭება ნახა ძლიერ შეწუხდა და გამწარებულმა სთქვა: ამის შემდეგ მე ვიღასთვისღა უნდა ვიცოცხლო!? ესე სთქვა და გაჯავრებული, პირდაპირ ბაუბაყ-დევის ჯარს შეუტია და კიჟინა დასცა.

ამ დროს ეს ხუთნი გმირნი და ყოვლად უმჯობესნი ფალევანნი მოესწრნენ: შეხედეს ნახეს რომ ანუაბუზ-ნარა მარტოკა ომობს — და ქაბუნარა არსადა სჩანს, მაშინ ხოსროვშირმა ხმა უყო: ჰეი, ანუაბუზ-ნარავ! სად არის ქაბუნარაო!? მაშინ ანუაბუზმა ქაბუნარას ამბავი ყოველივე მოახსენა: რა ამ ხუთთა გმირთა, ქაბუნარას სიკვდილი გაიგონეს ბაუბაყ-დევისაგან, დიდათ შესწუხდნენ, — მაშინვე ერთი საშინელის ხმით დაიძახა ყოვლიბანმა. აბა ფალევანნო ბაუბაყ-დევის მხარეს შეუტიეთო! ეგების იმ ბილწს შევხვდეთ როგორმე. თქვენ თვითონ იფიქრეთ მკითხველნო, თუმცა შეხვდებოდათ მაგრამ დიდ ფათერაკს კი გადაეკიდებოდნენ, ამისთანა გმირნი და პატიოსანნი ფალევანნი, რომ იმ წყეულის ხელით არა აუტედეთრა. ამ განზრახვაში რომ იყვნენ, ერთი საშინელი დრიალი მოესმათ, შეხედეს ნახეს რომ ბაუბაყ-დევის მხეცი მორბის — და ეს ამოდენა დევის ჯარები წინ მოუგრია და უწყალოთ ხოცავს. ესე რომ იხილეს, ცოტას შეფერხდნენ, ეს ხუთნი ფალევანნი და ყურება დაუწყეს. ამ დროს ნარიმანმა ვეღარ მოითმინა და თავის საგდებელი შესტყორცნა, კისერში მოსდო და ეს უშველებელი მხეცი პატრონივით, მოზიდა. მაშინ ამ მხეცმა თავისი თავი ქამანდში რომ იხილა; დააღო პირი და ძლიერად დაიღრიალა და ნარიმანს შემოუტია, მაშინ უათრანმა სთქვა: არამც ნარიმანს ავნოს რამეო. უათრანი მსწრაფად უკანიდამ წამოეწია და თავის ქამანდი ესროლა, უათრანმაც კისერში მოსდო და გასწია, მარცხენა მხრიდამაც ბარამ-ჯიბილმა გადააცვა ქამანდი და ეს მთისოდენი მხეცი შეაყენეს. ამ დროს ჭაერიდამ სიმრული და ფარვან-დევი იყურებოდნენ და ამათ ფალევნობაზედ გაკვირვებულნი იყვნენ და ამბობდნენ, — ვნახოთ ამ მთისოდენა მხეცის შეპყრობას ვით მოაგვარებენო! ძლიერ ჰკვირობდნენ და ქებას შეასხამდნენ. ამ დროს ყოვლიბანმა შეხედა ნახა რომ ბაუბაყ-დევს ხელთა ხმალი უპყრია და გაცოფებული მორბის.

მაშინ ყოვლიბან-შირვანმა დასძახა ხოსროვშირს! ამის წინ დგომა სიკვდილია და გაქცევა უმეტესი. მიშველეთ! მაშინ ხოსროვშირმა მოახსენა:

ფალევანთ მტრის მორიდებას სიკვდილი უმჯობესია.—ამ დროს ორთავემ მხურვალის გულით ღმერთს თავიანთ თავის გადარჩენა სთხოვეს და დადგნენ. ამ ჟამად ფაშკუნჯმა შეხედა ნახა რომ ნარიმანს, ყათრანს და ბარამქიროდს, ის უშველებელი მთის ტოლა ნადირი, ქამანდით შეუპყრიათ და მოათრევენ, მაგრამ თითოს ასეთს გაიწევს რომ სამთავეს პირქვე დასცემს. მარცხნივ შეხედა ნახა რომ, აქაც ყოვლიბანი და ხოსროვშირი, ბაყბაყ-დევის ომს აპირებენ და ნამუსში არიან ჩაცვივნულნი. ამაზედ ფარვანი და ფაშკუნჯი დიდათ შეწუხდნენ და სთქვეს: ამ წყეულმა ბაყბაყ-დევმა ეს ორი გმირი კი არ დახოცოს და. ვინ იცის რამდონი ასი წელიწადი უნდა გავიდეს რომ ამათთანა გმირნი კიდევ დაიბადოს ქვეყანაზედ. ცოდონი არიან მაშინვე ქურუკს აცნობეს ეს ამბავი.

რა ქურუკმა, ბანოვართა ქალებმა, საჭმან-ადამზადმა და გარდანქემანმა ესე შეიტყვეს, დიდათ შეწუხდნენ და საჩქაროდ წამოვიდნენ ამ ფალევნებისაკენ. აქ ბაყბაყ-დევისა დიდძალი ჯარი იდგა ვიდრე იმათამდე; სადაც ყოვლიბანი და ხოსროვშირი იდგნენ. ქურუკმა და ქალებმა არ იცოდნენ თუ როგორ მიეხწიათ თავიანთ ფალევნებთან. გაჯავრებული ქურუკი თითოს ასეთს ნარასა სწევდა რომ იქაურობა ზანზარს იწყობდა, ძლიერ ეფიქრებოდა ყოვლიბანისთვის და ხოსროშირისთვის. ქურუკი თავის გულში ჰფიქრობდა უკეთუ ამ ორთა გმირთა რამე აწყენოს, მეც ამათთან თავს მოვიკლავო. ამ დროს ხოსროვშირმა და ყოვლიბანმა შეხედეს ნახეს რომ ერთი მთის ოდენი დევი მოაბიჯებს, თორმეტი ფეხები აქვს, ორმოცდა ათი ხელი აქვს და თითო ხელში სხვა და სხვა იარაღი უჭირავს, ვისაც ფეხს წაჰკრავს დედამიწასთან ასწორებს და ერთ წამში ორას სამასს დევს ხოცავს. ისეთ მრისხანებით ატოტებს ფეხებს, ისე რომ იქაურობა ზანზარებს. ბაყბაყ-დევი მოუახლოვდა, ხოსროვშირს და ყოვლიბანს. რა შეხედა სთქვა: ნეტარ ვინ უნდა იყვნენ ესეთი მშვენიერნი ფალევანნი, ზედ ეტყობათ რომ ძლიერნი უნდა იყვნენ, აბა ამათ რა დევი და ფერია გაუძლებთ? ამათზე მე იარაღს არ ვიხმარებ და ეგები ორნივ ერთად შევიპყრო;—მარცხნივ შეხედა ნახა რომ თავისი ძლიერი მხეცი, სამ უცხო ფალევანს ქამანდებში ჩაუგდიათ და აქეთ იქით სწევიან. და კიდევაც დაუმორჩილებიათ. მაშინ ბაყბაყმა საშინლად დაიღრიალა და დიდათ იწყინა, მაშინვე ყოვლიბანისა და ხოსროვშირისაკენ წამოვიდა, ხოსროვშირზე ცალი ფეხი ისეთი მაღლა ასწია რომ ოცი მწყრთა მაღლა აიტანა და უნდოდა ფეხი თავზედ დაეკრა და ხელებში ხლმები ეჭირა, ისინიც ყოვლიბანისთვის უნდა შემოეკრა.

ამ დროს ხოსროვშირმა ახსენა ღმერთი და თავისი შუბი საჩქაროდ ფეხში აძგერა—და ის ფეხი იმ შუბზე ჩამოეგო და ხოსროვშირს ვერაფე-

ჩი დააკლო. მერე ხოსროვშირმა ხელი გაიკრა ყარამანისეულ ხმალსა და შემოჰკრა, ის ფეხი მთლათ მოსწყვიტა, ვიდრე ხოსროვშირი ფეხს მოსწყვეტდა, ყოვლიბანმაც თვითონ ბაყბაყ-დევს ხლმიან ხელებზედ მივარდა, თავისი ბასრი ხლმით რამდონიმე ხელი მოსწყვიტა და დიდრონ ჩინრის მსგავსნი ძირს დაცვივდნენ. ბაყბაყმა ხელების სიმწარით, ფეხი აიღო და ყოვლიბანისთვის გულში უნდა ეძგერებინა, ამ დროს ხოსროვშირმა სწრაფის ქცევით მივარდა და მეორე ფეხიც თავის ხლმით მოსწყვიტა. ამაზედ ბაყბაყი ძლიერ გაცეცხლდა და შესძახა ხოსროვშირს! შენ ცოცხალი სადღა გადამირჩები! მაშინ ხოსროვშირმა იფიქრა თავის გულში, მაინც უნდა მოვკვდე და ნამუსიანი სიკვდილი სჯობიან უნამუსო სიცოცხლესაო.

ამ ფიქრში რომ იყო, ერთი საშინლათ შეჰყვირა და მაღლა შეხტა, ღვთის სახელი ახსენა და ისეთი ძლიერი მუშტი დასცა გულში რომ იმ წყეულს ნაფაზი შეეკრა. მაგრამ სჩქაროდ კონებაზე მოვიდა და სთქვა ბაყბაყ-დევმა თავის გუნებაში, მაგაშ შენს ვაჟკაცობას! მე ამას რომ ცოცხალს დავიჭერდე ძლიერ კარგს ვიზამ. მოინდომა ხლმის ყუით დაჰკრა. ამ დროს ხოსროვშირი მამაცათ გამოჭიმული წინ ედგა. რა ყოვლიბანმა ხოსროვშირის მდგომარეობა ნახა, სჩქაროდ მოუხდა და ისეთი ისარი ჰკრა რომ ფრთამდის მარცხნივ თეძოში ჩაუსვა და გაკვირვებული ბაყბაყ-დევი, ჯავრზე სკდებოდა და ამათ შეუპოვრობაზე და იერიშის მიტანაზე ჰკვირობდა. ამ დროს მაღლიდამ ფაშკუნჯი გაოცებული უყურებდა და ცრემლით ღმერთს ავედრებდა და ამბობდა, ქურუკი რაღა ამაზე მეტიაო!? ამ ლაპარაკზედ და ფიქრში, ბაყბაყს ერთი ფშვენის ხმა მოესმა, მიიხედა ნახა რომ ქურუკის სამსურ ცხენი გაშფოთებული მოფრინავს და ზედ ისეთი ფალევანი ვინმე ზის რომ, ერთი იმის შეხედვით ვეშაპიც იყოს გული გაუსკდება—და ისეთი შუბებიანი ჯაჭვი აცვია რომ იმას ახლო არა სულდგმული ვერ მიეკარება. ქურუკმა მარჯვნივ შეხედა ხოსროვშირი, მარცხნივ შეხედა ყოვლიბან-შირვანი, ბაყბაყს გამწყრალი ლომებივით მიხდომიან. ამ დროს ქურუკმა ისეთი ნარა გასწია რომ იმ არე-მარემ ზანზარი დაიწყო და ეს ამოდენა ლაშქარი შედგა ამის ხმისაგან. აგრეთვე ბაყბაყ-დევი ომს მოემზადა და ჭაერში ყურება დაიწყო, ესე ქურუკის ხმა ცის გრგვნა ეგონა. ქურუკმა შეხედა ნახა რომ, ყათრანსა, ბარამჯიბილსა და მამასა თვისსა ნარიმანს ეს ამოდენა უშველებელი მხეცი შეუპყრიათ და აქეთ-იქით ეწევიან, ეს-ეს არის რომ წააქციონ. მაშინ რა ქურუკის სამსურმა ბაყბაყის მხეცი ნახა იმ დღეში, ქურუკი მაშინვე გადმოხტა, ქურუკის სამსურ-ცხენი გაექანა და თავისი რქა აძგერა და ზედ ააგო. როდესაც ფალევანთა ნახეს სამსურის ამ გვარი მოქმედება, ამათ ხელი აიღეს და ის უშველებელი მხეცი

სამსურს მდანებეს და თვითონ ყურებს დაუწყეს. მსწრაფად გამოაძრო რქა სამსურმა და მეორეთ უნდა ეძგერებინა, ამ დროს ბაუბაყ-დევის მხედმა ტოტი შემოჰკრა და ცალი მხარე ძლიერ დაუშავა და დაუკოდა. მაშინ გამწარებულმა სამსურ-ცხენმა მეორეთა ჰკრა რქა და იგი მხედი გადააქცია და მოკლა; თუმცა მოკლა ბაუბაყის მხედი მაგრამ თვითონაც ძლიერ დაიკოდა. ფარვან-დევმა მაშინვე რაღაც მალამო მოუმზადა, წასცხო და შეუხვია. ამ დროს ქუჩუკი მივიდა და ბაუბაყ-დევს დაუპირდაპირდა, ბაუბაყ-დევი ჯერ კიდევ კარგზე არ მოსულიყო ქუჩუკის ხმისაგან, რომელიც ზეცის გრგვინვა ჰგონა ბაუბაყ-დევს და გაშტერებული ზეცას შესცქეროდა, ვიდრე გონს მოვიდოდა, ქუჩუკმა და უოვლიბანმა, ხოსროვშირი გამოაბრუნეს. რა მომორჩეს, ქუჩუკი მიუახლოვდა და ხოსროვშირს ორსავე თვალებში აკოცა და აგრეთვე უოვლიბანმა შუბლზედ და დიდი ქება შეასხა.

იქით მხარეს ნახა ბაუბაყ-დევმა რომ მოპირდაპირე აღარავინ დარჩა და თავის ჭრილობაც ძლიერ აწუხებდა, ბაუბაყი თავის ბინაზედ დაბრუნდა. ქუჩუკმა თავის მამა ნარიმანს დიდი მადლობა მოახსენა: აგრეთვე უათრანსა და ბარამჯიბილს, დიდათ დაუმადლა და იმ ხუთთავე გმირთა მოახსენა ქუჩუკმა: ჵეი ქვეყანაზედ გამოჩენილნო გმირნო! თქვენ დღეს ასეთი საქმე ჰქმენით რომ თქვენი სახელი, მეორეთ მოსვლამდის უნდა იხსენებოდეს და არა საპუონანს არ შეეძლო მაგგვარი საქმე. რომელიც იმ ბილწ ბაუბაყს შეხმოდა. მაშინვე ეს ყველანი არდევან-შაჰისაკენ წამოვიდნენ. არდევან-შათან რომ მოვიდნენ: რა ხელმწიფემ ქუჩუკი, ნარიმანი, უოვლიბანი, ხოსროვშირი, უათრანი და ბარამჯიბილი დაინახა ერთად მომავალი — და უვნებელი, მაშინვე წინ მიეგება და ქუჩუკს პირს აკოცა და ხუთთა ფალავნებთა შუბლზედ, — და იმასთანა მხნეობისათვის ხოსროვშირს და უოვლიბანს ასეთი ხალათები უბოძა რომ მათ ფასის შეგდება არ შეიძლებოდა. დიდი ქება შეასხა და ამასთან დიდი საჩინო ქალაქებიც უბოძა; აგრეთვე ნარიმანს, უათრანს და ბარამჯიბილს, უფასო ხალათები და თითო ქალაქი უბოძა და დიდი მადლობაც გადუხადა. გადაიყვანა ხუთნივე და თავთავის სკამებზედ დასხა. ამ დროს ქალებიც შემოვიდნენ და რიგზედ ყოველნი მიესალმნენ, და ფალავანთა გმირებს ქება შეასხეს და მოახსენეს: ჵეი ფალავანნო! არც დაბადებულან და არც დაიბადებიან თქვენისთანა. მერე გადაიარეს და თავიანთ მეფეებს გვერდით მოუსხდნენ. ახლა სიმრუღი და ფარვან-დევი მოვიდა და დიდათ გაკვირვებულნი, ხოსროვშირს და უოვლიბანს დიდი ქება შეასხეს და პირსა აკოცეს. აგრეთვე ნარიმანს, უათრანს და ბარამჯიბილს. და ესენიც თავიანთ ადგილს დასხდნენ. გვალად ფარვან-დევი და სიმრუღი უოვლიბანის და ხოსროვშირის სიმამაცეს და მხნეობას ჰკვირობდნენ. მაშინ

მავი-დევი, ხაზარან-დევი, არჯავ-დევი და საყანჩუნ-დევიც, შემოვიდნენ, რომელნიც წინად ესენი ბაუბაუ-დევის პირველი სარდლები იყვნენ, მივიდანენ და იმ ხუთთავე გმირთა და ხელმწიფეთა გამარჯვება მიულოცეს და მუხლთა აკოცეს. ამ დროს ხაზარან-დევმა მოახსენა: ხოსროვშირს და უოვლიბანს, ჩვენ ახლა გული აღარ გვაკლია, რადგან თქვენ ერთა ის მძლავრი დევი და ქვეყნის ვეშაპი, იმ გვარათ გულ დამწვარი გაისტუმრეთ.— ვაქებ ვადიდებ თქვენსა მშობლებსა რომ მაგგვარი გმირები დაუბადებიხართ. შემდეგ მოუბრუნდნენ ნარიმანს, უათრანს და ბარამჯიბილს მუხლთა აკოცეს და გამარჯვება მიულოცეს. მოახსენეს: ფალევანნო, ქვეყნის დაქცევას მოვიფიქრებდით თქვენგან მაგრამ იმისთანა მხეცის სიკვდილს და შეპყრობას კი არა. მოგახსენოთ მაგ მხეცის ამბავი: როდესაც ბაუბაუ-დევი თქვენკენ მოდიოდა საომრად, მაშინ ოკეანის ზღვაში ერთი მძლავრი დევის ძლიერ შეომარი, ისეთი შეომარი რომ ქვეყანაზედ იმისთანა არც უოფილა და არც იქნება. იმ დევმა მაგ მხეცის შნოებით ბევრი რამ ჩაიდინა. იმას რომ მოენდომებინა ამ ბაუბაუ-დევს და ზარბაქ-დევს ჩიტივით თავს მოუგლეჯავდაა, ეგ მხეცი იმისი იყო. ის დევი სამი ათასის წლისა, მაგ მხეცის პატრონი ორივ თვალით დაბრმავდა და იმისთვის გასცა სხვას. თუ თქვენ მაგ გვარათ არ შეგეპყრათ, ქვეყანას მთლათ გაოხრებდა, მაგრამ ხელმწიფენო უნდა მოგახსენოთ რომ, თქვენის ხელით ეგეთი საქმე არ შეიძლებოდა, არამედ თუ ღვთის ძალა არ შეგეწევნოდათ.

შემდეგ დიდათ გაკვირვებულნი და ამით მაქებელნი გამობრუნდნენ მივიდნენ და არდევან-შაჰას წინ დაიჩოქეს და გამარჯვება მიულოცეს და მოახსენეს: როგორც ქვეყანაში თქვენისთანა კეთილ-სვინიდისიერი ხელმწიფე არ არის. არცარავისა ჰყავს თქვენისთანა ტახტის შესაფერი სააპყირანი და ფალევანთა ქებას რაღა თქმა უნდა. მაშინ არდევან-შაჰამ ხელი მოჰკიდა საყენა და თავიანთ ადგილას დასხა, შემდეგ თავიანთ შესაფერი ხალათები უბოძა. შემდეგ ამბირ-დევი, აფთარ-ზანგი, ანუაბუზ-დევი, ზორაბ-დევი, კოჭლი მათუზ-დევი და ზორაბ-შაჰა შემოვიდნენ და ფალევანთა გამარჯვება მიულოცეს და ესენიც თავთავიანთ ადგილას დასხდნენ. ამ დროს არდევან-შაჰამ ანუაბუზ-ნარას შეხედა, ნახა რომ დიდათ მოწყენილია და საჰმან-ადამზადიც თავისის თერთმეტი ამხანაგებით არ მოვიდნენ და აღარც ქაბუნარა სჩანს; მაშინ არდევან-შაჰამ ჰკითხა, ანუაბუზს, ხვალდო დევო! რათა ხარ აგრე მოწყენილი? დღევანდელი ბაუბაუ-დევის გამარჯვება ხომ არ გეწყინათ, ან იმის საშინელი მხეცის სიკვდილი!? საჰმანიც არა სჩანს თავის ამხანაგებით, ხომ არ იცი სად არიან? ან ქაბუნარა? მაშინ ანუაბუზნარა—წარმოსდგა და მოახსენა: შვიდთა იყლიმის მპყრობელო, ხელმწიფევ! ქაბუნარა თქვენის ჯირის

სანატრელად გახდათ — და როგორც საქმე მოხდარიყო, ქაბუნარა იმ ბიჭს როგორც მოკლა ყოველივე დაწვრილებით მოახსენა. და საქმანიც თავის ამხანაგებით წავიდნენ იმის გვამის მოსატანად. რა ხელმწიფემ ქაბუნარას სიკვდილი გაიგონა მეტად შესწუხდა და თვალთაგან რუსავით ცრემლები გადმოადინა. აგრეთვე ქუჩუკი და ფალავანნი დიდათ შესწუხდნენ. ამ დროს საქმანი თავის ამხანაგებით და გარდანქეშანი შემოვიდნენ და ქაბუნარას გვამიც მოიტანეს. მაშინვე ყოველივე წავიდნენ და ერთ კარგ ადაგას დამარხეს და ასეთი მინარა აღუშენეს რომ ქვეყანაზედ ძნელად იქნებოდა. მაშინ შავშა-დევმა და ხაზარან-დევმა სთქვეს: თავიანთ გუნებაში, დევთა პატივი ამათ სცოდნიათო. ამაზედ ამათ თავიანთ ერთგულობაზე შაიფიცნენ, გამობრუნდნენ და თავიანთ ბინაზედ მოვიდნენ; უცხო მეჯლიში გამართეს და შეექცნენ.

## ესენი ამ შექცევაში დაუტეოთ და ბაუბაუ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ბაუბაუ-დევი ომიდამ გაბრუნდა, ნახა რომ იმ დღეს დიდათ დამარცხდა და იმოდენა დევთა სარდლები და ჯარი ამოუწყვიტეს და იმისთანა მძლავრი მხეციც მოუკლეს. ამაზედ დიდ ფიქრში შევიდა და სთქვა: ამისთანა სისხლის მღვრელ ფალავანთა ვინ დასძალავს? ჩემისთანა ძლიერს და ვეშაპს რა მიუვა! ჯერ რომელიც სანაქებო ფალავნები ჰყავთ: ქუჩუკი და სხვები ისინიც არ გამოვიდნენ ბრძოლის ველზე და ეს უოფა დამახ-ჯიუს, მგლავები აღარ შემარჩინეს და ფეხები; მხეციც კი მომიკლეს. სად-ყრის ის წყეული ჩვენი რაჯიბ ეშმაკი, რომელიც რაების მპირდებოდა და ახლა თვალით აღარა სჩანს, თუ ხელში ჩამივარდა ლუკმა-ლუკმათ ვაქცევ, ამისთვის რომ მე ამათთანა სისხლის მღვრელთა ფალავანთა გადამკიდაო. შემდეგ მეჯლიშის გამართვა ბრძანა და თავისი უცხო სარდლები გვერდით მოისხა და უცხო მეჯლიში გამართეს. რა მეჯლიშისაგან მოიცალეს მაშინ უბრძანა თავის სარდლებს სახვალიოთ ყველანი მოემზადენით რომ დიდი ომი უნდა გადავიხადოთ და ჩემი თეთრი მხეციც კარგათ გასწმინდეთ და ბარგისტანი ჩააცვით, რომ არა იარაღი არ მოეკიდოსო. და ჰკითხა რამდონი ათასი ჯარი გვყავს შემატყობინეთო. წავიდნენ ყველაფერი გაზნაგეს, მოვიდნენ და მოახსენეს: ათჯერ ასი ათასი მეომარი ჯარი გვყავსო, რომლის ნახევარსაც ჯერ ომი არ უნახავთო და ახლა ემზადებიანო. ამათთან ათასიც სარდალი ჰყავსო, და ხუთი ათასიც ფალავანნი არიანო. რა ესე სი-

მისა დიდათ ძამა და ამბოხება დაიწყო. მაშინვე ის სარდლები მოაყვანინა და უცხო მეჯლისი გამართა, შემდეგ თავიანთ ჯარებით შეჰფიცეს, ან სულ ამოვწყვეტავთ, ან ჩვენ სულ გავწყდებითო. იმ ღამეს განისვენეს და რა დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ ქვეყანა ნათელით შემოსა, მაშინ დევნიც მინდვრათ გავიდნენ და ბაუბაუ-დევსაც ერთი უშველებელი თეთრი მხეცი მოჰგვარეს და ზედ შესვეს. მაშინ გაუძღვა წინ თავის ჯარს და ერთ დიდ მინდორში რაზმი გააწყო და ეს ჯარები ხუთასათ გაჰყო და თავიანთ სარდლები დაუდგინა — აგრეთვე ბარუყლ და ბარნუყ შეთილისშე-ნიც თავიანთის ჯარებით შეექცნენ დასტათ დააყენა და საომრათ ამხედრდა და წინ წამოდგა.

## აქ ესენი დაუტეოთ და ქურუკის ამბავი მოისმინეთ.

ეს ყოველივე ბაუბაუ-დევის განზრახვა ქურუკის აიართა მოახსენეს და მაშინვე ესენიც საომრათ მოემზადნენ და ჯარების წინ გამოუძღვა ქურუკი. აგრეთვე თავის ხუთნი გმირნი ფალავანნი და ამათაც ექვს დასტათ გააწყეს ჯარები და ერთ მხარეს სარვიხურამანი თავის ქალთა ჯარით და ფალავნებით გავიდნენ. რა იქიდამ ქურუკის ჯარს შემოხედეს და ამათთან ვეშაპის მსგავსი ფალავანნი დაინახეს, დიდათ მოეწონათ, მეტადრე ქურუკი და სთქვეს, ჩვენი მტერიც კი ნუ ჩავარდება ამ სისხლის მღვრელთა ფალავანთა ხელშიო. მაშინ შავი-დევი, ხაზარან-დევი, არჯაგ-დევი და საყანჩუნ-დევი, მივიდნენ და არდევან-შაჰს და ქურუკს სთხოვეს რომ ჩვენც გვიბრძანეთ საომრად მოვემზადოთო. მაშინ ქურუკმა ბრძანა, ფალავან დევნო! თქვენ გთხოვთ რომ, ამ ჩვენ შვიდი იკლიმის ხელმწიფეს ახლდეთო და ჰაერით თამაშა გვიყურეთო, მე ჩემის ღვთისაგან იმედი მაქვს რომ ბაუბაუ-დევის ოხტიდამ მოვიდე, ამას არასოდეს არ დავთქმევინებ იმ ბილწსა რომ თუ ჩემი სარდლები არ ყოფილიყვნენ ჩვენ ვაჯობებდითო.

მაშინვე საომარ ნაღარას შეჰბერეს, ფალავნებმა თავიანთ ჯარებსა და მოედანს ყურება დაუწყეს. მაშინ ფარვან-დევი თავის ჯარით და ჯადოს დამქრით ერთ მხარეს გავიდა და დადგა. ფაშკუნჯი არდევან-შაჰის ახლოს დადგა და ის ოთხნი დევნი, ბაუბაუს სარდლებიც ჰაერში ავიდნენ და იქიდამ თამაშას უყურებდნენ. ამ დროს ქურუკმა ერთი საშინელი ხმით ღვთის სახელი ახსენა და მოედანზედ გავიდა. შესძახა: ჰეი ბაუბაუ-დევო! და დევ-თა ხელმწიფევ, დროა ომისა. ამ დროს ეს საძაგელი დევი გამოვიდა, ერთი უშველებელი ლახტი ხელში ეჭირა და ერთი მთისოდენა მხეცზედ იჯდა და მძიმედ წამოვიდა ქურუკისაკენ, რა დაუახლოვდა და შეხედა, ქურუკი

ძლიერ მოეწონა და სალამი მისცა, ქურუკმაც სალამი ჩამოართვა და საში-ნელის ხმით შესძახა! ადამის შვილო მოდი მოიქეცი და ჩემს რაზმის თა-ყვანი ეცი — და ჩემ შვილათ აგიყვან და არც მოგკლავ. ქურუკმა ამის სიტ-ყვაზედ ასეთი მრისხანის სახით შეხედა რომ კინაღამ ცხენიდამ გადმოვარ-და, მერე ქურუკმა უთხრა: დევო ბევრს ნუ ლაპარაკობ, ჯერ შენ რა ღირ-სეული და რა პატივის მცოდნე ხარ რომ შენი ეშმაკი რა იყოს!? ღმერთ-მა ისიც დასწყევლოს და შენცა. ამ სიტყვებზედ ბაყბაყ გაწყრა და ორ-მოცის ხელით ის უშველებელი ლახტი აიღო და ქურუკზედ წამოვიდა და დასაკრავად შეუმაღლა, ამის მნახველნი ქურუკისაგან უიმედონი იქმნენ, ამ დროს ქურუკის საცხენა მრისხანედ უყურებდა, მეტადრე ქალთა ჯარმა დაიჩოქეს და ქურუკის დახსნისათვის ღმერთს ევედრებოდნენ. რა კი უშვე-ლებელი ლახტი ზუზუნით წამოვიდა, მაშინ მაღლა შეუვრინდა სამსურ ცხე-ნი და იმ ლახტს ზევით მოექცა და მაშინ ქურუკმა თილისმიანი შემოჰკრა, რამდენის ხელითაც ის ლახტი ეჭირა ის ხელები სულ დააყრევინა და ლახტი ძირს დაეცა და სიმძიმით მიწა შეინძრა. იმ დროს ვიდრე ბაყბაყ სამ იარაღს მოისწრობდა, ამ დროს ქურუკი გაექანა და ასეთი მუშტი და-ჰკრა რომ გულამდე გადავარდა, მაშინ ქურუკი გაექანა, უნდოდა ერთი კი-დევ გურზით დაეკრა და გაეთავებინა. ამ დროს რამდენიმე ათასი ფალე-ვან დევნი წინ გადუდგნენ და ლახტის დასაკრავათ ვეღარ მიუდგა. მაშინვე ხმალს ხელი გაიკრა და მათ დევთა სიმრავლეს შეუტია და მრავალი დევ-თა ჯარი დახოცა.

## აქ ბაყბაყ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

რა ბაყბაყ-დევი ქურუკმა წააქცია, მაშინ რამდენიმე დევმა ბაყბაყ მოედნიდამ გაიტაცეს, როცა გონზედ მოვიდა, მაშინვე იკითხა ეს რა მო-მსვლიაო? ანუ რა დამმართნია, რომ გონება გამპარვიაო? მაშინ რაც იმას გადახდენოდა ყოველივე მოახსენეს, ამაზედ დიდათ ითაკილა და ეწყინა მა-შინვე გამობრუნდა, სადაც საომარი მოედანი იყო იქ მივიდა, შეხედა ნახა რომ ქურუკი ერთ ადგილას დგას და ხელთა გურზი უჭირავს და მრისხანის სახით აქა იქ იყურება. ამ დროს ბაყბაყ-დევი დაინახა რომ საომარ ადგილას მოვიდა, მაშინ ქურუკს დიდათ იამა. წინ წადგა და დაუძახა: ჰეი შენ ბილ-წო! თქვენში სირცხვილი არ არის, ომიდამ მალ-მალ გაქცევიხარ!? ბევრიც რომ გაიქცე სად წახვალ! ერთხელ მაინც ჩვენი ერთმანერთთან ომი უნ-და გადაწყდეს. ეს სიტყვა რომ შეასრულა ერთი საშინელი ხმით შესძახა და სახელიც ღვთისა ახსენა და ხმალ მოწვდილი შევარდენის მგზავსად მი-

ჟრდა. რა ბაუბაუ-დევმა, ქუჩუკი თავისზე მისული დაინახა, ძრიელ გაჯავრდა და თავის ლახტი მიაგება. ქუჩუკმა რომ ბაუბაუ-დევის ხელში გურზი ნახა და მთასავითაც გამოჭიმული იდგა: მაშინ ახსენა ღვთის სახელი და გაექანა კიდეც, ბაუბაუ-დევს ასე ეგონა თავში დამარტყამსო, მაგრამ ქუჩუკმა გვერდში შემოჰკრა ხმალი და მჯამდის შიგ ჩასო, თუმცა დაკოდა კი წყეული მაგრამ არათ მიიმჩნია. მერე თავის ლახტი ისეთნაირათ მოუქნია რომ მეტი აღარ შეიძლებოდა და ქუჩუკს დასაკრავად მიუტანა, რაკი ქუჩუკმა აღრევე იცოდა იმ წყეულის ლახტის ამბავი, მსწრაფად მოერიდა და აიცდინა. ლახტი ქუჩუკის ნადგომს ადაგს მოხვდა და ისეთი მტვერი ადმოხდა რომ მთელი ჯარი მტვრით დაფარა. ქუჩუკი რომ მტვერში აღარ გამოჩნდა, მაშინ ქუჩუკის მხრის ჯართა და სარდალთა შექნეს ტირილი და თავპირში იცემდნენ. მაშინ სამსურ-ცხენი იქ არა ჰყვანდა, დევთა ჯარში დარბოდა საომრათ და ხოცდა, რა ეს მტვერი დაინახა, გამოსწია მსწრაფად ქუჩუკისაკენ, ვიდრე ეს სამსურ ცხენი მოვიდოდა, ბაუბაუ-დევმა შეხედა ნახა რომ საშინელი მტვერია და ქუჩუკი აღარსადა სჩანს. ბაუბაუმა დიდათ გაიხარა და უეჭველად ქუჩუკი გამტვერებული ეგონა. მაშინ ბაუბაუმა შეუსძახა ჰეი, შენ წყეულო, აგი ვერ მოგკლავდი!? შემდეგ ისეთ ნაირად გადიხარხარა რომ იმის ხარხარის ხმა ორსავე მხრის ლაშქარმა გაიგონეს.

იმ ჟამად როდესაც ბილწის სიცილის ხმა რუიზანმა გაიგო და გულიჯანმა და ყველა ქალებმა, რუიზანმა სთქვა: იმ წყეულის სიცილი საკეთილო არ არის. და მაშინვე ქუჩუკისაკენ გამოსწია და ის იმოდენა დევთა ჯარი გაპო, ვის შეეძლო ამისთვის ხმა გაეცა. მაშინ ნახა რომ სამსურ ცხენი ჯარში დარბის. მაშინ ერთი საშინელი მხეცური ხმა აღმოახდინა და გაიქცა იქით საითაც საშინელი მტვერია, ეს ქალებიც იქით გაიქცნენ, ამ დროს ბაუბაუ-დევმაც თავისი ფიქრით ქუჩუკი მკვდარი ეგონა და იმის ჯარს შემოუტიეს. როდესაც რომ მტვერი უკუ იყარა, ქალებმა შეხედეს ნახეს რომ ბაუბაუ-დევს ხელში თავის მძიმე ლახტი უჭირავს და ქუჩუკის ჯარს უწყალოდ ხოცვით მოსდევს და ჯერ ქუჩუკი არსადა სჩანს. მაშინვე სთქვეს ნეტარ ჩვენი სიცოცხლე რაღა საცოცხლეა, ჩვენც იმასთან უნდა დავიხოცნეთ. მაშინვე გაცეცხლებულნი გაექანნენ რუიზანი და გულიჯანი, უნდოდათ რომ ბაუბაუ-დევზედ მისულიყვნენ საომრად. რა სამსურ-ცხენმა ესე დაინახა იმ წამსვე წინ გადუდგა და გზა არ მისცა ქალებს რომ მისულიყვნენ. მაშინ ამათ იგრძნეს რომ სამსური, ჩვენ ბაუბაუ-დევზედ მისვლას გვიშლის. ამ დროს გულიჯანმა შესძახა, დიდათ გულ მოტკივარმა: ჰეი სამსურ! შენი პატრონი ქუჩუკი აღარსად სჩანსო და ჩვენ რაღათ გვინდა რომ ვიცოცხლოთო. ამ დროს ბაუბაუ-დევმაც მოატანა ქალების ჯართან, შემოხედა

ნახა რომ ორი მშვენიერი ქალი, ხმალ მოწვდილი, ფალევნურის მოისხანი სახით მწყრალი ვეშაპივით დგანან ქალთა ჯარის წინაშე. ქურუკის სამსურ-ცხენი წინადამ უდგას და არ უშვებს ქალებს. ამ დროს დახტა წინ დადგა ბაყბაყმა და მკლავები გაშალა და უნდოდა რომ გულიჯანი და რუიზანი დაეჭირა. რადგანაც ამ ქალებს ქურუკისა ჯვარი გაეგოთრა და გამტერებულნი იდგნენ თავიდამ ხელ აღებულნი. ესენიც არ მოერიდნენ. რა სამსურმა დაინახა ამ ქალებს წინადამ ჩამოეცალა, პირი დაღო და ბაყბაყ-დევს ზედ მივარდა, თავი დაიხარა და რქა მუცელში დაასძგერა, ისე რომ თითქმის წვერი იქით ბეჭდზე გააყოლინა, გამოაძრო და რუსაებრ სისხლმა დენა დაუწყო; მაშინ ეს ქალებიც მისცვივდნენ და ხლმები დაუშინეს. ამ ჯამად ერთი ასეთი შესძახა ამ ბილწმა რომ, ეს ორნივ ქალები გამტერებულნი და გულ შემოყრილნი დაეცნენ. იმ დროს ეს ღრიალი ქურუკსაც მიესმა და ფიქრა იმ წყეულს უთუოდ მე მკვდარი ვგონივარ და ჩემ ჯარს მოუხდა. მაშინ ღვიძლთაგან ერთი ძლიერი ნარა აღმოახდინა და ბაყბაყ-დევისაკენ გამოსწია, ამ დროს ეს საშინელი ხმა ქურუკისაგან ქალებმა იცნეს და სწრაფად გონზედ მოვიდნენ. ბაყბაყ-დევიც ქურუკის ხმაზედ გამტერდა და აქეთ-იქით ყურება დაიწყო, ქალებმა მაშინვე შეამჩნიეს რომ ქურუკის ხმაზედ უგონოთ შეიქმნა. ამ დროს გულიჯანმა რუიზანს ხმა მისცა და ერთი საშინელი საომარი ხმაც აღმოახდინეს და მიუხდნენ ხლმებით და ერთ მხრითაც სამსურ-ცხენი, ამ დროს ქურუკმა დაინახა ეს ქალები, ამაზედ ძლიერ ჯავრი მოუვიდა და სთქვა: ეს ქალები აქ რისთვის მოსულანი, ამ საშიშარ ადგილასაო? ქურუკმა კარგათ იცოდა რომ ვეღარ მიუსწრობდა, ერთი საშინელი ნარაც იქ გასწია და ამ ბილწმა იმ ხმის შიშით ამ ქალებზედ სამტროდ ვეღარა იმოქმედარა და ქურუკმაც მოატანა მალე. მაშინვე წელიდამ თავის ქამანდი მოიხსნა, შესტყორცნა და წელში მოსდო. რა რომ ამ ქალებმა ქურუკი დაინახეს, დიდათ გაიხარეს და ამათაც ქამანდები გადააყარეს და კისერში მოსდეს—და გასწიეს. მაშინ ის ბილწიც გონებაზედ მოვიდა, ნახა რომ ათი ხელი ქალებისაგან მოსწყვეტია. სამსურცხენსაც თავისი რქა წაუძგერებია, ქურუკსაც ქამანდი წელში ჩაუგდია და ქალებსაც ქამანდები უსროლიათ და კისერში მოუდვიათ. რა ამ დღეში ნახა თავისი თავი, ასეთი გასწია რომ ქალები და ქურუკი ცალს მუხლებზედ დააჩოქა—ქალები თუმცა პირქვე დაეცნენ მაგრამ საჩქაროდ წამოდგნენ, რუიზანს და გულიჯანს, რადგანაც ქურუკი იქ ეგულებოდათ, დიდი იმედი ჰქონდათ და გაამაგრდნენ, ქამანდის წვერებს ძალზედ ეწეოდნენ და მეორე მხარესაც ქურუკმა ქამანდი ძრიელ გაზიდა და ეს საშინელი დევი ძლიერ შეაწუხეს. ამ დროს ბაყბაყ-დევის სარდლებმა და ფალევნებმა რომ ნახეს თა-

ვიანთ ხელმწიფე ამისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაში, მაშინვე ხუთასოათასი დევთა ჯარი გარს შემოერტყენ, მანამ ესენი გარს შემოეხვეოდნენ, სარვიხურამანმა; უსნიარამ და გულიჯანმაც გაასწრეს. როდესაც დევთა ჯარი შემოერტყათ, მაშინ კაცინა დასცეს, ამ ხუთთა ფალავან ქალთა, სარვიხურამანს, უსნიარას, გულიჯანს, გულჩინს და რუიზანს; — ქურუკსა და სამსურცხენს. მაშინ ამ ქალებმა რომ თავიანთზე ეს ამოდენა ჯარი ნახეს, მაშინვე ხმლებს გაიკრეს ხელი და დაუშინეს. ამ დროს რუიზანმა და გულიჯანმა ძალაუნებლიეთ საგდებლები ხელიდამ გაუშვეს და ამათაც გაიკრეს ხელი ხმლებს და ქურუკიც მალ-მალ საშინელ ნარას ეწეოდა და რაც შეეძლო იმ ქამანდს ეწეოდა. ამ დროს დევთა ქურუკზე იერიში მიიტანეს რომ უნდოდათ როგორმე ქამანდის წვერი ჩაეჭრათ და ბაუბაუ-დევი გაენთავისუფლებინათ, მაშინ იმათ შემოტევაზე, ქურუკი ასეთს ნარასა სწევდა ხოლმე რომ ეს ამოდენა ურიცხვი დევნი ყრიამახერთს ეცემოდნენ. იმ დროს სამსურცხენი გამმაგებული და ცის ელვასავით ხან ქურუკზე მისულ დევთა ჯარს შეუტევდა და ხან ქალების მხარეს მიუხტებოდა და ეს ბილწი ბაუბაუ-დევიც ძლიერ შესწუხდა ბევრის სისხლის დენით და ქურუკის ქამანდის წევით ისე რომ ლამის წაქცევას ლამობდა და ამბობდა ნეტა ამისთანა ძლიერება იქნებათ რომ ამ ადამის ძესა აქვსო! როგორც ვხედავ ვეღარ გადურჩები. ახლა უნდა იმოდენას ვეცადო რომ ამ ქამანდიდამ მოურჩე და მერე გადავიხვეწო სადმე, თორემ ამ სისხლის მსმელს ვინ გადურჩებათ, მეტადრე ამ ქალებმა ხომ უარესი მიყვეს, რამდონიმე ხელი მამწყვიტეს და ქურუკის მხეცისაგანაც ესეთი ძალა დამადგა რომ გულდვიძლი დამეჩქლითა და ეს ამოდენა უთვალავი ჩემი ჯარი შემოხვევიათ და მაინც ჩემამდის ვერ მოახწიეს რომ გამანთავისუფლონ. და თუ იმ სისხლის მსმელ ფალავნებმაც მომასწრეს: ხოსროვშირმა, უოვლიბანმა, ნარიმანმა, ყათრანმა და ბარამჯიბილმა, მაშინ ჩემი დღეც გათავდებაო.

## ეს დევი ამ ფიქრში დაუტეოთ და მოვიდეთ უოვლიბანთან, ხოსროვშირთან, ნარიმანთან, ყათრანთან და ბარამჯიბილთან.

ამათ შეხედეს ნახეს რომ ეს ამოდენა დევთა ჯარმა, სულ ერთ მხრისაკენ ჰქნეს პირი — და მარჯვნივ ჩვენი დევთა სარდლები სულ ელეტით მისდევენ უკან ბაუბაუ-დევის ჯარს, და აღარც ქალების ჯარი სჩანს და ერთი როგი ბაუბაუ-დევის ჯარი ამათ დევებში ამბირს, ზანგსა, ანუაბუზს, ზორაბ-დევს და ზორაბ-შაჰვას ებრძვიან და საშინელი წადებ-წამოდებაა. მე-

სამე მხარესაც საშინელი გუგუნის ხმა ისმის და დიდძალი სამრავლე ჯარი-ნა იქით არის, რომელ ჯარებსაც ანბირ და ზანგ-დევნი უბრძვიან და ზო-რაბ-შაჰა, ზორაბ დევი და ანუაბუზ-დევი. თუმცა იმ მძლავრს ჯარს უნდათ რომ ბაყბაყ-დევისაკენ წამოვიდნენ, მაგრამ ზანგ-დევის ჯარებისათვის ვერ გაუტანებიათ. მეორეზე მხრიდამაც, რამდენიმე ათასი ჯადოთ ლაშქარნი ამ ბაყბაყ-დევისაკენ მიდიან ჩქარი სიარულით. მარცხნივ შეხედეს ნახეს რომ სამასი ათასი ცეცხლის მფრქვეველი დევთა ჯარი, სისწრაფით ბაყბაყ-დევი-საკენ მიდიან. სთქვეს ეს რა ამბავი უნდა იყოსო? ამათ ქუჩუკისა და ქა-ლების ამბავი კი არ იციდნენ, თუ რა გაჭირვებაში ჩავარდნილან. ამ დროს ამათ ხმლებზედ ხელი დაიწყეს და წაუშინეს ამ დევთა ჯართა და ქუჩუ-კისაკენ გასწიეს.

## ეს ხუთნი გმირნი და ყოვლითა უძლეველნი ფალავანები აქ დაუტიეთ და მოვიდეთ ქუჩუკთან და ქალებთან.

მაშინ ამ ქალებმა ძრიელ დიდი ომები გარდაიხადეს, აგრეთვე ქუ-ჩუკის სამსურ-ცხენმა, ისე რომ იქაურობა სულ დევთა მძოვრით აავსეს და ხან ქუჩუკისაკენ მიუხტებოდა ხან ქალებისაკენ. ამ დროს, ბაყბაყ-დევს დიდ-ძალი დევთა ჯარი მოემატა და სულ ერთიანად ამ ქალებს და ქუჩუკს შე-მოერტყნენ და ძლიერაც შეაწუხეს. ისე რომ ქუჩუკმა იფიქრა: თუ საგდე-ბე-ი ხელიდან კაუშო, ეს ბილწი განიავისუფლდებაო და მაშინ იმ ქალე-ბის შიში მაქვსო და ამოდენა მტრის დევთა ჯარიც მოგვაწყდესო და მეც ამ ქამანდის გამოისობით ხელი ვერ მიხმარებია, ამისთანა ფიქრებით ქუ-ჩუკი ძლიერა სწუხდა ქალებისათვის. და თითონ ასეთს ნარასა სწევდა რომ იმის ხმაზედ მრავალი დევთა ჯარის კაცები ჭკუიდამ იშლებოდნენ და ას-ლის ვერ მისდგომოდნენ. ამას ჰაერიდამ ფაშკუნჯი სულ ათვალიერებდა ხედავდა რომ ქუჩუკს ბაყბაყ-დევი ქამანდში გაუბავს, მაგრამ დიდძალი ჯა-რი დახვევია და ვერ დაუმორჩილებია და ვერც თვითონ ხელი უხმარებია და მაღმაღ ნარასა სწევს. მეორე მხარესაც ქალები დიდს ბრძოლაში არიან, ისინიც ძლიერ დაღლილან. ამათთან ქუჩუკის სამსურ ცხენი საშინლად ომობს ისე რომ სულ ოფლში გაწურულა; მაშინ ფაშკუნჯმა სთქვა: აი ახლა უჭირს მოხმარება ქუჩუკს, თორემ საქმე საჭიროდ გაგვიხდებაო. ამ დროს ძირს დაეშვა, ნახა რომ საჭმანი და კოჭლი დევი იქავ ახლოს ომობენ, დაუძახა და უთხრა: ჰეი საჭმან! ქუჩუკს მიეშველენით რომ დიდ გაჭირვებაში ჩა-ვარდნილი და ყოველივე უამბო და მაშინვე ხუთი დევი გაგზავნა ხოსროვ-

მირთან, ფოლადიშართან, ნარიმანთან, ყათრანთან და ბაჩამჯიბილთან. რა ესენი შევიდნენ, ნახეს რომ ეს ხუთნი ფალევანნი დიდ გაცხარებულ ბრძოლაში არიან, დევებმა ფალავნები თავისთან მოიხმეს და ყოვლივე უამბეს ქუჩუკის და ქალების გაჭირვება. ქუჩუკისაგან ქამანდში გაბმა, ბაუბაუ-დევისა. რა ესე გაიგეს უნდოდათ რომ სიჩქარით ფრთები შეესხათ და ისე ჩქარა მიშველებოდნენ თავიანთ ამხანაგ ქუჩუკს და სხვებს.

## ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და საჭმანისა და კოჭლი-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

რა ამათ სიმრულისაგან ესეთი ამბავი გაიგონეს, მაშინვე გარდანქეშანი, ასიმი და სიროვანჯა, ზურგს შეისვეს და აფრინდნენ ჰაერში, იქიდამ დახედეს ნახეს რომ ქუჩუკს ეს უშველებელი დევი ქამანდში დაუმწყვდევია და ველარ თმვრის, იქითაც ეს ხუთნი გმირნი ქალნი, დიდ ბრძოლაში არიან და სამსურ ცხენიც ხან ქუჩუკისაკენ მიიტანს იერიშს და ხან ქალებისაკენ, მაგრამ ძლიერ დაღლილა და ქუჩუკიც მალმალ ნარას აწევს, ეს ამოდენა აურებელი დევთა ჯარი სულ ქალებს და ქუჩუკს შემოხვევიან, ხმლით მუშით, ლახტით, გურზით და ნაჯახით ეხვევიან, და ძლიერაც შეუწუხებიათ, ისე რომ თითქმის აწორობს რომ ქამანდი გაუშვას და თილისმებით შეუტიოს, მაგრამ ამასაც ფიქრობს თუ ქამანდს თავი დაანებოს — ეს ბილწი განთავისუფლდება და დიდ ძალ ჯარს ამამოწყვეტსო და ქალებსაც შეიპყრობს. ამისთვის დიდ განსაცდელში იყო ჩავარდნილი ქუჩუკი და მალ-მალ ნარას სწევდა. ძლიერ რომ შეწუხდა, მაშინ მაღლა აიხედა და ღმერთს შეევედრა, ჰეი, საბაოთ ღმერთო! შენ ჩამომხედე და ღვიძლთაგან ასეთი ხმა აღმოახდინა რომ ამის ხმა იმ ხუთთა გმირთაც მიესმათ და სთქვეს: უთუოდ საქმე საჭიროდ გახდომია ქუჩუკსაო. მაშინვე საჭმან-ალამზადი თავის ამხანაგებით და გარდანქეშან აიარი და კოჭლი-დევი, ესენი გაცეცხლებულნი ჰაერიდამ ძირს დაეცნენ. ქუჩუკს რომ შეხედეს იმისთანა გაჭირვებაში, მაშინ ლამის გაგიჟდა საჭმანი ჯავრით. გაიკრა თავის ბასრ ნაჯახს ხელი და ჩახჩივით დატრიალდა და დაერია ამ დევთა ჯარს, მეორე მხარეს საჭმანის ათურთმეტი დევნი მშიერ მგლებივით. ამათთან გარდანქეშანმაც თავისი ალმასის ნაჯახს მოავლო ხელი, ასიმი და შიროვანჯაც თან მიიყოლია და საითაც ქალები იბრძოდნენ იქით გასწიეს და უწყალოდ ხოცვა დაუწყეს. მათუზ კოჭლი-დევიც მიიჭრა გულიჯანს თავი დაუკრა და ხმალს გაიკრა ხელი და დაერივნენ. ამ დროს ქუჩუკმა და ქალებმა, რომ ნახეს საჭმანი თა-,

ვის ამხანაგებით, ამასთან კოჭლი-დევი, გარდანქეშანი, ასიმი და შიროვან-ჯა, დიდი იმედი მიეცათ და ხმა მისცეს ერთმანერთს და დაერივნენ.

## აქ ყოვლიბანისა, ხოსროვშირისა, ნარიმანისა, ყათრანისა და ბარამჯიბილის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ეს ხუთნი გმირნი ყალყანთა ქურუკისაგან ბაუბაუ-დევის ქა-მანდში გაბმა და ქურუკისაგან და ქალებისაგან დიდი ომი იხილეს და დევ-თა ჯარისაგან ამათ შეწუხება, თავიანთ დევებს უბრძანებდნენ ჭაერით, რომ დროთი მიგვიყვანეთო. იმ დევთაც საჩქაროდ იარეს და სწრაფად მიაღწიეს. ამ ჟამად ზევიდამ დახედეს ნახეს რომ, ზღვისოდენა ჯარები რამდენიმე დასტად გაყოფილან და ქურუკზე იერიში მიუტანიათ და ქურუკსაც ბაუბაუ-დევი ქამანდში ჩაუგდია და უწევს რაც კი შეუძლიან, მაგრამ იმოდენა ძალა ვერ მიუტანია რომ წაექციოს, ასე რომ ეს დევთა ჯარი ეხვევიან, ზოგი ხმლით, ზოგი ლახტით და გურზით. ქურუკი ხან ამათ ებრძვის ხან ქა-მანდს ეწევა, მეორე მხარესაც ქალებს, რამდენ რიგათ დევთა ჯარი შემო-ხვევიან და დიდი ომი აქვთ,—კიდეც დაღლილან, ისიც ნახეს რომ კოჭ-ლი დევი, გარდანქეშანი, ასიმი და შიროვანჯა, ქალებთან არიან და ისინიც თავგანწირულათ ომობენ, მაგრამ ვერა გაუწყვეტიათრა. ერთ მხარესაც საჭმანი თავის ამხანაგებით, ქურუკს ზურგს უნახავს და ესენიც დიდ ომში არიან. აგერ სამსერ ცხენიც დაერია მტრის დევთა ჯარსა და სულ გათანტა ქუ-რუკის წინიდამ და უწყალოთ ხოცვა დაუწყო. მერე წიხვინით ქალებთან მო-იჭრა და ახლა იქ დაერია ჯარს და ხოცავს უწყალოთ. ამ ჟამად ბაუბაუ-დევის ომში თუ სამსერ ცხენი არ მესწრებოდა ქურუკს, საქმე დიდათ უჭირ-და. და დიდი შემწეობაც მისცა ქურუკს. ახლა ამ ბოლოს ომშიაც ხომ მოგ-ხსენდათ ამან რა საქმეებიც ჩაიდინა.

ამ დროს ამ ხუთთა გმირთა ზემოდამ რომ დახედეს, ნახეს რომ სა-შინელი ომია. სასწრაფოისაგან ვინაიდამ ჭაერიდამ გადმოცვივდნენ და მაღ-ლიდამ ხუთთავემ, ერთი ჯერით ნარა გასწიეს რომ ამას ბრძანებდით ეს ქვეყანას დაეცა. ამ ხმის შიშით, ორივე მხრის ლაშქარნი ომს მოეშალ-ნენ და მაღლა დაუწყეს ყურება. ამ დროს კიდეც ეს ხუთნი გმირნი ძირს ჩამოეშვნენ და მაშინვე ნარიმანმა, ყათრანმა და ბარამჯიბილმა ქურუკის მხა-რეს დასცეს ჯიჟინა და შეუტიეს, ყოვლიბანმა და ხოსროვშირმაც ქალების მხარეს შეუტიეს, ისეთი საშინელი ომი ასტეხეს რომ მეორეთ მოსვლას ემგზავსებოდა. ყაანა მხრიდამაც ბაუბაუ-დევს კიდევ დიდძალი ჯარი მოე-

შქელდა. მერე მარჯვნივ მხარეს, ამბირ და აფთარ-ხანგი, ზორაბ-დევი, ან-ჯამურზ-დევი, ზორაბ-შაჰი და სურხაბ-დევი მოაწვნენ და სამპირათ ჯარი შემოეხვია, ეს ამბავი ფარვან-დევსაც აცნობეს, რადგანაც ის უფრო წინ იყო გაგზავნილი, ისიც თავის ჯარებით წამოვიდა. აქ შეიქმნა ფეიცხელი ომი ისე რომ თეთრი ცხენი და შავი ცხენი არ ერჩეოდა. ბაუბაუ-დევის დამქარი ასი ათასი, ქუჩუკს და ქალების ჯარს შემოერტყნენ. რაც ყოვლიბანის ჯარები ჰყავნდა, ისინიც ბაუბაუ-დევის ჯარს შემოერტყნენ. ბაუბაუ-დევის სამასი ათასი დევთა ჯარი, ყოვლიიანისს და ხოსროვშირის ჯარებს შემოერტყნენ და ამათაც ბაუბაუ-დევის ჯარებს, ამბირ და ზანგ-დევი ანუაბუზ და ზორაბ-დევი, ზორაბ-შაჰი თავიანთ ჯარებით მოვიდა და ერთ მხარესაც ამათ შემოუტიეს. ორთავე მხრის დამქართა თუმცა დიდის სურვილით უნდათ რომ თავიანთ ხელმწიფეებთან მიახწიონ, მაგრამ ვერ გაატანეს. ამ დროს შევიდა შავი-დევი, ხაზარან-დევი, არჯაგ-დევი და საყანჩუნ-დევი. ესენი დიდათ ჰკვირობდნენ ამ ქალთა ომსა და ქუჩუკის ძლიერებას, რომელსაც ის იმოდენა უშველებელი დევი ქამანდში შეპყრობილი ჰყავს და იმოდენა დევთა ჯარიც ახვევია.

როდესაც ქუჩუკმა თავის მამა ნარიმანი, ქათრანი და ბარამჯიბილი დაინახა, მაშინვე ერთი ძლიერი ნარა გასწია და რაც ძალა ჰქონდა საჩქაროდ გამოსწია ქამანდს და ეს საზარელი დევი პირქვე დასცა. მაშინ ბაუბაუ-დევის ჯარებმა რომ ესე ნახეს, მაშინვე საშინელი კიჟინა დასცეს და ზედ მისცვივდნენ, ქამანდის წვერი გასჭრეს და ბაუბაუ-დევი იმ გაჭირვებიდამ გამოიხსნეს. ბაუბაუ-დევმა რომ თავისი თავი განთავისუფლებული ნახა, მაშინვე სხვა და სხვა იარაღები მიიღო ხელებში და ეს უშველებელი დევი ქუჩუკის ჯარს დაერია და მრავალი დევთა ფალევნები დახოცა, ზოგს ფეხით, ზოგს წიხლით, ზოგს ხმლით, ზოგს ხანჯლით და ნაჯახით, და სხვა და სხვა იარაღებით ხოცავდა. ამ დროს ქუჩუკი უკან გაეკიდა ბაუბაუს და დიდათ ითაკილა ქუჩუკმა რომ ქამანდიდამ წაუვიდა. თუმცა სათაკილო არ იყო რომ იმოდენა უშველებელ დევმა დაიხწია თავი, მაგრამ ქუჩუკი მაინც თაკილობდა. მაშინვე გაჯავრებულმა შეუტია ბაუბაუ-დევის ჯარს და ახლა უყურეთ ქუჩუკის ომსა, ისეთნაირათ ომობდა რომ როგორც შავარდენი მტრედის გუნდში. ისე ხოცდა მტრის ჯარს და დიდათ განრისხებული მისდევდა და ბაუბაუ-დევს ეძებდა, მაგრამ ჯარის სიმრავლისაგან ვერ მიახწევდა. ამაზედ მეტად სწუხდა. ის წყეულიც საითაც თავის საბილო ჯარი იყო იქით მიდიოდა, უნდოდა რომ გზა გაეხსნა და როგორმე გაქცეულიყო, ყოველთვის ის იმ ფიქრში იყო რომ როგორმე გაქცეოდა, მაგრამ ვერსად წაუვიდათ. ამ ჟამად რა ხუთთა გმირთა, ყოვლიბანმა, ნარიმანმა, ხოსროვ-

მირმა, ყათარაზმა და ბარამჯიბილმა შეიტყვეს რომ ბაყბაყ-დევი ჯარს დარეჯის და ქურუქს ხელიდამ წასვლია და იმის გამზრახველს ეძებენ რომ გაძევეც ქნილა. მაშინვე ამ ხუთმა გმირმა ერთმანეთს ხმა მისცეს და კი უთვალავი ჯარი გაამზეს და წინადამ მოასწრეს და საშინელი ომი აუტეხეს, და ბაყბაყ-დევის მოწინავე ჯარებს დაუხვდნენ და დაუშინეს ხმლები. ამ დროს ზორაბ-დევი, ამბირ-დევი, ზანგ-დევი, ანუაბუზ-დევი და სხვანიც გარს შემოერტყნენ და დაუშინეს ხმლები და ბაყბაყ-დევის ჯარები შეაყენეს: ამ დროს ფარვან-დევიც მოიჭრა და ქურუქს მიასხენა: ფალავნო, მე ბაყბაყ-დევის განზრახვა შევიტყვე, რომელიც ქურუქს აპირებს და თუ ნებას მომცემთ გზებს შევუკრავთ.

მაშინ ქურუქმა ნება მისცა, რომ ეხლავ არამც წამოვიდესო. მაშინვე ფარვან-დევს უბრძანა: ფარვან! შენ შენის ჯარის დამქრით და ასი ათასი რჩეული დევით გზები შეუკარ. თუ დაგვეწიოდეს ანუაბუზ-ხანას და ზორაბ-მაჯის თავის ფერიების დამქრით და სარდალ-ფალავნებით ვეტყვი რომ თან წამოგვყვეს. როცა ღვთით ჩვენი გამარჯვება შევიტყოთ, მაშინ შენ აქეთ ნუღარ დაბრუნდები, შენ გასწი და თეთრ-დევზედ მიდი, მხოლოდ ომი არ დაუწყო და რაც ახირ-ჯადოსავან გზები თუის შეკრული და თილისმებით გამაგრებული, სულ დაარღვიე და გზები გაწმენდილი დამახვედრე. მხოლოდ შენ იმის ომიდან ხელი აიღე, თორემ, ღმერთმა დაგიფაროს, თუ შენ გაიგეს რამე იმის ხელიდამ, ჩვენი სახელმწიფოც და თქვენიც შენ შემდეგ სულ დაიღუპება. ამისთვის გეხვეწ რომ იმის ომისაგან ხელი აიღე. შემდეგ ქურუქი დაფიქრდა და სთქვა: მე ვიცი რომ ფარვან-დევი იმის ომისაგან ხელს არ აიღებს. ამბირ-დევს და ათთარ-ზანგს უბრძანა: აბა ჩემო სიყვარულნო ერთგულნო! თქვენ ფარვან-დევს უნდა გაჰყვეთ თქვენის დამქარ-ფალავნებით და თუ ვინიცობაა თეთრ-დევზედ მოინდომა მისვლა და არ დაიშალა ჩვენ ფარვან-დევმა, მაშინ თქვენ იცით ჩემს მოსვლამდის მოიგერიც გარეჯებით. კენი სარქართო გაისტუმრა და ამათ ალაგს ზორაბ-დევი უხმა თავისის ასი ათასის დამქრითა და ზორაბ-მაჯი ისევ უკან დააბრუნა ფარვანს ალარ გატანა. მაშინ ფარვან-დევი, ანუაბუზ-დევი, ზანგ-დევი, ოთხასი ათასი დევით და მეომარი ჯარით და ორასი ათასი ჯარის დამქრით, თეთრ-დევისაკენ გაისტუმრა და სხვათაც უბრძანა რომ, თქვენ ყოველ მხარეს ბაყბაყ-დევის დამქართა შეუტიეთ, მარჯვნივ ის ხუთნი გმირნი ფალავანნი და ხელმწიფენი: ესე იგი ყოვლიბანი, ხოსროვმირი, ნარომანი, ყათარანი და ბარამჯიბილი მივიდნენ. როდესაც ჩემი ნარის ხმა შეიტყოთ, მაშინვე თქვენც შეუტიეთ. მარცხნივ მისვლა კოჭლ-დევს სამმანს თავის თერთმეტ ამხანაგ დევებით და თავიანთ დამქრით უბრძანა მისვლა.

სალვთხურამანის, უსნიარას და გულჩინს სთხოვა: თქვენც რადგან არ იშლით რომ, ზარან-მაჭი თავის ასი ათასის ფერის ჯარით და თავის ფალევან ნაზუქ-ჭინით თქვენ გახლდნენ და ზურგი მაგიხართ. მერე უთხრა: გარდანწყვეტო! შენ შენი გრძნეულის ხაირებით, ასიმით და შირთვანგით ნუ გამშორდებით. მერე გამობრუნდა და კიდევ თავის საყვარელ დას რუიზანს და თავის სატრფიალო საყვარელ ცოლს გულიჯანს უბრძანა: რადგანაც არ იშლით და ჩემთან გინდათ იყვნეთ, მაშ თქვენც ჩემსავით ფალევნურათ ჩაიცვით, ამათ დიდათ ომათ და იმ წამსვე ორი ხელი სიფალევნის ტანთ-ჩასაცმელი მოატანინა, ერთი ხელი გულიჯანმა ჩაიცვა და მეორე ხელი რუიზანმა და ძლიერ დამშვენდნენ—და ისეთი ფალევნური სახე დაედოთ რომ, თუმცა მამაც ვეშაპს მეეხედა იმასაც გულს გაუხეთქავდა. მეტადრე რუიზანი ძლიერ დაემზგავსა თავის ძმას ქურუღს. ვერვინ გაარჩევდა თუ თვალადობით თუ ტანადობით. ასე მოგვითხრობს უარამანიანის წიგნი რომ რუიზანი ბევრ რიგ იარაღში, საომარო ხმარებაში ქურუღს სჯობდა და თვით ქურუღიც ამტკიცებდა იმის მამაცობას და იმისთვის დიდათაც უყვარდა. როდესაც ქურუღი ნარას გასწევდა მარჯვნიდ, მეორედ რუიზანს უბრძანებდა ნარის გაწევას, და სულ არ ერჩეოდა, თუ ქურუღის ხმა იყო თუ რუიზანისა.

ქურუღმა რა ესე ყოველივე საქმე გაარიგა, მაშინ თავის სამსურ ცხენი უცხოთ მორთო და ისეთი ბარგისტანი ნაალი, რომ მაგეხედნათ იმის სიმშვენიერისთვის და მორთულობისთვის ამას იტყოდით თუ ფარგალშია ჩამოსხმული. მაშინ ქურუღი გადაჯდა და ორსავ თვალებში აკოცა. ამ დროს ეს ცხენი გამტერებული გულიჯანს და რუიზანს უყურებდა და ხან ქურუღს მიხედავდა, ვერ გაერჩია თუ ეს ფალევნები ვინ იყვნენ, ამიტომ ხან ერთს მიხედავდა ხან მეორეს, და ამბობდა ნეტარ ეს ფალევნები ვინ უნდა იყვნენ და ან საიდამ მოვიდნენო, სამსური ირემის ეშვში შევიდა, შენ უყურე ამ პირუტყვის გონებას, რომ მაშინვე სალვთხურამანისაკენ გაიქცა, ნახა სალვთხურამანი, უსნიარა და გულჩინი საომრად განმზადებულნი და რუიზანი და გულიჯანი კი იქ არ არიან. სამსურა-ცხენი მაშინვე მიხვდა რომ იქ ფალევნურ ტანისამოსში რომ იყვნენ გამოწყობილნი, ერთი რუიზანი იყო და მეორე გულიჯანი. მაშინვე საჩქაროდ გამობრუნდა ჭიხვინით და თამაშობით მოვიდა და დაიწყო ტრიალი. მაშინ გულიჯანმა მოახსენა ქურუღს, ჩემო სიცოცხლევ და ჩემო ორსავ თვალის ნათელო, მე ძლიერ მინდა შევიტყო თუ, თქვენი სამსურ ცხენის ესე საჩქაროდ წასვლა და მოსვლა რა მიზეზი იყო! ახლა ესე უცხოდ თამაშობს და ჭიხვინობს. რას ნიშნავს? მაშინ ქურუღმა გაიცინა და მოახსენა: საყვარელო დაო, ამ ჩემ ცხენის გონებას მე

თვითონ ვკვირობ, თქვენ რომ კატურათ დაგინახათ მოკაზმული, ვერ გიცნოთ და ენაც არა აქვს რომ ეკითხა და შეეტყო თქვენი ვინაობა, იმაზე გაშტერდა და ეჭვი აიღო, თავის ეჭვის დასამტკიცებლად გაიქცა სალვიხურამანთან რომ იქ თქვენ გნახოთ. რა თქვენ იქ ვერა გნახათ, მაშინ თავის აზრი დაამტკიცა და გიცნათ რომ თქვენ იყავით და ეგ ჭიხვინი და თამაშობა იმასა ნიშნავს რომ დიდათ გაიხარა. მაშინ ღმერთს მადლობა შესწირეს და ღვთის განგებას ჰკვირობდნენ.

ქუჩუკმა რომ გაათავა თავის სამსურ ცხენზედ ლაპარაკი, რუიზანს უთხრა: საყვარელო დაო რუიზან, შენ ერთი ძლიერი ნარა უნდა გასწიო რომ ფალავანნი საომრათ მოემზადნენ, ანუ ომი დაიწყონ. მაშინ რუიზანნარამ მარჯვენა ხელი მარცხენა გვერდზედ მოიდო და მარცხენა მარჯვენასა და ასეთი ნარა გასწია რომ ეგონათ ცა ქვეყანას დაეცაო. იმ ხმაზედ ორსავე მხრის ლაშქარნი შედგნენ. მაშინ ქუჩუკმაც შესძახა და ხელი გაიკრეს ხმლებსა, მაშინ იმ ხუთთა გმირთა რომ ეს ორი ნარის ხმა ესმათ ორივე ერთნაირი ამაზედ გაჰკვირდნენ და სთქვეს, ერთი ხმა ქუჩუკისა იყოვო და მეორე ნარის ხმა ვისი უნდა იყოსო! მაშინ ხლმებზედ ხელი დაიწოდეს და დაერივნენ ამ დევთა ჯარს და ღვთის რისხვა მათზედ დასცეს და მალმალ ერთმანერთს ხმას აძლევდნენ. ისე დაშინდრენ ბაუბაუ-დევის ლაშქარი, ამ ხუთთა გმირთა ფალავანთაგან, რომ საითაც ესენი შაუტევდნენ გზას დაუგდებდნენ. მეორე მხრიდამ სალვიხურამანი, უსნიარა და გულჩინი, ზორაბ-შაჰი, თავის ნაზუქ-ჯინით და უცხო ფალავნებით და ჯინთა ლაშქრით. მესამე მხრიდამ ზორაბ-დევი და კოჭლი მათუზ-დევი და მეოთხეს მხარეს ქუჩუკი, რუიზანი და გულიჯანი, ამათთან გარდანქეშანი, ასიმი, შიროვანჯა და სამსურ-ცხენი. ყველამ შესძახეს საომარ ხმებით და მიეტივნენ, ჰყვიროდნენ: ჰკარ, მოჰკალ, შეჰკარ, შეიპყარ და ნურც ერთს ცოცხალს ნუ გაუშვებთო. დევთა ამათი შემოტევა რომ ნახეს, თუმცა ბაუბაუ-დევის ჯარიც მხნეთ დაუხვდნენ და მამაცურათაც ომი გარდაიხადეს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ მკითხველო რომ პირველად ღვთის განგება იყო რომ დევთა ჯარი უნდა დამარცხებულიყო. ამიტომ რადგანაც ქუჩუკი და ხელმწიფე არდევანშაჰი და იგინი ხუთნი გმირნი ფალავანნი, ღვთის მოყვარულნი და თაყვანის მცემელნი იყვნენ და თვითონაც უცხო გმირნი და მამაცნი იყვნენ, იმიტომ იმ მიზეზით ღმერთიც სწყალობდა და ამათ არც დევი, არც ქაჯი, არც ჯინი, ვერც ადამიანნი გაუძლებდნენ. ისეთი ომი ასტყდა რომ ამას იტყოდა კაცი მეორედ მოსვლაო. ამ დევთა ორთქლით ჰაერი შეიკრა და ამათ კივილისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. რა ბაუბაუ-დევმა შემოხედა ნახა რომ ოთხივ კუთხივ თავისი ჯარი ებრძვის და მამაცურათაც იბრძვიან, მაშინ

ერთი რაღაც იმედი მიეცა ბაყბაყ-დევს და თვითონაც საშინლათ დასჭყივლა და თავის ჯარს ხმა მისცა! რა დევთა თავიანთ ხელმწიფის ხმა გაიგონეს ასეთი ყვირილი შექმნეს რომ ქუჩუკის ჯარი ცეცხლით აავსეს და ცოტა ალაგსაც ქუჩუკის ჯარი წამოიღეს. აქედამაც ესენი წამოვიდნენ და დიდი წადებ წამოდება შეიქმნა.

მაშინ ბაყბაყ-დევი ვისაც წიხლსა სცემდა, ასს და ორასს ერთად ხოცავდა, ვისაც ხმალს შემოჰკრავდა ოცსა და ორმოცს ერთად გაატაინებდა. სადაც ჭკუფ ჯარს ნახავდა ლახტს ესვროდა და ათასს ერთად გაასრესინებდა. ამისთანა მოქმედებით დიდძალი ჯარი ამოწყვიტა და დიდი ძალაც დამართა ქუჩუკის ჯარს. ქუჩუკი ძრიელ ცდილობდა რომ ბაყბაყ-დევისთვის მიეხწია როგორმე, მაგრამ ჯარის სიმრავლისაგან ვერ მიახწია და მრავალი ჯარი კი იხოცებოდა. ამ დროს, ქუჩუკის განზრახვა სამსურ ცხენმა გაიგო, რომ ქუჩუკს უნდა რომ ბაყბაყ-დევს შეხვდეს და ვერ მიუტანებია ჯარის სიმრავლისაგან. ამ დროს სამსურ ცხენმა თავი დაღუნა და დევთა ლაშქარს შეუტია, გააპო და იქით მხარეს გავიდა, საითაც ბაყბაყ-დევი იომობდა, მაშინ როდესაც მიუახლოვდა ბაყბაყ-დევს, ერთი საშინლათ შეჭყვირა და ბაყბაყის ჯარს შეუტია, ამ დროს ბაყბაყ-დევმა შესძახა! არიქნა დევნო, ეგ მხეცი არ გაუშვათო! მაშინვე შემოეხვივნენ გარს და დაუწყეს ხლმით ცემა, ისრით, შუბით, გურზით და სხვითა, რაც რომ შეხვდათ, მაგრამ იმის ბარგისტანს რა ჩაატანდა, ასეთი ცქვიტად იქცეოდა რომ ღვთის რისხვა მათზედ დასცა და მრავალი დევი დახოცა. ზოგი ფეხით, ზოგი კბილით, ზოგი რქით. რქაზედ ათ თორმეტს ერთად აიგებდა და თავს გაიქნევდა და შორს გადაჰყრიდა და ამ რიგათ ხოცავდა.. ამ დროს ბაყბაყ-დევმა რომ დაინახა იმის მოქმედება, შესძახა: დევნო რას უყურებთ! ქამანდები ესროლეთ ეგები ქამანდებით მაინც შეიპყრათ!

ამ დროს მიუახლოვდნენ რამდონიმე დევი და ქამანდები ესროლეს და კისერში მოსდეს და წევა დაუწყეს, ამ დროს გაექანებოდა, მეხივით ეძგერებოდა და რომელსაც ქამანდები ეჭირათ, რქაზედ აიგებდა. ასი ქამანდი კისერზედ ჰქონდა გადაცმული რა ბაყბაყ-დევმა ესე დაინახა რომ იმოდენა დევთა ჯარს ქამანდები უსროლიათ და ვერაფრით დაუმორჩილებიათ, იმოდენა ჯარსაც ხოცავს, მაშინ თითონ ერთი საშინელი ნარა გასწია და მოუხდა, თავისი რამდენიმე ათას ალყიანი ქამანდი სამსურ ცხენს შესტყორცნა. როდესაც სამსურ ცხენმა ბაყბაყ-დევი თავისზედ მისული ნახა ქამანდით, ამ დროს ისეთი გადახტა რომ ბაყბაყ-დევის ქამანდი იმას ვერ მისწვდა, მაშინვე გამოტრიალდა და იმოდენა ქამანდებს ყელზედ ჩამოცმული მოათრევდა და ქუჩუკთან მოირბინა და ჭიხვინი დაიწყო, მაგრამ ისეთნაირათ

გაოფლიანებულიყო რომ წურწურით ოფლი გასდიოდა. მაშინვე ქუჩუკმა თვალებში აკოცა და ქამანდები შეხსნა და ზედ შეახტა. ბაუბაუის მომავალ მხარეს შეუტია და რუიზანი და გულიჯანიც თან მიჰყვნენ, აგრეთვე გარდანქეშან-აიარი და ასიმ ხმალ გაკრულები და გაატრიალეს, ეს ამოდენა ჯარი. საშინელი ხმით ღვთის სახელი ახსენეს და ქუჩუკს მიჰყვნენ, და დიდი ნარა გასწიეს. ამათ ნარის ხმა იმ ხუთთა გმირთა გაიგეს და ისინიც ამ დევთა მოაწყდნენ, მესამე მხრიდამ სარვიხურამანმა, გულიჯანმა, უსნიარამ და ზორაბ-შაჰამ, მეოთხეს მხრიდამ, ზორაბ-დევი და საჰმან-ადამზადი. წამოიღეს ეს დევთა ჯარები და ერთს ალაგს შეგროვდნენ, აქედამაც ქუჩუკი მიუხტა და საშინელი ჯოჯოხეთური ომი გაიმართა, ყვირილი და კივილი. ახლა ბაუბაუ-დევმა შემოუტია და საითაც პირი ქნა წინ ვერვინ დაუდგა. ამ დროს ქუჩუკმა თვალი შეასწრო და სწრაფად ცხენს ქუსლი ჰკრა და როგორც ელვა ისე დაუახლოვდა ბაუბაუ-დევს; მაშინ ქუჩუკმა მოიღო თავისი ქამანდი და ღვთის სახელი ახსენა, ესროლა და კისერში მოზდო და ძლიერად გამოსწია.

რა ბაუბაუ-დევმა თავის კისერში ქამანდი ნახა ჩაგდებული, საშინლათ გაიწია ისე რომ ქუჩუკი მუხლებზედ დაჩოქა, მაშინ ორი ქამანდიც სხვა დააყარეს და მოზიდეს, ქამანდის მსროლელი ერთი გულიჯანი იყო და მეორე რუიზანი, გამოსწიეს და ეს მთისოდენა დევი შეაყენეს. მაშინ ჰაერიდამ ფაშკუნჯი, შავი-დევი, ხაზარან-დევი, არჯავ-დევი, საყანჩუნ-დევი და არდევან-შაჰა უყურებდნენ. ნახეს რომ ქუჩუკმა ბაუბაუ-დევს ქამანდი გადაცვა და ორი ფალევანნიც სხვანი მიიჭრნენ და იმათაც ქამანდები გადააყარეს, რა თვალი დააკვირვეს არდევან-შაჰამ და დედოფალმა ვერ იცნეს და სთქვეს: ეს უცხო გმირნი ფალევანნი ვინ უნდა იყვნენო რომ ამისთანა დროს ქუჩუკს შემწეობა მისცესო!? ესენი ჩვენი უცნობნი არიანო. ამათ მაღლიდამ კივინა დასცეს, ამ კივინის ხმაზედ ეს ამოდენა დევთა ჯარები და ფალევანნი შეიძრნენ და შეუტიეს ერთმანერთს. ამ დროს გაჩნდნენ გარდანქეშანი, ასიმი და შირფანჯა, მსწრაფად მიიჭრნენ მკლავებისა და ფეხების შესაკრავად. ამ დროს ბაუბაუ-დევმა ფეხი გაიქნია და გარდანქეშანი ბურთივით გასტყორცნა და გააგორა. შირფანჯა და ასიმიც იმის კვალს გამოყვნენ. ეს აიარები შიშით ახლო ვერ მიუდგნენ. მაშინ ქუჩუკმა ნახა რომ გარდანქეშანს წიხლი ჰკრა და გააგორა შორს, აგრეთვე იმის ამხანაგებს. ამ დროს ქამანდი გადაატრიალა და ყელში ჩაუჭირა, აგრეთვე რუიზანმა და გულიჯანმა, მაშინ ამ წყეულმა ისეთი გაიწია რომ რუიზანი და გულიჯანი ორნივე პირქვე დასცა და უნდოდა რომ ქამანდი წაერთმია ხელიდამ და თავი მოეშორებინა.

## ესენი აქ დაუტევოთ და წავიდეთ საჰმანთან და კოჭლ-მათუზ-დევთან.

როცა ამ ორთა ჰაერიდამ კიჟინის ხმა გაიგონეს, მაშინვე იგრძნეს რომ ქუჩუკი ბაყბაყ-დევს შეხვედრია და ერთი რამ შემთხვევა იქნებაო. იმავ წამს საჰმანი თავის თერთმეტ გმირ ამხანაგებით და კოჭლი-დევით, გამოსწიეს და თავიანთ ლაშქარს შეტევა უბრძანეს და თვითონ ქუჩუკთან მოიჭრნენ. შეხედეს ნახეს რომ ქუჩუკს ბაყბაყ-დევი ერთს ალაგას შეუყენებია და ქამანდი ყელში ჩაუგდია, ამასთან შეხედეს ნახეს რომ, ორნი უცხო ფალავანნი არიან, ერთი იმათგანი ქუჩუკს ჰგავს და იმათაც ქამანდები უსროლიათ და კისერში მოუდგიათ და ძალზედ ეწევიან და ძლივას შეუყენებიათ. გარდანქეშანი თავის აიარებით მისულან; მკლავების შესაკრავათ და წიხლებით გადუტყორცნია, ამასთან სამსურ ცხენიც ბაყბაყის მომშველებელ დევთა წინ უდგას და სასტიკად ებრძვის და ახლო არავის უშვებს—და ქუჩუკის ნარის ხმისაგან დევთა გონება მიჰფანტვიათ.

რა ეს იხილეს მაშინვე საჰმან-ალამზადი და თავის ამხანაგნი და კოჭლი-დევი, ძირს დაეშვნენ საჩქაროდ მეხივით მივიდნენ ქუჩუკთან და იმ ორთა ფალავნებთან, თავი დაუკრეს და ქება შეასხეს. მაშინვე დიდრონი ჯინჯილები მოიღეს, მისცვივდნენ და თავიანთ ნაჯახებით თავში და ფეხებში იმოდენა ურტყეს რომ დაასუსტეს. შემდეგ მივიდნენ და ეს უშველებელი დევი მაგრათ შეჰკრეს და წააქციეს; ფეხებიც მაგრა გაუჰკრეს და ასე დააგდეს.

## აქ ბაყბაყ-დევის შეკვრა და ქუჩუკისაგან შეპყრობა და ქუჩუკისაგანვე ღვთის ვედრება მოიხსენიეთ.

როდესაც ქუჩუკმა, ბაყბაყ-დევი შეკრული იხილა, დაიჩოქა და განიპყრო ხელნი და სთქვა: „ჰოი, შენ ყოვლის შემძლებელო ღმერთო! შენი განგება იყო თორემ, მე რა შემეძლო! მე ვარ ერთი მუჭა მიწა, შენგნით დაარსებული, ვმადლობ შენს მოწყალებას და ვადიდებ ყოველ ჟამს“. მერე წამოდგა და საჰმანს უბრძანა, დევთა შეტევა, მაშინვე შეუტიეს. აქედამაც თვითონ ქუჩუკმა, რუიზანმა და გულიჯანმა შეუტიეს. მათუზ კოჭლ-დევს და გარდანქეშანს უბრძანა: თქვენ ბაყბაყ-დევს უქშიბეთ და გაუფრთხილდითო. მაშინვე კიჟინა დასცეს და მიუტევნენ, ამ მტრის დევთა ჯარს და

ასეთი სისხლის ღვარი დააყენეს რომ მდინარესა ჰგავდა. ამ დროს ქუჩუკის სამცხენა გაფრინდა და იმ ხუთთა ფალევანთან მიიჭრა და იქ დაიწყო ომი. მაშინ ამათ ვერ მიხვდნენ ამ ცხენის განზრახვას და ამათაც შეუტიეს და პირი აბრუნებინეს და გააქციეს. მესამე მხრიდამ სარვიხურამანი და უსნიარა, გულჩინი, ზორაბ-დევი და ზორაბ-შაჰა მიეტევნენ. მაგრამ იმ დევთაც ბაუბაუ-დევის მხრისამ, რომ გაიგეს თავიანთი ხელმწიფის შეპყრობა, გულდამწვარნი, პირი იბრუნეს და დიდი სისხლის ღვრა მოახდინეს, მაგრამ ვერა გააწყუესრა და მაშინ სთქვეს: რაკი ჩვენი პატრონი შეიპყრეს, ჩვენ ვიღასთვის ვიხოცებითო? ზოგნი ჭაერით გაიქცნენ და ზოგნიც დამორჩილდნენ. როდესაც ფალევანთა მტრის დევთა დამორჩილება შეიტყეს, მაშინვე ხელი აიღეს ომისაგან და ქუჩუკისაკენ წამოვიდნენ; აგრეთვე სარვიხურამანმა, უსნიარამ და გულჩინმაც, ომისაგან ხელი აიღეს. მაშინ ქუჩუკი და ფალევნები ერთად წავიდნენ იქ სადაც ბაუბაუ-დევი შეპყრობილი ჰყვანდათ. საჩქაროდ ასიმს და შიროვანჯას უბრძანა: თქვენ წადით და ჩვენ ჯარს ყველას აცნობეთ რომ ომიდამ ხელი აიღონ.

რაც დევნი დამორჩილდნენ სულ დასტა-დასტათ დააყენონ და რომელნიც არ დამორჩილდნენ შუა-შუა გაჭკვეთონ. და ჩვენი ჯარები და ფალევნები აქ მოვიდნენ ჩვენს სიახლოვეზე და რაზმ წყობილნი დადგნენ. ყულუნ-ჯადო და ბარუყულ-ჯადოც შეპყრობილი მოიყვანონ. მერე თვითონ საჩქაროთ, სამი ტახტი გაამართვინა და მზათ იქონია, ერთი ერთს უცხო ალაგას დაადგმევინა, არდევან-შაჰისთვის, იმის გვერდზე მეორე, უცხო ტახტი სარვიხურამანისთვის, აგრეთვე ერთი დიდი ტახტიც მოატანინა უსნიარასთვის და გულჩინისთვის. ერთი ტახტიც მოატანინა თავის გვერდზე დაადგმევინა, იმ ხუთათა გმირთათვის და ყოველთა უმჯობესთათვის, ყოვლიბან-შირვანისათვის, ხოსროვშირისთვის, ნარიმანისთვის, ყათრანისთვის და ბარამჯიბილისთვის. ერთი ტახტიც გაამართვინა, ზორაბ-შაჰისთვის, ზორაბ-დევისთვის, შავი-დევისთვის, ხაზარან-დევისთვის, არჯავ-დევისთვის და საყანჩუნ-დევისთვის. რა ესენი გაამართვინა, ერთი დიდი სვეტიც აამართვინა და ბაუბაუ-დევიც ზედ მიაკრა. ესეც რომ მორჩა, მაშინ ყველანი დაბრძანდნენ თავთავიანთ ალაგას. მაშინ ქუჩუკმა ლაპარაკი დაუწყო ბაუბაუ-დევს: რადგანაც ქუჩუკმა დევთა ენა კარგად არ იცოდა, გარდანქეშანს უბრძანა და გარდანქეშანმაც უთხრა: ჰეი დევის ნაშობო დევო! შენ რა დევი ხარ ან რომელ ქვეყნიდამ ხარ გადმოვარდნილი? ჩვენ ამოდენა სასჯელი რათ მოგვაყენე?! მაშინ ცის გრგვინვასავით ხმა გასცა: შენ ადამის შვილო! ჩემს ამბავს რომ იკითხავ;—მე ვინცა ვარ, ყველას წვრილად გიამბობ. თუ ჩემ ღმერთს ჩემზედ ხელი არ აეღო, თქვენს ხელში არ ჩავარდებოდი, ახ-

და რადგანაც თქვენს ხელთა ვარ, რაც რომ მიბრძანოთ ყველა უნდა ავასრულო და მაშინვე დაჩუმდა.

ამ დროს არდევან-შაჰა თავის დედოფლით მობრძანდა, სიმრუდ ფრინველიც თან. ქუჩუკმა, არდევან-შაჰა და დედოფალი შაჰნაზდუხტი და სიმრუდი მომავალი რომ იხილა, ლაპარაკზე ხელი აიღო და იმათ წინ მიეგება. ახლოს რომ მივიდა ქუჩუკი, ხელმწიფე არდევან-შაჰას და დედოფალს თაყვანი სცა და ხელთა აკოცა, და გამარჯვება მიულოცა. ამასთან რუიზანი და გულიჯანი წამოდგნენ ფეხზე და თაყვანი სცეს და დედოფალს ხელს აკოცეს და გამარჯვება მიულოცეს. დედოფალმა დიდი მადლობა უბრძანა და იმ მხნეობისათვის ქუჩუკს მრავალი ქვეყნები უბოძა — და თავის გაწესებულ ჯამაგირზედ, რამდენიმე ათასი თუმანი მოუმატა და ერთი ტაბაწი უფასო თვალ-მარგალიტი თავს გადააყარეს და პირსა აკოცა დედოფალმა, თავის ღირსების საკადრისათ დალოცა და დიდი ქება შეასხა. აგრეთვე სიმრუდ ფრინველმა საკვირველი ქება შეასხა და დალოცა, დიდი გამარჯვება მიულოცა და ერთი ასეთი ძვირფასი ბეჭედი მისცა რომ ერთი ქვეყნის ფასად ღირდა. შემდეგ შავმა-დევმა, ხაზარან-დევმა, არჯავ-დევმა, საყანჩუნ-დევმა მიულოცეს და ქუჩუკს დიდი ქება შეასხეს და მოახსენეს: შაბაშ, შაბაშ! შენსა ფალევნობასა, რომ იმისთანა მძლავრი დევი დაიმორჩილეო! შერმე გაუძღვნენ ხელმწიფეს წინ და მიიყვანეს თავიანთ ტახტზედ დაბრძანეს; შვიდ კუთხიანი თაჯი თავს დაადგა. ამ ორ ფალევანს, რუიზანს და გულიჯანს გაკვირვებული უყურებდნენ, ხელმწიფე და დედოფალი და ვერა სცნობდნენ, რადგანაც საფალევნო ტანსაცმელი ეცვათ, ჰკვირობდნენ, და ამბობდნენ ნეტარ ესეთი მშვენიერნი და გმირნი ვინ უნდა იყვნენო! მეტადრე რუიზანი სულ ქუჩუკს მიამზგავსეს, ლაპარაკი, ქცევა, თუ ტანადობა, სულ ქუჩუკს უგავდა, და დიდათ მოსწონდათ. ამ დროს ქუჩუკმა რომ შეხედა ხელმწიფეს და დედოფალს, შეატყო რომ ვერა სცნობდნენ, ჯერ კი არა თქორა, მხოლოდ რუიზანს და გულიჯანს ანიშნა რომ მანამ სულ ფალევანნი ერთად არ შეიყრებიან მანამ ნურავის ეტყვითო და თუ ხელმწიფემ და ფალევნებმა გკითხონ ასე მოახსენეთ, რომ როდესაც ბაყბაყ-დევს ქუჩუკმა ქამანდი ესროლა, იმ დროს ეს უცხო ფალევანნი იქ აღმოჩნდნენოქო და დიდი შემწეობა მისცეს ქუჩუკსათქო. გარდანქეშანმა ასიმმა და შირფანჯამ კი იცოდნენ, ადრევე ქუჩუკს ესე დაერიგებინა. როდესაც არდევან-შაჰამ ვერ იცნო ის ორნი ფალევანნი, ამ დროს იდუმალ გარდანქეშანს ჰკითხა, აიართა სარდალო გარდანქეშანო! ის ორნი მშვენიერნი ფალევანნი ვინ არიანო? მაშინ გარდანქეშანმა მოახსენა: ხელმწიფეო შვიდთა იყლიმის მპყრობელო! ესენი როდესაც ქუჩუკმა ბაყბაყ-დევი ქამანდში გააბა, მაშინ აღმოჩნდნენ და დიდი

შემწეობაც მისცეს ქუჩუკსა. და ბოლოს გაიგებთ მაგათ ამბავსაო. ამ დროს შემოვიდნენ, ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ნარიმანი, ყათრანი და ბარამჯიბილი. მაშინვე არდევან-შაჰა და ქუჩუკი წინ მიეგებნენ და პირსა აკოცეს, მაშინვე პირქვე დაემხნენ და ღმრთის მადლობა შესწირეს და გამარჯვება მიულოცეს. შემდეგ არდევან-შაჰა მივიდა წინ და ხუთთავეს პირსა აკოცა და მრავალი ძვირფასი თვალმარგალიტი თავს გადააყარეს და დიდი ქება შეასხეს. ამ დროს ქაბულის ხელმწიფე ნარიმანი მივიდა და თავის შვილს ქუჩუკს გარდაეხვია და დიდხანს ლოშნიდა, ვიდრე ესენი სალმობას გაათავებდნენ. ამ დროს სხვა ფალევანნიც მოვიდნენ: სარვიხურამანი, უსნიარა და გულჩინი და სხვანი თავიანთ ფალევნები, მაშინ ყოველნი ერთობით ხელმწიფე არდევან-შაჰი, დედოფალი შაჰნაზდუხტ და ფალევანნი სულ ამათ წინ მიეგებნენ და ტაბკებით თვალ-მარგალიტს აყრიდნენ თავზედ. ამ დროს მოვიდნენ—სარვიხურამანი, უსნიარა და გულჩინი, ხელმწიფეს ხელსა აკოცეს და დედოფალს მიესალმნენ და გამარჯვება მიულოცეს. მერე გადაიარეს და ყოველნი თავთავის ალაგას დასხდნენ. შემდეგ ზოჰრაბ-შაჰიც მოვიდა და სხვანი რომელნიც ტახტის ღირსნი იყვნენ, ტახტზედ დასხდნენ და ფალევანთათვის სკამები იდგა, გადაიარეს და დასხდნენ. მაშინ ყველგან თვალი მოავლეს, იმ დროს რუიზანი და გულიჯანი ვეღარ ნახეს. მაშინვე სარვიხურამანმა და უსნიარამ იკითხეს: შვილო ქუჩუკ! გულიჯანი და რუიზანი სად არიანო? მაშინ ქუჩუკმა მოახსენა, ეხლავ გიახლებიან, ფარვან-დევთან გავგზავნე და ამავ წამში მოვლენო.

შემდეგ თვალი მოავლეს, ოთხკუთხივ, ნახეს რომ ქუჩუკის გვერდით ერთი პატარა ტახტი დგას და ზედ ორნი მშვენიერნი და საფალევნოთ აგებულნი, ორნი ყრმა ფალევანნი სხედან და ასეთის მრისხანის თვალით იყურებიან რომ შვიდ თავიანი ვეშაპი, იმათ ყურებას ვერ გაუძლებს და დიდათ მოიწონეს და ამბობდნენ, ნეტარ ვიცოდეთ ეს ადამიანთ ფალევანნი საიდამ მოსულანო? რუიზანს რომ შეხედეს, სულ ქუჩუკს მიამზგავსეს, ამას ამბობდნენ ეს რომ გაჯავრდესო ქვეყანას აოხრებსო, ყველას დიდათ უკვირდათ, მაშინ არდევან-შაჰამ უბრძანა: ჰეი საჰყირანო, ძრიელ გვესწრაფება რომ გვიბრძანოთ, ეს უცხო ფალევანნი ვინ არიან, ანუ საიდამ მოვიდნენ იმისთანა გაჭირვებაში ჩვენს შემწეთ? მე და ფარვან-დევი ჭაურიდამ უყურებდით გაკვირვებულნი ამათ მამაცობას, ასე, რომ ესენი საჰყირანობის ღირსნი არიან. მაშინ თვითონ ქუჩუკმა უთხრა ორივეს, მიდით ხელმწიფეს და დედოფალს თქვენი თავი აცნობეთო. მაშინვე წამოდგნენ და მივიდნენ ხელმწიფესთან და დედოფალთან ორნივ, მისცვივდნენ და მუხლთა აკოცეს და გამობრუნდნენ, მივიდნენ სარვიხურამანთან, უსნიართან და

გულიჯანთან, გარდაეხვივნენ და კოცნა დაუწყეს, მერმე გაბრუნდნენ ყოჯლიბანს, ხოსროვშირს და ყათრანს ხელს აკოცეს, ნარიმანს რუიზანმა მოეხვია და პირზედ აკოცა, გულიჯანიც გაექანა და ბარამჯიბილს ყელზედ მოეხვია და უთხრა: ძმაო ბარამ, მე ვარ შენი საყვარელი და გულიჯანი. რუიზანიც თავის დედას მოეხვია და მოახსენა: საყვარელო დედავ, მე ვარ შენი ქალი რუიზანა. ესე რომ გაიგონეს, მაშინვე გარს შემოეხვივნენ და ხვევნა კოცნა გაიმართა, სიცილი და სიხარული დაემართათ ისე რომ უმეთესი აღარ იქნებოდა. მაშინ არდევან-შაჰა ტახტიდამ გადმობრძანდა დაიჩოქა და ღმერთს მადლობა შესწირა რომ ამათთანა ძრიელნი ფალევანნი მემადირსეო. მერე სიმქაშ ხელმწიფის ჩამომავლობას დაუწყო ქება და სთქვა: ჰაი, ღმერთო! შენ გაამრავლე იმათი შთამომავლობა რომ ქალნი კაცნი სულ ლომ-გმირნი გამოდიან. მაშინვე ქალური ტანისამოსი მოაღებინა და შეიმოსნენ, მაშინ გულიჯანი ნაზის რხევით ქუჩუკს მიუჯდა გვერდით, რუიზანიც თავის დედამთილს მოუჯდა გვერდით. მოიღეს სუფრა და ასეთი მეჯლიში გამართეს რომ ზეცით ანგელოზთაც უხაროდათ, ამათი სიამოვნება ყოველ სულდგმულს მოსწონდათ და ასე მხიარულად შექცეოდნენ.

## ესენი ამ შექცევაში დაუტეოთ და ფარვან-დევისა და თეთრი-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ქუჩუკმა ბაუბაუ-დევი დაიმორჩილა, რასაკვირველია აფთარ-ჯადოც აქ იმყოფებოდა, იმისთვის რომ რაც ამბავი მომხდარიყო ბაუბაუ-დევისა და ქუჩუკისა ყველა უსდა ფარვან-დევისთვის ეცოდინებინა. წინათ ქუჩუკმა რომ გაგზავნა ფარვან-დევი, იმ განზრახვით რომ ადრევე გზები შეეკრა ჯადოებით, რომ არსაით გაქცეულიყო ბაუბაუ-დევი. იმ დროს ჰაერს შეხედა ნახა ფარვან-დევმა რომ ვიღაც მოჰფრინავდა, ცოტათ შეკრთა და იმედი დაჰკარგა რომ ბაუბაუ-დევი ქუჩუკისაგან დამარცხდებოდა. ამ დროს ის ჰაერში მომავალი ძირს ჩამოვიდა, ფარვან-დევმა ნახა რომ აფთარ-ჯადო იყო, მაშინვე გაექანა სიხარულით და ფარვანს მუხლს აკოცა და ქუჩუკისაგან გამარჯვება მიულოცა და ბაუბაუ-დევის შეპყრობა მოახსენა: მაშინ ფარვან-დევს დიდათ იამა და სამახარობლო აფთარ-ჯადოს მრავალი თეთრი უბოძა და ერთი უცხო ხალათიც აჩუქა.—და როგორც მომხდარიყო ყოველივე მოახსენა. ფარვან-დევმა მაშინვე საბაოთ ღმერთს დიდი მადლობა შესწირა, იმისთანა ბილწის შეპყრობისათვის და ორივ ხელები გაშალა ერთმანერთსა ჰკრა და სთქვა: შაბაშ შენსა ძლიერებას შაბაშ! ოჰ, ბარაქალა:

ქუჩუკ რომ შენისთანა ფალევანი არც დაბადებულა და არც დაიბადებაო. მაშინვე ღვთის სახელი ახსენა და წავიდა. მრავალი დღე და ღამ იარა სწრაფის სიარულით და ამბირ-დევის ქალაქის სიახლოვეზე მივიდა, სადაც რომ თეთრი-დევი იმყოფებოდა და ორი დღის სავალიდა დარჩომოდა, იქ ასეთი სუნი ეცათ რომ აუტანელი იყო. მაშინვე რომელნიც მოწინავე ჯარის კაცნი იყვნენ ფარვანისა, შედგნენ და ვეღარ დაიძრვნენ, მოვიდნენ და მოახსენეს: ხელმწიფევ ფარვან! საშინელი აუტანელი სუნი დგას, ისე რომ ხმის ამოღება ვეღარ შევიძელით და რამდონიმე კაცი უსულოდ იქმნენო. მაშინვე მივიდა იმ ხალხთან ფარვანი სადაც გულწასულნი ეყარნენ. რა დახედა სწრაფად რაღაც შეულოცა და სულად მოიქცნენ. უბიდამ ერთ ნაირი წამალი ამოიღო და ყველას ცხვირზედ წასცხო და ცუდი სუნი აღარ ესმოდათ.

შემდეგ ფარვან-დევმა, მეომარი დევთა ჯარი სულ უკან ჩამოაყენა და საერთოთ ყველას შეულოცა და უბრძანა: ნურარაფრისა გეფიქრებათო, თქვენ ჯადო ვეღარას გავნებთო და თვითონ თავის ლაშქარს წინ გაუძღვა და უკან ჯარი მიიდევნა. ფარვანმა ნახა რომ ჩვეულებრივ გზებზე ისეთი მთები აღმართულა რომ წვერი ღამის ცაში მიუბჯენიათ და საშინელნი ვეშაპნი და ლომნი ირევიან, მაშინვე ფარვანმა იგრძნო რომ ჯადოთ მანქანებაა. ფარვანმა მაშინვე შვილდს ისარი გარდააცო, რაღაც შეულოცა და შესტყორცნა იმავ წამში სულ განქარდა, აღარც მთები იყო, აღარც ვეშაპნი და ნადირნი. მაგრამ ფარვან-დევმა ახირ-ჯადოს ქება შეასხა და იმის ხელოვნება ძლიერ მოეწონა და იქაც გაიარეს. რა ერთი დღის სავალი გაიარეს, იქაც გზებზე ცეცხლის მთები დახვდათ; ისიც ქააქარწყლა ფარვანმა, იქაც გაიარეს. როგორც ფარვან-დევის ამბავი მოგეხსენებათ, არა ჯადო ვერ გაუძლებდა, მაშინ ერთი ორი ყამი რომ იარა, იქაც ნახა რომ გზები ასეთი საშინელის ქვებით არის გაკეთებული რომ როგორც ტატაში და რა კაცნი დევნიც ზედ გაივლიდნენ, როგორც ალმასი შუშები ისე ეძგერებოდა ფეხებში. მაშინ ფარვან-დევმა უბიდამ რაღაც წამალი ამოიღო და ათას დევს მისცა და წინ გაისტუმრა და უთხრა: ეს წამალი ყველგან მოასხითო, როგორც უბრძანა ისე აღასრულეს და მაშინვე ნახეს რომ აღარც წოწოლა ქვები იყო, აღარცარა ტატაში. ამაზედ ფარვან-დევს დიდი ქება შეასხეს და ღმერთს თაყვანი სცეს და იმ ღამეს იქ განისვენეს.

რა დილა გათენდა, ილოცეს და კვალად ღმერთს თაყვანი სცეს და აიშალნენ და წავიდნენ. ცოტა რომ გაიარეს ნახეს რომ გზებზედ ორსავ მხარეს საშინელი მდინარეები მიიკლაკნებიან და საითაც ქალაქში შესავალი გზა არის, იქ ერთი დიდი ხევი შეუქმნიათ და შიგ მრავალი ჯადონი ირევიან და მარცხნივ მხარეს მიიხედეს, ნახეს რომ ორასი ათასი მეომარი შავი

ზანგის მსგავსნი ჯარი დგას და ხელთა სულ ყველას შუბები და მშვილდ-ისარი უჭირავთ. მაშინ ფარვან-დევმა კარგათ გაშინჯა და სთქვა: ბარაქალა ახირ-ჯადოვ, რომ ამისთანა ჯადოს მოქმედება შაგძლებიაო. მივიდნენ იმ წყლის პირზედ და შინჯვა დაუწყო, მაშინ იქიდამ იმათ ისრები დაუშინეს; და ის ისრები, გრძნეულის ცეცხლი იყო და ვისაც ხვდებოდა, იმას მაშინვე ცეცხლი ედებოდა და იწოდნენ და იძახოდნენ ჩვენო ხელმწიფევ ფარვან-დევო გვიშველე! ამაზედ სწრაფად იმ მდინარეს წყალსა რაღაც შეულოცა და მაშინვე დაშრა და გზები გამოჩნდა. ერთი მშვილდისარი მოიღო ერთ ქაღალდს შეჰბერა და შეაბა, იმ ზანგთა ჯარს ესროლა და მაშინვე სულ განქარდნენ. რა იმასაც მორჩა, სწრაფის სიარულით იარა, შეხედა ნახა რომ მთელ ქალაქს ისეთი სიბნელე დასცემია რომ სიბნელით ცა აღარა სჩანს, აღარც მთა და მინდორი, დიდათ აქო ახირ-ჯადოს მანქანება, მაშინ იქაც ერთი რაღაც შეულოცა და ბნელი უკუ იყარა და ქვეყანა განათლდა და ქალაქი დაინახეს. მაგრამ ახირ-ჯადოს ბევრი ისეთი ჯადოები გაეწყო რომ თვით ფარვანსაც გაუჭირდებოდა, ასე რომ თუ ყოველივე დაგვეწერა ძლიერ გაგრძელდებოდა.

ფარვანმა დიდი ქება შეასხა ახირ-ჯადოს და სთქვა: მართლა გამოჩენილი ჯადო ყოფილაო. მერე თავის ჯადოთ ლაშქართა რაღაც შეულოცა და უბრძანა: ახლა აღარაფერი გიშავთო, მაგრამ კიდევ ყოველ შემთხვევაში სიფრთხილით იყავითო. რა ცოტა წაიარა ნახა რომ ჰაერიდამ საშინელი შავი ფრინველები წამოვიდნენ, ამოდენა იყო რომ ცა აღარა სჩანდა და ცალ ფრთაში პატარ-პატარა შუბებივით რაღაებიც ერჭოთ და კლანჭებში გველები და მოფრინავდნენ ძირს, რა ფარვან-დევმა ესენი კარგათ გაშინჯა ძრიელ შეწუხდა და სთქვა, ეს ხელოვნება ჩემი ოსტატის მეტმა არავინ იცოდა და ამას ვინ ასწავლა ნეტავი ვიცოდე. ფარვანს სულ იმედი არა ჰქონდა რომ იმგვარს მანქანებს შეხვდებოდა. და იმის განქარვებაში ვიდრე სულ-ყველანი ლოცვას არ იტყოდნენ არ შეიძლებოდა. ფარვანმა მაშინვე უბიდამ ქაღალდი ამოიღო და რაღაც დააწერა და შეუბერა, ამ დროს შახედა ნახა რომ თავის ჯარს უცეფ ყველას ხელთ ეს ბარათები უჭირავთ და თავიანთ პირით ლოცვას ამბობენ. მაშინ ის ჯადოს მანქანებიც სულ განქარდნენ. მაშინ იქვე დაიჩოქა ფარვან-დევმა და ღმერთს შევედრა, ამ გრძნეულების გადარჩენისათვის. ეს ჯადოს მანქანებიც ეს იყო რომ გრძნეულობის ცეცხლი იყო, ვისაც მოეკიდებოდა დასცემდა და სრულიად დასწვავდა და თუ გამქრალიყო, ის წვრილი ვეშაპები რომ იყვნენ, ისინი თვით უკიდებდნენ. მაგრამ ღვთის განგებით ჩქარა შეუტყო ფარვან-დევმა და საჩქაროდ გაანქარვა, ასე რომ თუ დროით არ ენახა თითონაც ძრიელ უჭირდა არამც თუ

მის ჯარსა, მაშინ უფრო დიდი ქება შეასხა და სთქვა: თუ ცოცხალი ჩავიგდე ხელში პირველ ალაგს მივსცემ და ჩემთან შევინახავო. უნდა შევიტყო რომ ესეთი ჯადოები ვისგან უსწავლიათ. ამისთანა ჯადოს მცოდნეს, ბევრი სხვა რამეც ეცოდინებაო და ამიტომ სიფრთხილე გვმართებსო. იმ ღამეს იქ დადგა და ყოველი ჯადოს გასაქარვებელი ლოცვები შეამზადა და მეორეს დღეს აიშალნენ და ქალაქის სიახლოვეზედ მივიდნენ, მაშინ ერთი უცხო სიმაგრე დაიჭირა და დადგა. თავისი ეს ამოდენა გარემოება და ქალაქის სიახლოვეს დაბინავება ყოველივე ქურჩეს მისწერა.

## აქ ფარვან-დევი და ამის წიგნის წამღები კაცი თავის მიმავლობაში დაუტყეოთ და თეთრი-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც თეთრმა დევმა ყოველივე თავისი საქმე გაარიგა და გზები ახირ-ჯადოს შემწეობით შეკრა გრძნეულობით, მაშინ აღარავის ფიქრი ჰქონდა. დაჯდა და შექცევას მიჰყო ხელი, ბაუბაუ-დევის გარემოება კი არ იცოდა. და იმის ამბავს მოელოდა და მზად იყო რომ სამთავისის მხარეს წასულიყო. იმ დროს ქურჩუკმა ბაუბაუ-დევი რომ დაამარცხა, მაშინ ერთი დევი გამოიპარა და ეს ყოველივე ბაუბაუ-დევის შემთხვევა წვრილად თეთრ-დევს უამბო. ბაუბაუ-დევი ან რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ან მისი სარდლები როგორ შეიპყრეს, ან ფვითონ ბაუბაუ როგორ დაიჭირეს, ყოველივე უამბო. ანუ შემდეგ ფარვან-დევი, ამბირ-დევი და ანუაბუზი თავიანთ ჯარებით აქეთკენ როგორ გამოისტუმრეს, ანუ ახირ-ჯადოს მანქანები ფარვან-დევმა როგორ დაარღვია და თითონაც აგერ ქალაქის სიახლოვეს დაბინავდა დიდის ჯარებით.

რა თეთრმა დევმა ესეთი ამბავი შეიტყო, დიდ ფიქრში შევიდა და შემდეგ თავის გუნებაში თქვა: ბაუბაუ-დევისთანა ძლიერი დევი ქვეყანაზედ არ გამოჩენილა და არც გამოჩნდება. თუ ქურჩუკმა ის შეიპყრო, მე რაღას გაუძლებო. მეტადრე შავი-დევისთანა, შაქუტ-დევისთანა, საყანჩუნ-დევისთანა, არჯავ-დევისთანა და ხაზარან-დევისთანა, ისეთნი რომ მთებსაც კი დაგლეჯავდნენ—იმათაც ვერ გაუძლეს და ისინიც კი დამორჩილდნენ, აბა მე რას გაუძლებ! მაშასადამე მე ესე უნდა მოვახერხო, რომ უწყინრათ და უშფოთოთ ამათ მოვრჩე, თორემ ისინი უსიკვდილოთ არ გამიშვებენ. მე როგორც მესმის იმის ფალევნობა და იმისი სარდლების ძალა. მეტადრე ადამიანთ ფალევნები ჰყავთ, ისეთნი რომ დიდრონ მთებს დაადნობენ. თურმე ქალთა ჯარიც კი ჰყოლიათ, ისეთნი რომ მთელ ქვეყანას გაახრებენ რომ

მოინდომონ. ესეც კი გავიგე რომ საჰმან-ადამიანთ-მონათესავე, თავის ათერთმეტი ამხანაგი დევნი იმას ემსახურებიანო, მთელი ქვეყანა რომ იმათგან იყო გაოხრებული, რომელიც დიდის ცდით ყარუნ-მაჰმა ძლივს შეიპყრო, რომელთაც რამდონი ათასი ფალევანნი და სარდალნი გაუწყვიტეს. ახლა მე მარტო საჰმანს მივცე პასუხი თუ იმის ამხანაგებს! მე იმათ რომ შევებრძოლო, ქვეყნიდამ ამომაგდებენ. ესეც კარგა ვიცი რომ ფარვან-დევისთანა ფალევანი და ჯადოს მცოდნე ქვეყანაზედ არავინ არის. მეტადრე იმას რომ ახრი-ჯადოს თილისმები დაურღვევია, აბა ვიღას შეუძლიან იმათი პასუხის გაცემა, მთელი ხმელეთი, იალბუზის მთა, ცხოველნი დევნი, ქაჯნი, ჯინნი და ფერიანი, ქუჩუკს და იმის პაპა ყარამანს მონობდნენ და ეხლაც მონობენ. მე რაც უნდა ძრიელი ვიყო, ბაყბაყ-დევთან ხომ ვერ მოვალ. ისიც მახსოვს ზარბაქ-დევს რა უყო, ერთი ლახტის დაკვრით მიწასთან გაასწორა და იმისთანა სახელოვან დევთა ისეთი დღეები დააყენა; მე რადა კეთილს დამაყრის? ისევ მირჩევნია რომ ჩემის ნებით და ჩემის ჯარებით დავმორჩილდე, უფრო კარგი საყვარელი მეგობარი ვიქნები და ჩემ ქვეყანას ისევ მევე მამლევს. აქამდის დამალული ზღვაში ვეგდე, ამას იქით მაგის ხელით რომ ვიქნები, მაგის შიშით ვინ რას დამაკლებს? რა ესე თათბირი გაათავა, შემდეგ კვალად სთქვა: ერთ რიგათ კი მცხვენიან, რადგან მეც გამოჩენილი ფალევანი ვარ ქვეყანაზედ და ხუთასი ათასი ცეცხლის ფრქვეველი დევთა ჯარი მახლავს და ორასი ათასიც ჯადოს ლაშქარი და უომოთ როგორ დავმორჩილდე.

ამ განზრახვაში რომ იყო, მაშინ წყეული და ორსავ სოფლის მაცდური რაჯიბი მოეჩვენა უმაწვილის სახით, გადმოიარა და გვერდს მოუჯდა. თეთრმა-დევმა რომ შეხედა იფიქრა, ეს მშვენიერი უმაწვილი ვინ უნდა იყოს? ან ამან როგორ გაბედა ჩემ ხალვათში შემოსვლა. მაშინ ჰკითხა: უმაწვილო, შენ ვინა ხარ?! რომ ჩემ საიდუმლო სახლში დაუკითხავათ შამოხვედრიო? მაშინ უთხრა ეშმაკმა რაჯიბმა: „ჰეი დევთა ფალევანო! ეგ ცუდი გჭირთ რომ მალე გაამაყდებით ხოლმე თქვენის ძალის მინდობილობით, რომელსაც თქვენს ბედნიერ ღმერთსა და თქვენს ბედსა და იღბალს ველარა სცნობთო, მე შენი იღბალი და ბედი ვარ, შენისთანა ძლიერი და გამოჩენილი დევი არც დამიბადებია და არც თუ დაიბადებაო. შენ შუბლზედ დამიწერია რომ მთელი ხმელეთი, ზღვა მთა და ბარი, სულ შენი უნდა იყოს." დევნი, ჯინნი, ფერიანი და ადამის ტომნიც. მაშინ დაფიქრდა და თავი მაღლა აიღო, თეთრმა-დევმა და უთხრა: რაჯიბ რაც უნდა ძრიელი ვიყო, ბაყბაყ-დევზედ, ზარბაქ-დევზედ და ჰაზარექ-დასტზედ ხომ ძრიელი ვერ ვიქნები! ხომ შეიტყეთ იმას რა უყვეს იმ ადამის შვი-

ლებმა! მაშინ შენ თვითონ იქ იმყოფებოდი, აბა რა უშველე?! ისინი ისეთ ღმერთს ემსახურებიან რომ, იმათ ღმერთი ხელს უმართავს. აბა შენ თუ შემწეობა რამ შეგეძლო, რატომ არ შეეწიე ბაუბაუ-დევს, ანუ იმის სარდლებსა? რომელნიც იყვნენ შავი-დევი, ხაზარან-დევი, მარტო ჯერ ეს ორნი ბეზედის მთას ხლმით გააწყალებდნენ და იალბუზის მთას მუშტით დააქცევდნენ, რომელნიც ისინი ყოვლიბან-შირვანმა და ხოსროვშირმა დაიჭირეს. აგრეთვე მაქუტ-დევი, არჯავ-დევი და საყანჩუნ-დევი, ეს ამისთანა გამოჩენილი დევთა ფალევანნი, შენის რჩევით და შენის იმედით იყვნენ, ხუთასი ათასის მეომრით, სულ გაუწყალებიათ და ბაუბაუ-დევიც შეკრული უჭირიათ. აი შენ ესეთი მტყუანი და მურდალი ღმერთი ხარ, რომ სუყველას ოჯახსა ჰღუპავ. მაშინ წყეულმა რაჯიბმა თავის გუნებაში სთქვა: მე ამისთანა ჭკვიანი დევი არ მეგონათ და ვნახო როგორ მოვატყუებო. მაშინ უთხრა: თეთრო-დევო! თუ რომ ბაუბაუ-დევს ჩემი რჩევა დაეჯერებინა, ახლა ის უშანგბათში ხელმწიფეთ იჯდებოდა თავის სარდლებით. მოდი შენ დამიჯერე, ბედსა და იღბალს ნუ დაჰკარგავ, მეც შენი დიდი შემწე ვიქნები, დავემზადე და ისინი რომ წამოვიდნენ, წინ მიეგებე. თეთრმა-დევმა რაჯიბის სიტყვა სრულებით ახლოს არ მიიკარა და ჩუმათ ერთი უშველებელი ქვა ზურგს უკან მოიგორა და განგებ უთხრა: „ჩემო ღმერთო და ბედ-იღბალო, ეს ფარვან-დევი, ამბირ-დევი, ზანგ-დევი და ანუაბუზ-დევი, ამ ქალაქის სიახლოვეს ჩამომხდარან და ომს მიპირებენ. ამათთვის რას მეტყვი“? მაშინ რაჯიბ ეშმაკს გაეხარდა და სთქვა: გული ჩემკენ მოუბრუნდაო და უთხრა: მაშ მე რაჯიბ რათ მქვიანო, რომ იმისთანა ჭკვიანი დევები შენი მასხარა არ გავხადო. შემდეგ უთხრა: ჩემო გულის ნაწილო! მე ფარვან-დევის ძალაც, ჯადოს მოქმედებაც, ამბირ-დევისა, ზანგ-დევისა და ანუაბუზ დევების ძალა სუყველასი გამიქარწყლებია და რა დროსაც მიხვალ, იქნება რომ ომიც აღარ დაგიწყონ. „აბა ახლა რაც აღგითქვი რომ აგისრულდეს ჩემთვის საჩუქარი რა გაქვს“!? მაგრამ შენი სული და ხორცი რომ ჩემი არის საჩუქრათ ესეც მეყოფა რომ შენ დამიმორჩილდი.

თეთრი-დევი აქნობამდე ყურს უგდებდა და თავ-ჩაკიდებული იჯდა, ბოლოს წამოვარდა და ადრევე მოტანილ ქვას წამოავლო ხელი, ამ წყეულმა თვალი შეასწრო, მაშინვე წამოხტა და გაიქცა, მაგრამ მაინც ის დიდი ლოდი ესროლა და ასე თქვა: „ჵეი საბაოთ ღმერთო! შენ ხომ კარგათ იცი, რომ მე გულში განვიძრახე შენი თაყვანის მცემლობა და მონობა, ახლა შენ მომიმართე ხელი რომ ეს ლოდი იმ წყეულს მოვახვედროვო.“ ესროლა და შიგ კისერში მოხვდა—და სამჯერ ყირაზედ გადაატრიალა და უჩინოთ შეიქმნა; და ჯანდაბაში დაიკარგა. მხოლოდ ხმა ისმოდა: შენ

ისეთი ღმერთი გიწამებია, რომ მიკვირს კიდეც რომ არ მომკალი. მე რა მრჯოდა რომ შენისთანა ჭკვიან დევთან მოველი სალაპარაკოდ. მე ისიც კი ვიცოდი რომ შენ ვერ მოგატყუებდი, მართლა ჭკვიანიცა ყოფილხარ და ჩემზედ დიდი ეშმაკი. ესე მოესმა უჩინო იმის ხმა და დაჩუმდა. თეთრმა დევმა შესძახა: „მოდი ჩემო იღბალო და ბედო! ნუ გამიწყერ, რათ მირბიხარ!? თუ ეგ საჩუქარი არ მოგეწონა სხვას მოგართმევ". შემდეგ თეთრი დევი დაფიქრდა და სთქვა: მწამს და მიწამებია საბაოთ ღმერთი რომ ნამდვილი ძრიელი და ჭეშმარიტი ყოფილა; ჯერ არცკი მეწამებინა ჭეშმარიტის გულით რომ ერთი რამ ვსთხოვე და უცებ აღმისრულა და როცა იმის მონათ შევიქნები ნამდვილად, მაშინ ხომ ყოველსავე ჩემს სათხოვარს აღმისრულებს,—მხოლოდ რაც აქნომამდე შევცოდე იმას რა უნდა უყო არ ვიცი შემინდობს თუ არა.

მაშინვე გამოვიდა კარში, ერთ ხალვათ სახლში შევიდა, დაიჩოქა და თავზედ ნაცარი გადიყარა და ხელ აღპყრობით ღმერთს ვედრება დაუწყო: „ჰოი, შენ უხილავო საბაოთ ღმერთო, აქნომამდე რაც შეგცოდე, ყველა მაპატიე და ამას იქით აღარას შეგცოდავ და მიწამებიხარ ნამდვილ ღმერთად, შენ თუ ჭეშმარიტი ღმერთი არ ყოფილიყავ, მე თხოვნას არ აღმისრულებდი და ვერც მოვარტყავდი ქვას, მე იმ ეშმაკს, რომ მოვახვედრე ის შენი განგება იყო". მე ამიტომ უფრო მიწამებიხარ, რომ ის ერთი მუჭა მიწა, ქუჩუკი იმოდენა დევს როგორ მოერეოდა?! მართლა ჭეშმარიტი ღმერთი ყოფილა იმის ღმერთი და მეც მიწამებიხარ ქუჩუკისავით. წყეულიმც იყოს ეშმაკის მიმდევარი. მაშინვე დაიბარა თავის დიდრონი სარდალ ფალევნები და თავის განზრახვა ყოველივე აღვიარა, ჭეშმარიტ ღვთის მონობა და საბაოთ ღვთის წამება. ეშმაკის დათმობა და არდევან-შაჰის და ქუჩუკის დამორჩილება, ყოველივე ამათ გამოუცხადა.

მაშინვე დევთა სარდლები წამოდგნენ, მივიდნენ და ფეხთა დაემხვნენ და მოახსენეს: დევთა ხელმწიფევ! ნეტარ ეგეთი ფიქრი და აზრი მართლა საბაოთ ღმერთმა ჩაგინერგა გულში? ჰეი ხელმწიფევ, ამას ხომ ვხედავთ რომ რომელსაც საბაოთ ღმერთი სწამთ, როგორი გამარჯვებულნი არიან. აი ვთქვათ უარამანი იყო. იმის შვილი ნარიმანი და ახლა ქუჩუკ-უარამანი. ამათ ყველას საბაოთ ღმერთი სწამთ და ხომ ვხედავთ როგორი ძრიელნი არიან. მაგრამ იმ წყეულ რაჯიბის სიტყვა ვინც დაიჯერა სუყველა დაიმცრო. მაშინ ერთობ მაღლის ხმით დაიძახეს: გვწამს საბაოთ ერთი ღმერთი ცისა და ქვეყნის გამჩენი. მაშინ დიდათ დაუმადლა თეთრმა-დევმა და უბრძანა: ჯარსაც უნდა შევატყობინოთ, ვინც მოიქცეს ხომ კარგი, ვინც არა და სულ დავხოცოთო. მაშინ იმ დევთა სარდლებში სამი ამაყი დევი ერია,

იმათ ღმერთს გმობა დაუწყეს და უთხრეს რომ, ჩვენ უხილავ ღმერთს ვერ ვიწამებთო და ჩვენ შემწე რაჯიბს თავს ვერ დავანებებთო. მაშინვე დააჭერინა თეთრმა-დევმა, ეს სამნივე და მაგრა შეაკვრევინა.

## ესენი ამ განზრახვაში და ღვთის მონებაში დაუტეოთ და ფარვან-დევის ამბავი მოისმინეთ.

როდესაც ფარვან-დევი მოვიდა და ქალაქის სიახლოვეს ჩამოხდა და იქ დაბინავდა, ფარვან-დევმა სთქვა, ორიოდ დღეს შევისვენებო და მერე იმის თავდარიგს შევუდგეთო. იმ დროს თავისაგან დახელოვნებული და გაწვრთნილი ჯადო ჰყვანდა, იმას უბრძანა: შენის ხელოვნებით უნდა წახვიდე და თეთრი-დევის მეჯლისში შეხვიდე, აგრეთვე იმის ხალვათში და რაც განზრახვა ჰქონდეს, ყველა დროით მაცნობე. მხოლოდ ახირ-ჯადოს უფრთხილდი რომ ხელთ არ გიგდოს. მაშინ ახლოს მიიყვანა ფარვან-დევმა რადაც შეულოცა და სილა შემოჰკრა. უთხრა: წადი და საბაოთ ღვთისათვის მიმიბარებიხარო. შენ ჯადოთი ველარას დაგაკლებენ. მაშინვე საჩქაროდ წავიდა, მივიდა და ისე შევიდა იმის მეჯლისში და თეთრი-დევის ხალვათში რომ ახირ-ჯადომ სრულებით ვერ გაიგო. რა დილა გაითენდა მაშინ ყოველივე თავისი განზრახვა თავის დევთა ლაშქარს გამოუცხადა. რა ისეთი განზრახვა გაიგონეს, მაშინ ხომ ერთობრივ დიდის ხმით შესძახეს გვწამს საბაოთ ღმერთიო და გვიწამებიაო. წყეულიმც იყოს რაჯიბ ეშმაკი და იმის მომყოლიცაო. მაშინ ეს ჭკვიანი თეთრი-დევი, მოუყვა და უთხრა ყველას: „ძმანო, ამას ხომ კარგათ ჰხედავთ რომ მთელი ხმელეთი, ზვა და მთა, ყოველი ცხოველი სულ სიმქაშის ჩამომავლობას ემსახურებიან. ხუთასი წელიწადია რაც მე სიმქაშ ხელმწიფეს გავექეცი და დამალული ვიყავ ოკეანეს ზღვაში. ახლა მე არა თუ ბაყბაყ-დევის სიტყვით გამოველ. მხოლოდ ეს გონება მე ღმერთმა მომცა რომელმაც ჭეშმარიტი გზა დამანახვა და აქ მოველი რომ სწორე გზაზე ვიარო, ჰეი ძმანო! თახმურად ხელმწიფე იყო ყარამანის მამა ძრიელი და გამოჩენილი ხელმწიფე. იმას ძმა ჰყვანდა გვარჯასპი უკეთესი და სახელგანთქმული, თქვენ ყარამანის მოთხრობა ხომ გაგოგონიათ, რომ იმისთანა ძრიელი და გამოჩენილი სააფირანი არ დაბადებულიყო ქვეყანაზედ. ისიც ხომ გაგიგიათ რომ ყაფის მთის კარი, სამი დღე და ღამე ხელში ეჭირა ღია. იმისთანა უზარ-მაზარი უშველებელი კარი და მთელი ოცდა ოთხი სახელმწიფოს ჯარმა იმ კარში გაიარა, რომელიც ეს-თი საქმე არა სააფირანისაგან არ მომხდარა". ამის გარდა ნარიმანიც უკეთე-

სია რომელიც იმის ფალევნობის მოთხრობაც ძლიერ გძელია და ესეც ხომ ყარამანის შვილია. ქუჩუკისთანა ხომ არვინ დაბადებულა და არც იქნება. გარდა ამისი გინდ მისი ცოლი, სულ ერთმანერთზედ გმირები არიან. ყარამახის მოთხრობიდამა სჩანს რომ იმ დროს, ჩაქსარა-დევისთანა და ყეითარ-დევისთანა ძლიერი დევი ხმელეთზედ არა ყოფილა. მანამ ჭაზარექ-დასტი ხმელეთზედ გავიდოდა, ის ყეითარ-დევი სააპყირანობის დავასა სწევდა და ამ ქუჩუკ-ყარამანმა ერთი უბრალო ლახტის დაკვრით შეიპყრო. მერე იმისმა დამ ინდოეთის დედოფალმა რუიზანამ რა უყო ზარბაქ-დევს! ერთი მუშტის დაკვრით წააქცია მოკლა და გულათ ამოიღო. უნდა იცოდეთ რომ ღმერთს ამათ გვარისთვის უბოძებია ცათა ქვეშ რაც საცხოვრებელია. აბა ახლა ჩვენ ვის გულისთვის უნდა დავიხოცოთ ამათ ხელიდამ? რაც უნდა ძლიერნი ვიყვნეთ, ბაუბაყ-დევზედ, ზარბაქ-დევზედ და ჭაზარექ-დასტზედ ძრიელნი ხომ არ ვიქნებით. ხომ გაიგეთ რომ ქუჩუკმა როგორ ადვილად დაიმორჩილა ყველანი.

ეხლა ქუჩუკს ისეთი ადამიანთ ფალევნები ჰყავს რომ, ყველანი ხელმწიფის შვილები არიან და თვით ხელმწიფენი. ერთი რომ შემოუტიონ ზღვებსა ხმელეთად გარდააქცევენ. მეტადრე ყოვლიბან-შირვანი და ხოსროვშირო, ესენი ქუჩუკზედ ნაკლებნი არ არიან. მოდით ამისთვის ვიცნათ ჭეშმარიტი ღმერთი და დავემორჩილოთ. ამ დროს იქ მყოფთა დევთა სარდლებმა და ფალევნებმა, ერთ ხმათ დაიძახეს! ჰო, ჩვენო ხელმწიფევ, ჭკვიანო და ბრძენო, თეთრო-დევო! გვწამს ერთი ღმერთი და გვიწამებიათ.

შემდეგ თეთრმა-დევმა გააგრძელა ლაპარაკი კიდევ, ფარვან-დევსაც ხომ კარგათ იცნობთ რომ ქვეყანაზედ იმისთანა ხელოვანი არავინ გამოვა. რომ მოინდომოს ზღვას დაშრობს. ამასთან ფაშკუნჯისთანა ძრიელი ფრინველი და ფრინველთა ხელმწიფე, რომელიც მაგათ პატივის გულისთვის რამდენი ხანია მაგათთან იმყოფება სამსახურად.

ამაში ყოველმა სულმა ნახეს რომ იმათი დამორჩილება ამჯობინეს და დამორჩილდნენ კიდეც, ამათაც რაღა უნდა ექნათ. ყველაზე მომეტებულად ახირ-ჯადოს უფრო იამა რომ ფარვან-დევის ფათერაკებს გადარჩა. შემდეგ შეჯლისის გამართვა ბრძანა თეთრმა-დევმა, დაჯდა და თავის შესაფერი წიგნი მისწერა ფარვან-დევს, თავის სარდალ-ფალევნებით და ჯარით ერთობრივ. თავის ქალაქში მიიწვია ფარვან-დევი და იქიდამაც წიგნი მისწერა და შეატყობინა. იმ დროს ფარვან-დევის აიარი იქ იმყოფებოდა, ჯაშუშათ რომ გაეგზავნა წინათ ფარვან-დევსა, ეს ყოველი შეთქმულება და დამორჩილება გაიგო; შემდეგ საჩქაროდ წამოვიდა ჯაშუში ფარვან-დევთან და ეს ყოველივე უამბო: თეთრი-დევის განზრახვა და ეშმაკის გაგდება, დიდის

მიხვედრება, შემდეგ თავის ჯარისა და ფალევნების ქადაგება და ღვთის სიყვარულზედ ლაპარაკი და იმათი მოქცევა, სამი სარდლის შეპყრობა და იმათ დასჯა, რადგანაც იმათ არ იწამეს საბაოთ ჭეშმარიტი ღმერთი. უარამანის ჩამომავლობის ქება, ფაშკუნჯისა და ფარვან-დევის ქება და ყოველივე განზრახვა თეთრი-დევისა. ყოველივე წვრილად უამბო ფარვან-დევს და იმის სარდლებს. ამ ამბვის დასამტკიცებლად ხვალ იმათი კაცებიც გიახლებიან. ახირ-ჯადო და ორიც სხვა სარდალი თქვენს მისაწვევად. რა ესეთი მოულოდნელი ამბავი მოისმინა დიდათ გაჰკვირდა და სთქვა: ფარვან-დევმა, თუ ეს საქმე გამართლდა, თეთრი-დევის სიჭკვიანე ძლიერ საქებარია რომ ესეთი ჭკუა მოუხმარებია. შემდეგ ფარვანი დაფიქრდა და სთქვა: აქ მაცდურობა რამ კი არ იყოს და. უნდა გამოვიკვლიოთ. მაშინვე დაჯდა ერთ ნაირი რაღაც წყალი გააკეთა და შემოსავალ კარებთან ერთი მაღალი ხე აღმართა და ის წყალი შუშით ზედ დაჰკიდა და სთქვა: თუ იმათი მოსული კაცი ჩვენს მწევრად, ჭეშმარიტის გულით მოდის და აგრეთვე თუ მართლა საბაოთ ღმერთიც უწამებიათ და მართალია ეს საქმე, მაშინ მშვიდობით შემოვლენ ჩემთან და თუ გულებში ღალატი აქვთ, მაშინ ჩემ წინ ქვათ იქმნებიანო. შემდეგ დაფიქრდა და სთქვა ფარვან-დევმა: იქნება თეთრი დევის განზრახვა, აქ მომსვლელმა კაცებმა არ იცოდნენ. მაშინ ჩემი მანქანები არ იმოქმედებს, ამიტომ ერთიც სხვა რამ თილისმა შეჰქმნა და მზათ შეინახა. როდესაც უკან გაბრუნდებოდა თეთრი-დევის მოპატიჟე კაცები, თუ თეთრ-დევს მუხანათობა ედო გულში, მაშინვე ცეცხლით დაიწოდა.

რა ესეთი თილისმები მოამზადა, იმ ღამეს ღმერთი ახსენა და უცხო მეჯლიში გამართა და კარგათ შეექცა. რა დილა გათენდა, მაშინ თავის სარდლებს ყოველივე უამბო და ისინიც გაჰკვირდნენ.

ამ დროს შეხედეს ნახეს რომ, ორასამდე დევნი და ჯადონი და ორიც უცხო სარდალი და მათთან ახირ-ჯადოც წინ მოუძღვის და დიდის ყოფით მოდიან. ფარვან-დევმა რომ ესენი ნახა, მაშინვე აფთარ-ჯადო და ზანგ-დევი მიაგება და დიდის დიდებით და პატივის ცემით შემოაყვანინა და თითონ ტახტზედ დაბრძანდა და სარდლები საფალევნო სკამებზედ დასხა და ისინიც შემოვიდნენ, თაყვანი სცეს, ახირ-ჯადო მივიდა და ფარვანს მუხლთა აკოცა, იგი სარდლებიც მივიდნენ და ფარვანს ხელსა აკოცეს. ამათ დასაჯდომი ადგილები უჩვენეს, ესენიც დასხდნენ. ცოტა ხანს შემდეგ ფარვანმა უბრძანა: რისთვის გარჯილხართო? მაშინვე თეთრი-დევის გამოტანებული წიგნები ამოიღეს და მიართვეს. მაგრამ იმათში ახირ-ჯადო ფარვანს რომ უყურებდა შიშით კანკალებდა. როდესაც ფარვან-დევმა, თეთრი-დევის წიგნი წაიკითხა, დიდათ იამა და სთქვა: მართლა რომ კონიერი და ჭკვიანი

დევი ყოფილა, ღვთისა და კაცის მოყვარული. მაშინვე ახირ-ჯადოს უბრძანა: ამ ჟამად თეთრი-დევი სად იმყოფება, ქალაქშია თუ ქალაქს გარეთ? ახირ-ჯადომ მოახსენა: ჰეი, ყოვლად ჯადოთ ხელმწიფევ! ახლა ამ ჟამად თეთრი-დევი ამ ქალაქის ციხეში, ამბირ-დევის სასახლეში ბრძანდებათ და თქვენ გელით. მაშინ ფარვან-დევმა მეჯლისი ბრძანა და უცხო ლხინი გარდაიხადა. რა ლხინი გაათავეს, მაშინ მოსვენებას მიეცნენ. რა დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თვისი სხივნი მოჰფინა ქვეყანას, მაშინ ახირ-ჯადოს უცხო ხალათები უბოძა, აგრეთვე თან მომყოლთა ფალევანთა და ისე გაისტუმრა, თითონაც წასასვლელად მოემზადა. აფთარ-ჯადოს უბრძანა რომ ჯარს აყრა უბრძანოს და მაშინვე ჯარები აიყარნენ და დასტა-დასტად დადგნენ. მაშინ ამბირს ზანგს და ანყაბუზს უბრძანა: ყველანი თქვენ თქვენს ჯარებს გაჰყევით და თითონაც, ჯადოთა ლაშქარი ზოგი მოწინავეთ გაგზავნა და დიდის ყოფით გაისტუმრა. რა ქალაქის პირს მივიდნენ, მაშინვე წინა კაცნი მოაგება და დიდის პატივით შეიყვანეს. რა ციხის სიახლოვეს მივიდა, თვით თეთრი-დევი წინ გამოეგება თავისის სრდალ ფალევნებით. რა ერთმანერთი დაინახეს, მაშინვე გაქანდნენ და ერთმანერთს გადაეხვივნენ და დიდხანს გადახვეულნი იყვნენ. მისალმებას რომ მორჩნენ, შემდეგ თეთრი-დევი, ამბირ და ზანგ დევთა მიესალმა და შემდეგ წინ გაუძღვა და სასახლეში შეიყვანა და უცხო ტახტზე დასხდნენ. მერე ახირ-ჯადოს უბრძანა თეთრმა დევმა, იმათი ჯარები დააბინავებინა, ახირ-ჯადო გავიდა და ფარვან-დევის ჯარებს უცხო ადგილები უჩვენა.

შემდეგ თეთრმა-დევმა მეჯლისი ბრძანა: მოიღეს უცხო სანოვაგე და შეექცნენ. ლხინი რომ გაათავეს მოსვენებას მიეცნენ. რა დილა გათენდა ერთად შეიყარნენ, მაშინ თეთრმა-დევმა თავის განზრახვა ყოველივე ფარვან-დევს უამბო. რა ფარვანმა მოისმინა მაშინ უთხრა: თეთრო-დევო ეგ შენი გულის განზრახვა, ღვთიური განზრახვაა—და დიდი ჭკვიანი და ბრძენი ბრძანებულხარ. თქვენ ასეთი საქმე განგიზრახავთ, რომ არას კაცისაგან არ შეიძლებოდა.

მაშინ თეთრმა-დევმა სთხოვა ფარვანს, რომ მეორე დღეს ყოველივე ციხე-ქალაქი და ხაზინა ჩაებარებინა. მხოლოდ მე საჩქაროდ ჩემის ჯარებით, სააპყარან ქუჩუკ-ყარამანს და შვილი იულიმის მპყრობელ ხელმწიფე არდევან-შაჰს უნდა ვიახლო და იმათ ხელმწიფობას თავი დაუკრა. მაშინ ფარვან-დევმა ციხე-ქალაქის ჩაბარება არ ინება და უთხრა: მე მხოლოდ ბრძანება მაქვს ჩემი ხელმწიფე არდევან-შაჰისაგან, რომ ამ ქალაქამდისინ თუ სადმე ჯადოსაგან გზები შეკრული უნდა გავწმინდო და გავასუფთაო და მე კი ქალაქს გარეთ დავსდგე. ახლა თქვენ რადგანაც ღვთიური ფიქრი

ჩაგსახვიათ და უომროთ ციხე-ქალაქს და ყოველ თქვენს ძალას მე მითმობთ, მაშ ვიდრე მე ამ ამბავს, ჩემს ხელმწიფეს არ ვაცნობებ არ შემიძლიან მიღება არც ერთი ჩალის დანაფასებისა.

ფარვანმა მაშინვე ათთარ-ჯალდო მოიხმო და ყოველივე გარემოება აუწყა, ან რა გზით მივიდა ქალაქთან, ან ჯალდოებისაგან რა რიგათ იყო გზები გამართული, ან როგორი მანქანები და თილისმები დაარღვია, ან თეთრმა-დევმა რა გზით გამოუცხადა დამორჩილება. ყოველივე დაწვრილებით მისწერა არდევან-შაჰს, ქუჩუკს და სხვა ფალევანთა. ათთარ-ჯალდოს მისცა წერილი და საჩქაროდ გაისტუმრა და თვითონ კი თეთრ-დევთან შეექცეოდა.—აგრეთვე თეთრმა-დევმა მისწერა ერთი წიგნიც და თავის გულის განზრახვა და ღვთის სიყვარული და იმის თაყვანის ცემა და დამორჩილება, და სთხოვა ამ რიგათ: ჰე ხელმწიფევ შვიდის იყლიმისა და სააბყირანო ხმელეთისა! ვთხოვ თქვენს გაძლიერებულ ხელმწიფობასა, რომ მაღირსოთ თქვენთან ხლება და თქვენის წმიდის რჯულისთვის თაყვანის ცემა მაღირსოთ! არა თუ მარტო მე, ჩემი ოთხასი ათასი ჯარით და სარდალ-ფალევნებით და ორასი ათასი ჯალდოთ ლაშქრით. გთხოვთ დიდებულო ხელმწიფევ რომ ნება უბოძოთ ფარვან-დევს, ჩაიბაროს ჩემი ციხე-ქალაქი და ხაზინა. მხოლოდ მე კი თქვენთან ხლების ნება მიბოძეთ. რა წიგნის დაწერა გათავა, მაშინვე დაბეჭდა და ახირ-ჯალდოს მისცა და საჩქაროდ არდევან-შაჰისაკენ გაისტუმრა.

## ესენი ამ მიმავლობაში დაუტევოთ და ფარვან-დევი თავის სარდლებით, თეთრი-დევისას. ამბირ და ზანგ-დევის ქალაქებისა. და არდევან-შაჰისა, ქუჩუკისა და ბაყბაყ-დევის ამბავი მოისმინეთ.

რა დროსაც ქუჩუკმა ბაყბაყ-დევი დაამარცხა და იმის დევთა ლაშქარი სულ დაიპყრო და აგრეთვე სარდალ-ფალევნები, მაშინ მოვიდა და არდევან-შაჰსა სთხოვა რომ დროით თეთრი-დევისაკენ წასულიყვნენ, ამიტომ რომ დროით გაეთავებინათ ყოველივე თავიანთ საქმე და თავიანთ ქვეყნებში დაბრუნებულიყვნენ. ექვსი წელიწადი იქნებოდა, რომ თავიანთ სახელმწიფოებს უპატრონოთ გაეშოთ. მაშინ არდევან-შაჰმა ბრძანა: ბაყბაყ-დევის მოყვანა, და ყულდუნ-ჯალდოსი და ბარყულ-ჯალდოსი. მაშინვე მოიყვანეს ეს საშინელნი დევნი, ფეხებ შეკრულნი, ღიღრონი რკინის ჯინჯილებით. ყველა დასცქერდა იმათ სიდიდეს და უკვირდათ! ზოგზოგმა მხდალმა ფალევანმა თვალი

ვერ გაუსწორა. ამ დროს ბაუბაუ-დევმა ერთი საშინელის ხმით მოახსენა: „ხელმწიფევ შვიდთა იყლიმის მპყრობელო! რა გაკვირვებით გვიყურებთ ყველანი? თუ ჩემი შეპყრობა გიკვირთ, ნუ გაგიკვირდებათ, თქვენი საპყირანისაგან ჩემი შეპყრობა, აქ კაცობრივი ძალა არ მოქმედებდა. ჩემი შეპყრობა და დამონავება, თქვენი ღვთის განგება იყო“. მე ამას მოგახსენებ ჩემის დევთა სარდლებით, მეტადრე შავი-დევისა და ხაზარან-დევისა, რომელნიც ალბურზის მთას წიხლით დააქცევენ. მაგრამ შენმა უხილავმა ღმერთმა ჩვენ ხელი არ მოგვიმართა, რადგანაც იმ ბილწი და საძაგელი რაჯიბ ეშმაკის თაყვანის მცემელნი ვიყავით. მეორეც ესა, ხელმწიფეო! ვიდრე თქვენთან იმყოფებიან, ყარამანის ჩამომავლობის თესლისანი, თქვენი ტახტი უძლეველი იქნება ყოველ ჟამს და ვერვინ დაამცირებს თქვენ სახელს, ვერც დევი, ვერც ქაჯი, ვერც ჯინი და ვერც სხვა მტერნი. ჩემისთანა ძრიელი დევი და ზარბაქ-დევისთანა, აგრეთვე ჭაზარექ-დასტისთანა, მთელს ცათა ქვეშეთში არ გამოვა.

მერე შეხედა იმ ხუთთა გმირთა ფალევანთა და უთხრა: ადამიანთ ფალევანნო! შაბაშ თქვენს ფალევნობასა, თქვენი დედის ძუძუ დაილოცოს თქვენი შობისათვის. თქვენი თესლი ერთი ათასად იქცეს. აგრეთვე ყოვლიბანს და ხოსროვშირს დიდი ქება შეასხა. შემდეგ ქუჩუკს მიუბრუნდა და უთხრა: საპყირანო! მე ხომ შენი ძალა გამოვცადე, იცოდე რომ არა საპყირანნი და არა ფალევანი შენი მსგავსნი არ არიან, მაგრამ არც თუ ნაკლებნი არიან შენზე ყოვლიბანი და ხოსროვშირი. აგრეთვე ამ ხუთთა ფალევანთა მჯობი, შენს გარდა ამათ მომრევი არავინ გამოჩნდება. მე ყოველ ომში თქვენს ფალევნებს ვშინჯავდი. ამ უკანასკნელ ომში ჩემი შეპყრობის დროს ორი ჭაბუკი ფალევანნიც სხვანი იყვნენ, მეტად მშვენიერნი და ძლიერნი, იმათმა ფალევნობამ ხომ სულ გამაკვირვა და იმათ აქ ვეღარა ვხედავ.

მაშინ ხემწიფემ ბრძანა: ბაუბაუ-დევო! ისინი რომ ნახო იცნობ? ბაუბაუ-დევმა მოახსენა: თუ ვნახე უეჭველად ვიცნობო. ქუჩუკი მაშინვე გავიდა რუიზანსა და გულჩინს ფალევნური ტანისამოსი ჩააცვა და შემოიყვანა, ხელმწიფეს მუხლსა აკოცეს და ბაუბაუ-დევს თავი დაუკრეს. რა შეხედა მაშინვე დაიძახა ბაუბაუ-დევმა, აი ამათ ვამბობდი, სწორედ ესენი არიანო და მოახსენა: ხელმწიფეო, ესენი ასეთი უცხო ფალევნები არიან რომ საპყირანობა შეუძლიანთო. მეტადრე რუიზანზე მიიშვირა ხელი და უთხრა: ეს უფრო ძრიელია, ამიტომ რომ დიდი ფალევნის ჩამომავლობა იქნება და ეს ქუჩუკის შემდეგ საპყირანობის დავას გასწევსო და კვალად სახეზედ დააკვირდა და უთხრა: ფალევანო გაფიცებ შენ მამა-პაპის სულსა, სწორედ მითხა-

რით ეს უმაწვილი ფალევანი ვინ არის? მაშინ ქურჩუკმა უთხრა: ბაუბაუ-დევო, თუ სწორეს მკითხავ, ეს ჩემი საყვარელი და არის, გმირთა-გმირი რუიზანი, ინდოეთის დედოფალი. და ეს მეორე, ბარამჯიბილზე ხელი მიუშვირა, აი ესეც იმის დაა და ჩემი ცოლი. მაშინ ამ დევმა თავის მყრალი პირით გადიხარხარა საშინლათ და სთქვა: თქვენ ყოველნი დედანი და მამანი სულ გმირები და ფალევნები ყოფილხართო. და თქვენთან ბრძოლა შეუძლებელია. მე დიდათ შევცდი რომ თეთრი-დევის რჩევა არ დავიჯერე, ის ბევრ კარგ რასმეს მარიგებდა, მაგრამ მე ყური არ უგდე. ის ასეთი ჭკვიანი და ბრძენი დევია, რომ ქვეყანაზედ არც ადამიანი და არცარა დევნი გამოსულან მაგისთანა. აგრეთვე ძრიელი ფალევანიც არის და ამასაც მოგახსენებთ რომ ის თქვენ ომს არ დაგიწყობთ, თუ ომის გამოცხადება სდომოდა, აქნომამდე, ან აქ ჩამოგიხდებოდათ ანუ მთელს ინდოეთს და ერან-თურანს გაოხრებდა, მაგრამ იმან ადრევე იცოდა თქვენი გვარის ძრიელება და იმისთვის სურდა რომ საბაოთ ღვთისათვის თაყვანი ეცათო. და ახლა კი არ ვიცი იმის საქმე როგორ არის.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, აფთარ-ჯადო შემოვიდა და პირმიწა გაერთებით თაყვანი სცა ყველას მივიდა და ხელმწიფეს მუხლთა აკოცა, გამობრუნდა, შემდეგ ყოვლიბანს, ხოსროვშირს, ნარიმანს, ყათრანს და ბარამჯიბილს კალთას აკოცა და დედოფლებს პირ მიწას გაერთებით თაყვანი სცა, მერე დაიჩოქა და ფარვან-დევის წიგნი მიართვა. არდევან-შაჰმა რომ ფარვან-დევის მოწერილი წიგნი წაიკითხა, დიდს განკვირვებას მიეცა, მერე სააპყირანს გადასცა წიგნი. რა სააპყირანმაც წაიკითხა, დიდათ იამა და ყოველთა ფალევანთა უხმო და დიდათ ისიამოვნეს, ამიტომ უფრო რომ დროით მოუხდებოდათ საქმის გათავება და ყველა თავის ქვეყანაში დაბრუნდებოდა გულ დინჯათ.

## აქ თეთრი-დევისაგან ახირ-ჯადოს ხელით წიგნის გაგზავნა ორ დიდებულთან, არდევან-შაჰასთან და ქურჩუკთან.

ამ დროს რა შექცევას მორჩნენ და აფთარ-ჯადოს მოტანილი წიგნი წაიკითხეს, რომელიც ფარვან-დევს გამოეგზავნა დიდებულ არდევან-შაჰასთან და სააპყირან ქურჩუკთან და დიდათაც ესიამოვნათ. ამ დროს კარისკაცი შევიდა გარდანქეშანს მოახსენა: აფართა სარდალო! დასავლეთის მხრიდამ რაღაც მოლაშქრე ხალხი მოჩანან, არ ვიცი მტერნი არიან თუ მოყვარენიო. გარდანქეშანი მაშინვე კარში გამოვიდა და აფთარ-ჯადოც თან გა-

მოჰყვა. შეხედეს ნახეს რომ ახლოს ვიღაებიც მოდიან; ამათ მაშინვე იც-
ნეს რომ ახირ ჯადო იყო და სხვანი, თავის ჯადოს დამქრიდამ ოციოდე
კაცი და ორიც დიდებული დევთა სარდალი. რა გარდანქეშანმა შეხედა სთქვა:
ოხ ამისთანა უსაძაგლესი ჯადო კიდევ იქნება სადმე! მაშინვე გარდანქეშანი
შევიდა და მოახსენა: ხელმწიფევ შვიდის იყლიმისაო და სააბყირანო ხმე-
ლეთისაო. თეთრი-დევის კაცნი და ორიც დიდებულთაგანნი გიახლნენო და
თქვენს ნახვას და თაყვანებას ინატრიანო. იმათში ერთი ვიღაც ურევია მშვე-
ნიერი და მზის დარი, ისეთი რომ აქ ჩვენი ბანოვანნი და დედოფალნი
იმის სილამაზეზედ სულ აღარ გამოჩნდებიან, ვიშიშვი რომ ნახოთ ვაი თუ
გული დაგაკლდეთო. მოახსენა დედოფლებსა: ჵე ბანოვანნო! ცოტას ხანს
რომ მეორე კარავში გაბრძანდეთ ძრიელ კარგს იზავთო. ამ სიტყვაზედ
ქურუკი დიდათ გაჯავრდა და ფიქრობდა: ნეტარ ვინ უნდა იყოს ისეთი
ლამაზი რომ გარდანქეშანი ბევრ ალაგებშია მნახველი მშვენიერთა ქალები-
სა და ეს ვიღაც მოსწონებია ნეტარ ვინ უნდა იყოსო? ჩუმათ ადგა და
კარში გამოვიდა, რა დაინახა მაშინვე იმის სიბილწით თავმა ტკივილი და-
უწყო, მობრუნდა და შინ შემოვიდა, გარდანქეშანს შეხედა და გაეცინა,
და უთხრა: ჰეი აიართა უხუცესო! მართლა რომ შენი ქების ღირსი ყოფი-
ლა. ამ ქურუკის სიტყვაზედ უფრო დაამტკიცეს და დედოფლებმა ბრძანეს,
დროთი შემოიყვანეთ ერთი ვნახოთ თუ ჩვენზედ ლამაზია, ჩვენ თავს უშ-
ველოთ საითმე დროით. მაშინვე არდევან-შაჰმა, ავთარ-ჯადოს და ორ დი-
დებულთა უბრძანა წინ მიგებება, საჩქაროდ მივიდნენ და წინ გამოუძღვნენ:
ვინც კი ნახეს სთქვეს, ღმერთო ამისთანა საზიზღარი. ბილწი და მყრალი
კიდევ ვინმე იქნებაო! რა შემოვიდნენ, მაშინვე ახირ-ჯადო დაემხო პირი
მიწას გაერთებით, ხელმწიფე არდევან შაჰსა და ქურუკ-ყარამანს თაყვანი სცა
და გამობრუნდა. ფალევანთა და დიდებულთა თავი დაუკრა. შემდეგ ამოი-
ღო უბიდამ თეთრი-დევის წიგნი ქურუკს მიართვა და თვითონ გამობრუნ-
და. საჯდომში ალაგი უჩვენეს და ისიც დაჯდა. ქურუკმა ის წიგნი ხელმწი-
ფე არდევან-შაჰსა მიართვა. რა არდევან-შაჰმა ეს წიგნი აღმოიკითხა დი-
დათ იამა და ისევ ქურუკს უბოძა და ქურუკმაც ერთობ კრებაში წაიკითხა
დიდის ხმით, ესე ეწერა შემდგომი სიტყვებით: „თქვენო დიდებულებავ!
მაღალო და შვიდის იყლიმის ხელმწიფევ და სააბყირანო ხმელეთისაო, ყო-
ველ ჟამს ბედნიერთ იმყოფებოდეს მეფობა თქვენი. რომელიც თქვენი ჭე-
შმარიტი ღვთის სიყვარული გულსა ჩემსა დაინერგა და მე ამ მიზეზითაც
ფარვან-დევს ვაბარებ უომოთ, აქაურ ციხე-ქალაქსა. ზარბაქ-დევის ნაქონ
სახელმწიფოს. ამბირ-დევის და ავთარ-ზანგის საბატონოს. ამ მიზეზისა-
თვის რომ თქვენსა და ქურუკის თაყვანის ცემას ვედრისო.

უნდა მოგახსენოთ სიმდაბლით ჩემს მხრივ, ხელმწიფევ რომ, მე არ ვიყავი ისეთი მხდალი დევი რომ ჩემის ოთხასი ათასი ცეცხლის მფრქვეველ დევთა ჯარით და ორას ათას ჯადოს ლაშქრით, დაგ მორჩილებოდით! ახლა შვიდის იულიმის მპყრობელო ხელმწიფევ! გითხოვ თქვენსა ღვთიურ მოწყალებას, რომ მაღირსოთ თქვენი ტახტის თაყვანის ცემა, ჩემის ლაშქარ-ფალავნებით და ჯადოს ლაშქრით. და გთხოვთ მოსწეროთ, ფარვან-დევს რომ დაუყოვნებლივ ჩაიბაროს ყოველივე, თუ ხაზინა თუ ციხე-ქალაქი, რომელიც ბაყბაყ-დევისაგან მქონია ჩაბარებული. ყოველივე მიიღოს და მე თქვენთან გიახლოთ.

როდესაც ეს წიგნი წაიკითხეს, დიდებულთა და ფალავანთა ყველამ მოისმინეს: ამათ ყველას იამათ და სთქვეს, საკვირველია რომ იმისთანა გამოჩენილი და ძრიელი დევი და იმოდენი ლაშქრის პატრონი უომოთ მტერს დაემორჩილოსო! მაშინ ხაზარან-დევი წარმოსდგა და მოახსენა: ხელმწიფევ შვიდის იულიმისავ და საპყირანო ხმელეთისავ! მე ამას მოგახსენებთ რომ თეთრ-დევის ღვთის სიყვარული ჩვენ ადრე ვიცოდით რომ იმას ჰქონდა, მაგრამ იმისაგან კი არ მოველოდებოდით რომ ისეთი სიყვარული ჩაენერგა საბაოთ ღმერთისა რომ მაგისთანა ძრიელი და მძლავრი დევი უომოთ ფარვან-დევს დამორჩილებოდა. მერე მაგდონი ჯარების პატრონი. მე ამასაც მოგახსენებთ რომ იმისი ჯადოები კი ვერ მოვა ფარვან-დევის ჯადოებთან და ფარვან-დევთან ვერას იმოქმედებენო. მხოლოდ ხმლით კი ვინც იქ სარდლები გაგზავნეთ და ფალავნები, არა მგონია რომ ერთი მაინც სჯობდეს. იქნება აქაც არა სჯობდნენ, ამ ხუთთა ფალავანთა გარდა და ღვთის სიყვარულისთვის ომი აღარ დაუწყია, რომ ჯარი არ დაჰხოცოდა. თავის მხრიდამ თუ ფარვანის მხრიდამ. ამისთვის ჭკვიანათ უფიქრია და კიდევაც დიდი ჭკვიანი და ბრძენი დევია. იმ დროს ახირ-ჯადო წინ წამოაყენეს და ჰკითხეს: ამ ჟამად თეთრი-დევი სად იმყოფება? ანუ ფარვან-დევის ლაშქარი? მაშინ ახირ-ჯადომ მოახსენა: ხელმწიფევ! რასაც წამს ფარვან-დევი მოვიდა, ქალაქს გარეთ დაბინავდა, თეთრმა-დევმა მაშინვე კაცები მიუგზავნა და თავისთან მიიწვია და ყოველივე სახელმწიფო ციხე-ქალაქის და ხაზინის ჩაბარება სთხოვა, და ფარვანმა არ ინება თქვენს უბრძანებლოთ. ახლა თეთრი-დევი და ფარვან-დევი, ციხე-ქალაქში იმყოფებიან თავიანთ სარდალ-ფალავნებით და შექცევიან. ჯარებიც ერთ კარგ ალაგს დავაბინავეთ და საზდო მიუჩინეთ. ახლა თქვენს ბრძანებას ელიან. რა ფალავან ქალებმა ახირ-ჯადოს შეხედეს, მაშინ ინდოურის ენით გარდანქეშანს უთხრეს ტჯეი აიართა სარდალო! ისე შენმა სულმა საიქიოს განათლება მიიღოს, როგორც ჩვენ ამის ნახვით გავნათლდითო, შენ რომ იძახდი ჩვენზედ მშვე-

წიერსა და ლამაზსა, ეგ არის ჩვენზედ ლამაზი? შენ კიდევ არ დაიშალე შენი თხუნჯობა და თინბაზობა?!..

## აქ არდევან-შაჭისაგან წიგნის მიწერა თეთრ-დევთან შემდეგი სიტყვებით.

არდევან-შაჭამ წიგნი მისწერა თეთრ-დევს: „სახელ განთქმულო და ღვთის სიყვარულით აღვსილო ხვადო დევო! შენ მოწერილ წიგნიდამ სჩანს რომ შენ ყოფილხარ დიდი ბრძენი და ჭკვიანი. რადგანაც ჩაგინერგავს გულში ღვთის სიყვარული და დაგიხსნია პირველათ შენი თავი სატანჯველისაგან და მეორე შენი ოთხასი ათასის დევთა ჯარისა და აგრეთვე ჯადოთ ლაშქრისა და დაგიწყევლია ორთავ სოფლის მაცდური რაჯიბ ეშმაკი, ეგ კარგი ჩაგიდენია. აბა ახლა იფიქრე შენ, ბრძენო თეთრო-დევო, რომ მაგ ეშმაკმა რაჯიბმა, რამდონ რიგათ გაცდინათ. აქაც ამისთანა ფალევანი ხვადი დევი აცდინა თავისის ძლიერი ლაშქრით და ფალევნებით, გააბა დიდსა მახესა და სატანჯველს მისცა. მხოლოდ მადლობა ჩვენს ძრიელს და მოწყალე ღმერთს, რომ შენ ეგეთი გონება მოგცა, რომელსაც არ ერწმუნე იმის მანქანებას, ეშმაკობას და სიცრუით სავსე ქადილობას. და ირწმუნე ჭეშმარიტი ცისა და ქვეყნის გამჩენი“. ფალევანო, თქვენ ჩემთან მოსვლა მოგიწერიათ, ნუღარ გაირჯებით, თუმცა მეც ძრიელა მსურს თქვენისთანა ღვთის მოყვარულის დევის ნახვა, მაგრამ ჩვენ გიახლებით სწრაფის სიარულით თქვენთან, ჩვენის ყოვლის ძალითა! წიგნი მსწრაფად დაბეჭდა და ახირ-ჯადოს მისცა და ერთი ისეთი ხალათი უბოძა რომ ფასი არა ჰქონდა, აგრეთვე ფალევანთაც დიდი საჩუქარი უბოძა და დედოფლებმაც მრავალი თვალ-მარგალიტი აჩუქეს და ისე მადლობელი გაისტუმრეს. აგრეთვე დიდძალი ფეშქაშები გაატანეს, თეთრ-დევისთვის.

## აქ ახირ-ჯადოს თეთრ-დევისაკენ გამგზავრება, დაუტეოთ და ქუჩუკისაგან ბაუბაუ-დევის საუბარი და არდევან-შაჭისაგან. ქუჩუკისაგან, სიმრუღისაგან, ბაუბაუ-დევის ლაპარაკი და დამორჩილება და განთავისუფლება. ქუჩუკისაგან შეწუნარება.

იმ ჟამად, რა ახირ-ჯადო გაისტუმრეს დიდის ფეშქაშებით, თეთრი-დევისაკენ, შემდეგ არჩიეს ასე რომ, უკეთუ ბაუბაუ-დევი წმინდის გულით დაგვმორჩილდება და საბაოთ ღმერთს იწამებს, მაშინ გავანთავისუფლოთ

და თვისსავე ქვეყანას გავისტუმროთ. მაშინ სულ ერთად შეიყარნენ, არდევან-შაჰა, ქუჩუკ-ყარამანი, სიმრუდი, ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ნარიმანი, ყათრანი, ბარამჯიბილი და გარდანქეშანი თავისის ამხანაგებით. ამათთან ზორაბ-შაჰა, ზორაბ-დევი, საჰმან-ადამზადი თავისის თერთმეტის ამხანაგი დევებით და სხვათა რომელნიც ტახტის ღირსნი იყვნენ ტახტზედ მიიწვიეს და რომელიც არა, ვერცხლის სკამებზედ გარიგებით დასხდნენ უცხო ფალევანნი. შემდეგ ერთი დიდი ფოლადისაგან შექმნილი ტახტი მოადებინეს და მარცხნივ მხარეს დადგეს, იმის გვერდითაც ოთხი ვერცხლის სკამი დადგეს. მაშინ არდევან-შაჰამ ბაუბაუ-დევისა, შავი-დევისა, ხაზარან-დევისა, არჯავ-დევისა და საყანჩუნ-დევის შემოყვანა ბრძანა: აგრეთვე ყულუნ და ბარუულ-ჯადოსი. მაშინვე საჰმან-ადამზადი და გარდანქეშანი წავიდნენ თავიანთ ამხანაგებით, წინ გამოუძღვნენ და შემოასხეს. ბაუბაუ-დევი რომ შემოვიდა, შეხედა ნახა რომ არდევან-შაჰა თავისის უცხო ფალევნებით გარიგებით სხედან. მაშინ თავის გუნებაში სთქვა, — თუ ხელმწიფე იყოს სადმე ამისთანა. მერმე შეხედა სააპყირანს და იმ ხუთთა გმირთა ფალევანთა, და ამათზე სთქვა: ჩემი მტერიც ჩავარდნილა თქვენს ხელშიო. მერე ხათუნთა და დედოფალთა დაუწყო ყურება და აგრეთვე სთქვა: ღმერთო ამათთანა ქვეყანაზედ კიდევ ვინმე იქნება! ამათზე მეტი თუ მხოლოდ ესენი არიანო ღვთის გაჩენილნი? როგორც ყოვლის ფრით კარგნი არიან ისე ღმერთი სწყალობთ. მაშინ ფალევანნი წინ მოეგებნენ და სალამი ჰკადრეს, ბაუბაუმა ფალევანნი მოიკითხა, მერე ეს უშველებელი და ძრიელი დევი წინ წადგა და არდევან-შაჰას თაყვანი სცა, ბარუულ და ქუჩუკს მძიმედ თავი დაუკრა, შემდეგ იმ ხუთთა ფალევანთაც და დედოფლებსაც მძიმედ თავი დაუკრა და არდევან-შაჰის ხელმწიფობა შეაქო. აგრეთვე ამის სარდლები შავი-დევი, არჯავ-დევი, ხაზარან-დევი და საყანჩუნ-დევი მოვიდნენ, ხელმწიფეს და სააბყირანს მუხლთა აკოცეს, დედოფალთა და ფალევანთა თავი დაუკრეს გაბრუნდნენ და ერთ ადგილას დადგნენ. მაშინ საჰმანი წადგა წინ და ბაუბაუ-დევი ტახტზე გადიწვია და იმისი სარდლები იმის ქვემოთ ხარიგებით დასხა. მაშინ უცხო სუფრა მოიღეს და დიდი მეჯლისი გამართეს და კარგათ შეექცნენ. რა ღვინის სმას მორჩნენ, მაშინ ყველანი თავთავისად მოსსვენებლად წავიდნენ.

რა დილა გუთენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თავის ოქროს ფერი სხივები ქვეყანას მოჰფინა: მაშინ ყველანიც აიშალნენ და გამოვიდნენ და ყველანი არდევან-შაჰის კარს შეიყარნენ. მაშინ გარდანქეშანი შევიდა და მოახსენა: ხელმწიფევ შვიდის იყლიმისა! ერან-თურანისა და ინდოეთის სარდალთა და ფალევანთა, თქვენი თაყვანის ცემა სურთო. სააპყირანი ქუ-

ჩუკიც იმათთან არის. რა არდევან-შაჰამ მოისმინა, მაშინვე წინ მოეგება და დიდის პატივით შეიწვია და ყოველნი მოიკითხა, ქუჩუკს შუბლს აკოცა და ყოველნი თავის შესაფერს ალაგას გადვიდნენ და დასხდნენ. ამ დროს ცოტა რამ მაქარლამა მოიღეს და შეექცნენ და ისიამოვნეს. შემდეგ არდევან-შაჰამ უბრძანა ბაუბაუ-დევს: „დევო და დევთა ხელმწიფევ! ახლა ხომ ხათრიჯამათა ხარ ჩვენი უხილავი ღვთისა! რომ შენისთანა გამოჩენილი და შენის გამოჩენილი სარდლებით ჩვენ დაგვიმონავდი“? ახლა სწორეთ და წმინდის გულით გვითხარ, გწამს ჩვენი შემწე ცისა და ქვეყნის შემოქმედი ღმერთი ჭეშმარიტი, თუ არა? მაშინ ბაუბაუ-დევმა მოახსენა: ხელმწიფევ ხმელეთისავ! თქვენი ჭეშმარიტი ღმერთი, როგორც თქვენა გწამთ, ისეც მე მწამს და მიწამებია. წყეულიმც იყოს რაჯიბ ეშმაკი და იმისი მწამებელიცაო და იმის მიმყოლიცაო. ამას შემდეგ, მე თქვენი და საჰყირანის უკანასკნელი მონა ვიქნებით. წამოდგა და ცალს მუხლზედ დაიჩოქა. მაშინ შავი-დევი, ხაზარან-დევი, არჯავ-დევი და საყანჩუნ-დევიც, წამოდგნენ და იმათაც ცალს მუხლზედ დაიჩოქეს და დიდის და საშინელის ფიცით ირწმუნეს ღვთის განგება და კიდეც მოიქცნენ — და ერთგულობაზედ შეჰფიცეს და მოახსენეს: როგორც საჰმან-აღამზადი და აგრეთვე როგორც ამბირი და ზანგ-დევი გემსახურობენ, ჩვენც ისე ერთგულნი მოსამსახურენი გახლდებით და ამას იქით ნება თქვენია, გნებავთ დაგვხოცეთ, გნებავთ განგვათავისუფლეთ, ჩვენ ჩვენის ხელმწიფით და ამოდენა ლაშქარ-ფალევნებით თქვენი მონა გახლავართ.

ესეთი საქმე ბარუყლ და ყულუნ-ჯადოებმა რომ გაიგონეს, ისინიც მოვიდნენ და თავიანთის ჯადოს ლაშქრით ერთგულობაზედ შეჰფიცეს და საბაოთ ღმერთი იწამეს და ისე დაჩოქილნი იყვნენ, მაშინ თვით ქუჩუკი ადგა და ბაუბაუ-დევს ხელი მოჰკიდა და ააყენა; აგრეთვე შავ-დევს, ხაზარან-დევს, არჯავ-დევს და საყანჩუნ-დევს, ესენი ყველანი მივიდნენ და არდევან-შაჰის კალთას აკოცეს და საჰყირანს ქუჩუკს მდაბლად თავი დაუკრეს. მერმე უკუ იქცნენ და სხვათა ნაქებთა ფალევანთა მდაბლად თავი დაუკრეს, და მიესალმნენ, თაყვანი სცეს და დედოფალთა ძირ მიწას დამხობით თაყვანი სცეს და ხელთ აკოცეს. აგრეთვე ბარუყლ და ყულუნ-ჯადომ. მერმე მიიწვიეს და ყველანი თავთავიანთ ტახტებზედ და სკამებზედ დასხდნენ და სუფრა გაშალეს, დიდი ლხინი გარდაიხადეს. რა ლხინს მორჩნენ, მაშინ არდევან-შაჰამ საჰმანს უბრძანა: ჯარები მოამზადეო, რომ ხვალ უნდა ავიყარნეთო და თეთრი-დევის საქმეც უნდა გავათავოთო. მერე ყველანი ჩვენს ქვეყნებში წავიდეთო. მაშინვე საჰმანი ბრძანების მორჩილი, ყოველივე ბრძანება აღასრულა და სახვალიოთ ყველანი მოემზადნენ. იმ ღამეს იქ განი-

სვენეს, რა დილა გათენდა, მაშინ საჭმანი შემოვიდა და მოახსენა: შარიჟლო! თქვენი ყოველივე ბრძანება აღსრულდა და ნება თქვენი იყოსო.

არდევან-შაჰმა მაშინვე აურა ბრძანა, და ჯარებიც მაშინვე აიყარნენ და დასტა-დასტად გაეწყვნენ და ისე გაუდგნენ გზას. შემდეგ ხელმწიფე და დედოფალიც აიყარნენ თავის ამალით და თეთრი-დევისაკენ და ფარვანისაკენ გამოსწიეს, მხიარულებით და შექცევით, ლაპარაკით მიდიოდნენ. იმ ადგილს მიაწიეს სადაც წყეული ნისკალ-ჯადო, წინად რომ ქუჩუკს ქალათ მოეჩვენა და უნდოდა მოეტყუებინა, ამ ამბავს ქალებს უამბობდა და ხელმწიფეებს და ბაყბაყ-დევსა და იმის ამალას. როგორც მოხდარიყო, სადაც იმ ადგილას, სამი მარმარილოს ამართული სვეტი დაანახვა, იქ მივიდნენ ნახეს რომ ერთ მარმარილოს სვეტზედ ქუჩუკის სახე იყო გამოკვეთილი და მეორეზედ ნისკალ-ჯადოსი და მესამეზედ თავის სამსურ ცხენისა. რა ყველამ გაშინჯეს დიდათ გაუკვირდათ მეტადრე ჯადოებსა და სთქვეს: გვგონია რომ ფარვან-დევსაც დიდათ გაუჭირდეს, ნისკალ-ჯადოსთანა და სანგურ-ჯადოსთანა მეთილისმის შეპყრობა. ნეტარ საამყირანო თქვენ ვით შეიპყარით და დიდი ქება შეასხეს. მერე გულიჯანს უთხრა ქუჩუკმა: იმ დევთა მოსაგონათ, იცი ჩემო გულიჯან, მაშინ ნისკალ-ჯადო შენისთანა ლამაზ ქალათ მომეჩვენა, შენი სახით დამზგავსებული, ხელებ შეკრული, მაგრამ ჩვენი საბაოთ ღმერთი დამეხმარა იმ დროს და ორივე დავიმორჩილე. მაშინ დევთა სთქვეს, ვერც ჯადო დააკლებს ამათ კვარს რასმეს, ვერცარა დევნი და ადამიანნი. ჩვენ საუკუნოთ ამათი მონა ვიყვნეთ. ქალებსა და ყოველ ფალევანთა ძრიელ უკვირდათ, ქუჩუკისაგან იმათი შეპყრობა! იმ ღამეს იქ განისვენეს, რა დილა გათენდა აიყარნენ და იმ ადგილს მიაღწიეს სადაც რომ ზინდარ-ჯადო ქალების სახედ მოეჩვენა და კინაღამ აცდინა. იქაც ყოველივე უამბო და დიდი ქება შეასხეს ქუჩუკს. იქიდამაც წამოვიდნენ და სადაც აფთარ-ზანგი და ამბირ-დევი დაიმორჩილა, ჯადონი და თილისმანი დაარღვია, იქ მივიდნენ, იქაც ერთი ღამე განისვენეს და უცხო მეჯლისი გარდაიხადეს, სამ დღემდის იქიდამ აღარსად წავიდნენ და თავისი სამსურ ცხენის მოქმედებას და მათუზ კოჭლი-დევის ერთგულობას უამბობდა. და რა ორი დღე შესრულდა, მაშინ აფთარ-ჯადო ფარვანთან გაგზავნა და თითონ დიდს ლხინს შეექცეოდნენ და მეორე დღეს ლაშქარნი და ფალევანნი სანადიროთ დაიფანტნენ და ეს ხუთნი გმირნიც ცალს მხარეს და ორი სამი დღე ნადირობას შეექცნენ და შემდეგ მოვიდნენ. მრავალი დახოცილი ნადირი მოიტანეს, ცეცხლი დააგზნეს და მოამზადეს ნანადირევი ყოველი. შემდეგ სუფრა მოიღეს და დიდათ ილხინეს.

## ესენი ამ მექცევაში დაუტეოთ და, აფთარ-ჯადოსი, ფარვან-დევისა და თეთრი-დევის ამბავი მოისხსენიეთ.

რა აფთარ-ჯადო მივიდა ფარვან-დევთან, ხელმწიფისა და სააპეირანის მისვლა მოახსენა: ფარვანს ეს ამბავი დიდათ იამა და მაშინვე ქალაქი კარგა მოართვევინა და რამოდენსამე ადაჯს სულ დიბა-ზარი და სტავრა დააფენინა. და მოვიდნენ იქაურნი მოქალაქენი და გამორჩენილნი პირნი წინ მისაგებებლათ და თეთრ-დევსაც აცნობეს. ისიც თავის სარდალ-ფალევნებით წინ წავიდა და დიდის უოფით მიეგებნენ. უნდა მოგახსენოთ მკითხველო, რომ ისეთ სიმაგრით ჰქონდა გამაგრებული ციხე-ქალაქი, თეთრ-დევსა რომ — თუ სააპეირანისა და იმის გმირ ფალევნების შიში და რიდი არ უოფილიყო და თავის ნებით დამორჩილება, დიდძალი ჯარი მოუნდებოდათ რამდონიმე ხანი იმის ციხე-ქალაქის აღებას. მაგრამ ღვთის სიყვარულის ძალამ მოსდრიკა თეთრი-დევი.

იმ გვარათ მორთო ქალაქი რომ არა სახელმწიფოში არა უოფილა ისეთი მორთულობა, თუ მშვენიერებით თუ გაწყობილობით. შემდეგ თეთრი-დევი წამოვიდა თავისის სარდალ-ფალევნებით.

აქედამაც არდევან-შაჰა აიყარა თავის ამალით, იარეს ორი დღე, მაგრამ საკვირველი თილისმები იხილეს ქურუკისაგან დარღვეული, რომელნიც თვით ის დიდნი ჯადონი ბარუხ და უოლუნ-ჯადო, ძრიელ ჰკვირობდნენ და აგრეთვე მეფეებიც კი, და ამბობდნენ სად უსწავლიათ ქურუკს ამოდენა გრძნეულთა დასამხობელი ლოცვებიო! რომ ამისთანა თილისმები დაურღვევიაო! მერე ახირ-ჯადოსაგან შექმნილი თილისმები ნახეს და დიდათ უკვირდათ და ახირ-ჯადოს ხელოვნებაც ძრიელ შეაქეს. თუმცა ფარვან-დევს დიდი ქება შეასხეს ამისთანა ძნელი მანქანების დარღვევისათვის, მაგრამ ამისთანა თილისმები ფარვანისათვის არაფერი გასაჭირი არ იყო. ამისთანა მანქანების დამარღვეველი და მცოდნე დედამიწის ზურგზედ არ დაიბადებოდა.

## ახლა თეთრი-დევის ამბავი მოისხსენიეთ.

იმ დროს თეთრმა-დევმა ზეცას შეხედა ნახა რომ საშინელი ჯარები მოდიან ისე რომ ჰაერი სულ დაუბნელებიათ. ამანაც იარა და დიდ მეიდნის თავს დადგა. ისინიც რა ჰაერიდამ ჩამოხდნენ დიდის უოფით წამოვიდნენ და წინ საჭმანი და გარდანქეშანი მოუძღოდნენ თავიანთ ნაჯახებით, ისეთი ცქვიტათ მოვიდოდნენ რომ თავიანთ სითვიცხით, ციდამ ვარსკვლავს

ჩამოიღებდნენ, ამათ შემდეგ ხუთნი გმირნი ფალევანნი, ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ნარიმანი, ყაირანი და ბარამჯიბილი მოდიოდნენ, ამათ უკან საპუირანი ქუჩუკი, თავის სამსურ ცხენზედ მჯდომი, კაცს რომ შეეხედნა ამას იტყოდა, ნეტარ ღმერთო ამისთანა მშვენიერი კიდევ დაიბადება ქვეყანაზედაო. თავის შუბებიანი ჯაჭვი ეცო და მშვენივრათ მოვიდოდა მრისხანის სახით. შემდეგ ქუჩუკის ბანოვანნი და მათი ჯარი მოვიდოდა, ისე რომ ქვეყანა განათლებინათ. შემდეგ ხელმწიფე არდევან-შაჰი შვიდის იქლიმის მპყრობელი და დიდოფალი შაჰნაზდუხტი თავისი შვიდ კუთხიანი ტახტი თავს ედგა და დიდის ამბით მობრძანდებოდნენ. ამ დროს ფარვან-დევიც მოვიდა და ფალევანთა თავი დაუკრა მიესალმა და წინ გამოუძღვა. შემდეგ ერთ უცხო მწვანოვან ადგილს ჩამოხდა და ერთმანერთს კარვები გამოაბეს და იქ დადგნენ. შემდეგ ხელმწიფე არდევან შაჰის კარვები გამართეს და მრავალკეცი სადაფარდები შემოახვიეს. მობრძანდნენ მეფენი და ჩამოხდნენ ყველანი თავთავის განწესებულ ადაგას დასხდნენ. მერე არდევან-შაჰი მობრძანდა და მიეგებნენ. დიდის ყოფით შეიყვანეს; ავიდა და თავის განწესებულ ტახტზედ დაბრძანდა. მაშინ ფალევნებიც გარიგებით შემოვიდნენ და თავიანთ ადაგას დასხდნენ. მერეთ ხათუმნი მობრძანდნენ. რა ყოველივე გაარიგეს, იმ დროს ფარვან-დევიც შევიდა და ხელმწიფეს პირ მიწა გაერთებით თაყვანი სცა და საპუირანს ხელთა აკოცა, ფალევანთა და ხათუმთა მძიმედ თავი დაუკრა. გამობრუნდა ხელმწიფე დალოცა და რაც რომ თავს გადახდოდა ან თეთრი-დევისაგან გაეგონა, ყოველივე მოახსენა წვრილად. შემდეგ არდევან-შაჰმა ჰკითხა თეთრი-დევი როგორ არისო ან ამ ჟამად სად იმყოფება? ფარვანმა მოახსენა: ხელმწიფეო ისიც თქვენკენ გიახლათო მოსაგებებლად. მაგრამ მეტად მშვენივრად აქვს მორთული, ქალაქი და ბაზარი, იმასთან სასახლეც. ისე რომ იმის მორთულობას კაცის გონება ვერ მისწვდებაო. იმასთან ასეთი სიმაგრეები აქვს გაკეთებული რომ მთელი ქვეყნის ხელმწიფეები, დევნი, ჯინნი, ქაჯნი და ფერიანი რომ ზედ მოადგნენ, იმ ქალაქის აღებას ვერ შესძლებენ. როგორც ეტყობა წინათ ომი სდომებია თქვენთან, იმიტომაც ამისთანა სიმაგრეები გაუწყვია. მერე ეშმაკი რომ მოსჩვენებია და სხვა და სხვა რიგათ ულაპარაკნია, იმ დროს ღვთის ძალა მოხმარებია და ეშმაკი გაუგდია, დიდი ლოდი უსროლია და შიგ კისერში მოუხვედრებია და ღვთის სიყვარულიც მაშინ მისცემია და ამიტომ მაშინ აუღია ხელი. თუმცა ჩვენ საპუირანს და გმირთა ფალევანთა არაფერი გაუჭირდებოდათ მაგრამ დიდხანს ვეწვალებოდით და დიდძალი ჯარებიც გაგვიწყდებოდა. როდესაც ქსე მოიხსენია თეთრი-დევის ხელოვნება, აქო და უბრძანა, თვითონ სად არისო? აგი წელან მოახსენე: თქვენ წინ მოსაგე-

ბებლად მოვაო. ამ დროს შეხედეს ნახეს რომ, დიდძალი ჯარი გამოჩნდა
მომავალი, სულ თეთრი ტანისამოსით შემოსილნი და ყველას ხელში თეთ-
რი კელეპტრები ეჭირათ და ისე მოდიოდნენ. და თითო თეფშიც თვალ-
მარგალიტი, იაგუნდი, ზურმუხტი, ოქრო და ვერცხლი.

მაშინ არდევან-შაჰას მოახსენეს: ხელმწიფევო შვილის იელიმისავ! თეთ-
რი-დევი გიახლათო. მაშინვე შავ-დევსა, ხაზარან-დევს, არჯავ-დევსა და სა-
ყანჩუნ-დევს, აგრეთვე ზორაბ-დევს უბრძანა წინ მიგებება, მათთან საჰმანო
და გარდანქეშანიც მიეგება. რომლესაც საჰმანმა და გარდანქეშანმა ნახეს იმი-
სი ჯარები დიდათ მოიწონეს და სთქვეს: მართლა უცხო და ჭკვიანი დევი
ყოფილაო. ახლოს რომ მივიდნენ, მდაბლად თავი დაუკრეს და წინ გამო-
უძღვნენ და დიდის ყოფით შემოიყვანეს. მაშინ ხელმწიფე არდევან-შაჰამ
და ქუჩუკმა, ღვთის სიყვარული რომ შეატყეს, დიდი პატივი სცეს. შემ-
დეგ სხვა ფალევანნიც მიეგებნენ: ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ნარიმანი, ყა-
თრანი და ბარამჯიბილიც. თვითონ ხელმწიფე და საპყირანიც, კარებთან
დახვდნენ. თეთრმა დევმა რომ შეხედა ამ ხუთთა გმირთა ფალევანთა სთქვა
თავის გულში: გმადლობ შენ ღმერთო! რომ შენი სიყვარული ჩემს გულ-
შია ყოველთვის დანერგილი. კარგი რომ მე ამათთან არაფერი წყენა და
ომი არ მოვახდინეო, თორემ ესენი მე ერთის დაკვრით მიწასთან გამას-
წორებდნენო. მაშინვე ხუთთა დევთა უბრძანა, რომ მსწრაფლ მოსულიყვნენ
და ამ ხუთთავეს ხუთი თეფში თვალ-მარგალიტი გადაეყარათ, ფალევნების-
თვის თავზე. ამ დევებმა მაშინვე აასრულეს თეთრი-დევის ბრძანება და თავს
გადააყარეს. შემდეგ თეთრი-დევი მოვიდა და მიესალმა, მოახსენა: ფალე-
ვანნო, ხელმწიფე-არდევან-შაჰი და მთელი ხმელეთის საპყირანი სადა ბრძან-
დებიანო? ხომ მშვიდობით იმყოფებიან არდევან-შაჰი ხელმწიფე და საპ-
ყირანი ქუჩუკი? მაშინ ფალევანთა მადლობა უძღვნეს, თვალ-მარგალიტის თავ-
ზედ გადაყრისათვის და საპყირანის მშვიდობისათვის უთხრეს: საბაოთ ღვთის
მადლით კარგათ ბრძანდებიან, ხელმწიფე არდევან-შაჰიც და საპყირანიცაო.
გაუძღვნენ წინ და კარავში შეიყვანეს. რა შევიდა კარავში ნახა რომ ხელ-
მწიფე მზესავით გაბრწყინვებული ზის და შვიდკუთხიანი თაჯი თავსა ხუ-
რავს და გვერდით ერთი უცხო ყრმა ფალევანი ვინმე უდგას, ისეთი მრის-
ხანე სახით რომ იმის შეხედვას შვიდ თავიანი ვეშაპი ვერ გაუძლებდა მათ
შინვე მივიდა და ხელმწიფეს ფეხთა აკოცა. ხელმწიფემ ხელი სტაცა და
ზევით აზიდა და პირს აკოცა, მერე საპყირანს მოეხვია და შუბლს აკოცა,
გამობრუნდა და თავის დევებს ანიშნა, მოიტანეს სინებით თვალი და მარ-
გალიტი გარდააყარეს და უკან გაბრუნდნენ. ხელმწიფემ დიდი მადლობა
უბრძანა და სახეზედ რომ შეხედა, მაშინვე სთქვეს: ესრო გორი დევიაო?

ისეთი ნათელი ედგა პირზედ რომ მეტი არ შეიძლებოდა. მაშინ მარჯვენა მხარეს გადიხედა თეთრმა დევმა და რა დედოფლები დაინახა, კვალად დევებს ანიშნა, მრავალი ოქრო და ზურმუხტი შემოატანინა და თავის ხელით ქალებს თავს გადააყარა, შემდეგ მივიდა სარვიხურამანს და სხვათა დედოფლებს ხელზედ აკოცა, გამობრუნდა და დაჯდომას რომ აპირებდა, ბაუბაუ-დევი დაინახა, მივიდა და მუხლთა აკოცა და მრავალი თვალ-მარგალიტი იმასაც თავს გადააყარა, გამობრუნდა და არდევან-შაჰის ხელმწიფობა შეაქო.

შემდეგ თეთრი-დევი გადაიწვიეს და შავი-დევის ზემოთ დასვეს. მაშინ ხელმწიფემ მოიკითხა, როგორ ბრძანდებით? ამოდენა ჯარები რომ შენა გყოლია და ჯადონი, აგრეთვე ამოდენა სიმაგრეები, მთელი დედამიწის და ხმელეთის ხელმწიფეები რომ მოგდგომოდნენ მაინც ვერ შეიძლებდნენ თქვენ სიმაგრეების აღებას. და მიკვირს ფარვან-დევი როგორ შემოუშვით.

მაშინ თეთრმა-დევმა გაიცინა და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ! ფარვან-დევის წინააღმდეგობა მე არ შემეძლო, იმიტომ რომ ფარვანმა ისეთი ხელოვნება იცის, რომ მოუნდომებინა ამ ქალაქს და ციხეს ერთის ლოცვით ზღვაში გადააგდებდა. და აბა მე ამის წინააღმდეგობას როგორ შევძლებდი. მეორეც ესა რომ ფარვან-დევმა, თავის ხელოვნების გარდა თქვენი დიდებულებისა და ქუჩუკ-უარამანის ჯარები და ძალა თან მოჰყვა. თქვენმა ძალამ რომ ბაუბაუ-დევი შეიპყრო და იმის გმირი ფალევნები, მაშასადამე მე სად შემეძლო თქვენი ან ფარვანის წინააღმდეგობა. მესამეც ესა რომ ისეთი ღვთის მლოცავნი ბრძანებულხართ რომ ძრიელ ძნელია თქვენი წინ აღდგომა. მეოთხეც ესა რომ, როდესაც თქვენთან დავას ვაპირებდი სამთავისისაკენ, მაშინ ასეთ ფიქრში ჩავარდი რომ რათ მოვინდომე თქვენი წინააღმდეგობა. შემდეგ ის ქვეყნის მაცდური ეშმაკიც, უმაწვილურის სახით მეჩვენა, იმ თვალზედ ვნახე რომ მინდოდა დამეჭირა და შუაზედ გამეგლიჯა, მაგრამ ეშმაკს როგორ დავიჭერდი, იმ დროიდამ ჩამესახა საბაოთ ღვთის სიყვარული. ამ დროს ხელი უკან წავიღე და ერთი ლოდი ვიგდე ხელში, ვესროდე იმ წყეულს და კისერში მოვდე, ამაზედ სამჯერ ყირაზედ გადატრიალდა და უჩინო იქმნა. რაც რომ გადახედოდა ამ თეთრ დევს, როგორც ზევით მოგახსენეთ, ყოველივე ხელმწიფე არდევან-შაჰას, სააპუირანს და ფალევან დედოფლებს მოახსენა. აგრეთვე როგორც ღვთის სიყვარული ჩანერგოდა გულში, ყოველივე წვრილად მოახსენა. და შემდეგ ყოველ ჩემს ქვეშევრდომს ოთხას ათას დევთა ჯარსა და ამასთან ორას ათას ჯადოთ ლაშქარს ყველას საბაოთ ღმერთი ვაწამებინე და ახლა თქვენს მაღალს და ძრიელს ხელმწიფობას ვიახელ, თუ ჩემს ერთ მუჭა სისხლს მაპატიებთ კარგი იქნება,—და მე თქვენი მლოცველი წავალ ჩემს ქვეყანაში.

და თუ არა ნება თქვენი აღსრულდეს. ამ დროს არდევან-შაჰამ დიდი მადლობა უბრძანა და შემდეგ უთხრა: თეთრო-დევო, შენ ასეთი ჭკვიანი და ბრძენი ყოფილხარ რომ არამც თუ შენზე გავრისხდე, ანუ მოგაკვლევინო. არამედ შენ ხელმწიფობის ღირსიცა ხარ. საჰმანს უბრძანა და ერთი დეური გვირგვინი მოატანინა და თავის ხელით თავს დახურა. და ოქროს ქსოვილის სახელმწიფო ტანისამოსით შემოსა. თავის გვერდით ერთი ტახტი მოადებინა და ზედ დასო. რამდონიმე დევთა ქვეყნები საჩუქრათ უბოძა. როდესაც ამისმა მხლებელებმა დევთა და ჯინთა, ამისი დიდკაცობა ნახეს, მაშინ ყოველნი ადგნენ და თეთრ-დევს თაყვანი სცეს და დიდი პატივი მისცეს. ორ დღეს იქ შეექცნენ და შემდეგ თეთრმა-დევმა სთხოვა, ხელმწიფეო და სააპყირანო! კეთილ ინებეთ და ჩემ სასახლეში მობრძანდითო, ამათაც ინებეს წასვლა: მაშინ თვითონ წინ წაუძღვა და წაიყვანა, რა მივიდნენ ნახეს რომ მთელი ქალაქის ერნი სულ იქ მოსულიყვნენ და გზების პირად იდგნენ ჩარიგებით და ყველას ხელში სასუნებელი ვარდის წყლები და მუშკით და ამბირით, საკმეველით აკმევდნენ. რამდონი ხელთ ოქროს ჯოხიანები მოაგება და სულ დიბა და სტავრას ფეხთა უფენდნენ და ამისთანა ლაზათით სასახლეში შეიყვანეს. ისეთი მორთულობით იყო ქალაქი შემკობილი ისე რომ კაცი თვალს ვერ გაუმართავდა. შემდეგ ერთი ოქროს ტახტი მოადებინა, ხელმწიფისთვის და დედოფლისთვის დაადგმევინა. აგრეთვე იმის გვერდით მეორე დაადგმევინა ალმასით მოჭედილი ტახტი უცხოთ მორთული, სალვიხურამანისთვის, უსნიარასთვის, გულჩინისთვის და რუიზანისათვის, აგრეთვე გულიჯანისათვის და თითო ასეთი გვირგვინი დაედო იმავ ტახტზედ ამ ბახოვანთათვის, რომელსაც ფასი არ შეეგდებოდა. მარცხნივ მხარეს საპყირანისათვის ასეთი სააპყირანობის სკამი დაედგა რომ თვით უშანგსაც კი გაუკვირდებოდა რომ ცოცხალი ყოფილიყო. და იმ ხუთთა გამოჩენილ ფალევანთათვის და საკუთრად ქუჩუკისათვის უცხო ალმასის გვირგვინი იდო, რომ ფასი არა ჰქონდა. და ისეთი ტანისამოსი იდო იმ ხუთთა ფალევანთათვის თითო ხელი, რომ ერთ ქვეყნის ფასად ღირდა. რა ხელმწიფე შემობრძანდა და ტახტს დახედა, დიდათ გაჰკვირდა! ნახა რომ იმ თავისთვის მომზადებულ ტახტზედ, ორი ასეთი გვირგვინი აწყვია და თაჯები რომ მთელ იქაურობას ანათებდა, ის თაჯ-გვირგვინი ერთი ხელმწიფეს მიართო მეორე დედოფალს. ერთი სიტყვით იმდონი საჩუქარი მოართო რომ თვით უშანგსაც გაუჭირდებოდა. რა საპყირანმა თავზედ გვირგვინი დაიდგა ამას იტყოდით, ციდამ ანგელოზი ჩამოსულაო, აგრეთვე იმ ხუთთა ფალევანთა რომ ტანთ ჩაიცვეს, თვალი ვედარ გაუსწორეს. დედოფლებს რაც სიმშვენიერე ჰქონდათ ერთი ათასათ დამშვენდნენ. ბაუბაუ-დე-

ვის სარდლებსაც მრავალი უბოძა. იქ მყოფნი ჰკვირობდნენ და ამბობდნენ რომ ეს ამოდენა საჩუქარი საიდამ მოატაინათ!

მერე მეჯლისი გამართა და ასეთი მეჯლისი გარდაიხადა რომ თავის დღეში არავის ენახა. რა მეჯლიში გათავდა, ყველა მოსასვენებლად წავიდა და ამათაც განისვენეს: რა დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თავისი სხივები ქვეყანას მოჰფინა, მაშინ სულ ერთად შეიყარნენ და თავ-თავის ალაგას დასხდნენ. ცოტას ხანს შექცნენ ტკბილის მუსაიფით, მერე ადგა თეთრი-დევი და რაც ბაყბაყ-დევისაგან ჩაბარებული ხაზინა ჰქონდა, ყოვლის სალაროს კლიტე-გასაღებები და აგრეთვე თავისი ხაზინის გასაღებები, ყოველივე არდევან-შაჰას მიართო და მოახსენა: ხელმწიფეო ეს სამი გასაღები სამი სახლისაა, ჩემი საკუთარი და ეს ათი გასაღებები ბაყბაყ-დევისაგან მაქვს ჩაბარებული და აქნომამდე ქალაქს რაც რომ ხარჯი ჰქონია შეწერილი, მე არც მითხოვნია, არც მიმიღია და არც თვითონ მოუტანიათ. მაშინვე ამბირ-დევი და ზანგ-დევი დაიბარა და უბრძანა: წადით ახლავ და ხაზინები და ციხე-ქალაქი ჩაიბარეთო. მაშინვე ხელმწიფეს მუხლთა აკოცეს და წავიდნენ. ამათ ყოველივე უკლებრივ ჩაიბარეს, იმათი ტახტი, გვირგვინი, სალაროები და ციხე-ქალაქი. და ამათ დიდი მადლობა გადიხადეს. მერე მივიდნენ და პირმიწაკაერთებით ხელმწიფეს და საჰყირანს მუხლთა აკოცეს, მერე აფთარ-ჯადოს უბრძანა: წადი შენც შენი ქალაქი და ხაზინა მიიღე. აფთარ-ჯადო წავიდა, იქ ბაყბაყ-დევის სარდალი დახვდა და ყოველივე საუნჯე ჩააბარა უკლებრივ. და სარდალი დიდის საჩუქრით გაისტუმრა აფთარ-ჯადომ. მერე მოვიდა ხელმწიფეს და საჰყირანს მუხლთა აკოცა და პირმიწაკაერთებით მადლობა მოახსენა. რა ეს სახელმწიფო ქალაქები, მთა, ბარი, წყალი და ტყენი დაინახეს ამ ხუთთა გმირთა, დიდათ მოიწონეს. აგრეთვე დედოფლებსაც მოსწონდათ რომ ყოვლისფრით შემკობილი იყო. რაც წინათ ყოფილიყო, რაც არა თეთრ-დევს დაემშვენებინა უკეთესად, ისე რომ ინდოეთშიაც არ მოიპოვებოდა იმისთანა ქალაქები და საბატონოები. შემდეგ მეჯლიში გამართეს და უცხოთ შექცნენ.

რა მეჯლიში გათავდა, ბაყბაყ-დევს ჰკითხა არდევან-შაჰამ, შენი გულის წადილი რაღა არის მითხარ რომ აგისრულო, შენი ქვეყანა რომელი მხარეა. მაშინ ბაყბაყ-დევმა მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ, ოკიანის ზღვაში სამი დიდი ქალაქი მაქვს, ისეთი რომ არა სახელმწიფოში არ მოიპოვება იმისთანა, ყველაფრით შემკობილი, იმის გარდა ხმელეთზედ ოკიანის კუნძულზედ ოთხი ქალაქიც იქა მაქვს—და ყოველ ქალაქში ხუთასი ათასი კომლი დევნი სახლობენ, თითოს ქალაქიდამ ორასი ათასი თუმანი შემოსავალი მაქვს. არდევან-შაჰამ ბრძანა: ახლა შენ საბატონოში გსურს

წასვლა თუ სხვაგან!? ბაუბაუმა მოახსენა: ხელმწიფეო, რადგანაც თქვენ ამოდენა მოწყალება მოიღეთ ჩემზედ და სიკვდილიც მაპატიეთ, მეორე თქვენს წმიდა რჯულს თაყვანი მაცემინეთ. ახლა ამასა გთხოვთ რომ ოთხი ან ხუთი თვის ნება მიბოძოთ, წავიდე ჩემი სარდლებით და ყოველ ჩემს საბატონოში, საბაოთ ღმერთი ვაწამებინო და იქაურობა მოვაწესრიგო, შემდეგ თქვენთან დავბრუნდე და როგორც მიბრძანებთ ისე მოვიქცევი. მაშინ ნება მისცა და უბრძანა, სამი თვის ნება მომიციაო და როცა მოდიოდე, შენი ზღვიდამ ერთი შენი შესაფერი კარგი ლურჯი მარმარილოს ქვა წამოიღე, ან ორი იყოს, რომ ყოველივე შენი ამბავი და სახე უნდა ზედ დავახატვინო. აგრეთვე შავ-დევს უბრძანა და წასვლის ნება მისცა. მაშინვე წინ მოვიდნენ და ხელს აკოცეს და ფალევნებს პირსა. და თავიანთ ჯარებით საჩქაროდ წავიდნენ.

## ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და თეთრი-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

თეთრ-დევს უბრძანა ქურუგ-ყარამანმა, ჰეი დევო! შენი საწადელი რაღა არისო? მაშინ თეთრ-დევმა მოახსენა: საპყირანო, მე რაკი თქვენი წმიდა რჯული მივიღე და ჭეშმარიტი ღმერთი ვიცანი თქვენის შემწეობით. მე თუმცა დიდრონი ქალაქებისა და კუნძულების პატრონი ვარ, მაგრამ მე უთქვენოთ დგომა აღარსად შემიძლიან. მეც ნება მიბოძე წავიდე ჩემი ქვეყნები ვნახო და ყველა მოვაწესრიგო. მერე კვალად თქვენთან გიახლებით. ამასაც ნება მისცა და გაისტუმრა. მაშინ ერთი ჩქარი მოსიარულე ფერიას მოაყვაინა ბარამჯიბილსა და ერთი წიგნი ინდოეთში როვშანბახტს მისწერა და ყოველივე თავისი თავს გარდასავალი და გამარჯვება მისწერა. ესეც დაატანა რომ ჩვენც ჩქარა მოვალთო. მერე მათუზ-დევს უბრძანა, შენც შენს მაღრიბში წადი და უცხოთ მორთე, რომ ჩემის ხალხით უნდა მოვიდე და სამი დღე მაღრიბის ციხეში უნდა ვიყო. რა გამოისტუმრა იმდენი თეთრი მისცა რომ ანგარიში არ შეიგდებოდა. ერთი მალე მოსიარულე ფერიაც უშანგბათში ბურჯ-ვეზირს გაუგზავნა და თავიანთ ამბავი რაც გადახდოდათ ყოველივე დაწვრილებით მისწერა და აცნობა, საბაოთ ღვთის ძალით ჩვენი საქმე კარგათ წავიდა და ჩვენც კარგათა ვართო და მალე გეწვევითო. ეს ფერიაც იქითკენ გაისტუმრა. თითონ დასხდნენ და უცხოთ შეექცნენ, და ამათ მოელოდნენ. მერე არდევან-შაჰა, დედოფლები და ფალევნები წავიდნენ და ის ქალაქების ყოველი ალაგები დაიარეს და დაჩხრიკეს. და დი-

დათაც მოეწონათ. შემდეგ სანადიროთ წავიდნენ და მრავალი ნადირი დახოცეს, მოიტანეს მეჯლისი გამართეს და უცხოთ შეექცნენ. ამ შექცევაში რომ იყვნენ იანგარიშეს ნახეს, რომ ბაუბაუ-დევის თავის ქვეყანაში წასვლიდამ სამ თვეს სამი დღეღა აკლდა და იმის ლოდინში იყვნენ.

## ამათ აქ თავი დავანებოთ და ბაუბაუ-დევთან მოვიდეთ.

Რა ბაუბაუ-დევი თავის სარდალ-ფალევან ჯარით, თავის საბრძანებელში წავიდა, მაშინვე თავის სახელმწიფოში, რაც ხალხნი იყვნენ დიდნი თუ პატარანი ანუ მოხუცნი, სულ შეყარა და თავის დამონავება, არდევან-შაჰისა და ქურუკისა, გამოუცხადა და საბაოთ ღვთის წამება. მაშინ იმათ მოახსენეს: ჩვენო ხელმწიფევ ძრიელ კარგათ გინებებია, ამ ჟამად მაგათთანა ძრიელი ხელმწიფე და ძრიელი ფალევნების პატრონი არავინ არი ქვეყანაზედ და ჭეშმარიტი რჯულიც უჭირავთ და თავიანთ ღმერთიც ხელს უმართავთ, ჩვენი წყეული ეშმაკის მინდობით რა უნდა გამხდარვიყავით ამ სოფელში, რაჯაბ ეშმაკმა ბერ ალაგას შეგვარცხვინა და იმ სოფელში უფრო უარეს დაგვმართავს. ახლა ჩვენ ერთობრივ დიდი მადლობელნი ვართ თქვენნი. მაშინვე ამათ, საბაოთ ღმერთი იწამეს დიდმა თუ პატარამ. შემდეგ როგორც არდევან-შაჰმა დაავალა მარმარილოს სვეტები, ლურჯი და თეთრი მაშინვე მოატანინა. შემდეგ თავის ხაზინა გახსნა არდევან-შაჰისათვის და დედოფლისთვის, მრავალი ფეშქაშები მოამზადებინა, აგრეთვე ქურუკისათვის და იმ ხუთთა გმირთა ფალევან ხელმწიფეებისთვის და დედოფლებისთვის, სალვიხურამანისათვის, უსნიარასთვის, გულჩინისათვის, გულიჯანისათვის და რუიზანისათვის. ერთი სიტყვით, ყოველ სულს ცალ-ცალკე მოუმზადა ფეშქაშები, აგრეთვე ზორაბ-შაჰას, ზორაბ-დევს, საჰმან-ადამზადს, გარდანქეშანს, ამბირ-დევს, ანუაბუზ და ზანგ-დევისათვის. იმოდენა ძღვენი წამოიღო რომ ათას ხვად დევს ძლივას მოჰქონდათ. ამის გარდა საკუთრივ თითო ალმასით მოჭედილი, ასეთი ტახტები წამოიღეს იმ ხუთთა დედოფალ ქალთათვის რომ ფასი არ დაედებოდა. ერთი იმ გვარი კარგი ტახტიც საჩუქრათ არდევან-შაჰის დედოფლისთვის თავის გვირგვინით და დიდის ყოფით წამოვიდა. ბარგის მზიდავ დევების გარდა, ორასი ათასი დევიც თან ახლდა. ამათთან შავი-დევი, ხაზარან-დევი, არჯავ-დევი და საყანჩუნ-დევი, დიდის ფეშქაშებით წამოვიდნენ, ასე რომ როდესაც სამი თვე შესრულდა ბაუბაუ-დევი მოვიდა თავის სარდლებით და ამალით. მაშინ არდევან-შაჰას მოახსენეს, ბაუბაუ-დევის მოსვლა, მაშინვე მოუმზადნენ წინ მისაგებებლად. ქურუკი და ხუთნი ფალევანნი, აგრეთვე სხვა სარ-

დლებიც და ერთს საათის სავალ გზაზედ წინ მიეგებნენ და ქალაქში შემოიყვანეს. რა ბაუბაუ-დევმა ქუჩუკი დაინახა და იმასთან ყოვლიჰანი, ხოსროვშირი, ნარიმანი, ყათრანი და ბარამჯიბილი, მივიდა წინ და ყველას მიესალმა და დაგვიანებისათვის ბოდიში მოითხოვა.

შემდეგ მოვიდნენ, შავი დევი, ხაზარან, არჯავ და საყანჩუნ: ქუჩუკს და სხვა ფალევანთა მიესალმნენ; რა სალმობას მორჩნენ მაშინვე ხელმწიფისაკენ წამოვიდნენ და ხელმწიფეს მოახსენეს: ბაუბაუ-დევი და სააპყირანი გიახლნენო მაშინვე კარებთან მოეგება. რა ბაუბაუ-დევმა არდევან-შაჰი წინ მიგებებული ნახა, პირქვე დაემხო და მუხლთ საკოცნელათ წარდგა, მაგრამ არდევან-შაჰმა არ ინება და პირს აკოცა, ამ დროს ბაუბაუ-დევმა ერთი სინი იაგუნდი გადააყარა თავს. აგრეთვე შავი-დევი, საყანჩუნ-დევი, ხაზარანი და არჯავ-დევი, შემოვიდნენ და მუხლთა აკოცეს. ამ დროს ხელმწიფე არდევან-შაჰამ უბრძანა: მშვიდობა თქვენი მოსვლაო. ბაუბაუ-დევს ხელი მოჰკიდა და თავის ალაგს გადაიწვია და დასვა. აგრეთვე ყოველნი ფალევანნი თავთავის განწესებულ ალაგს დასხდნენ, შემდეგ ქალები მობრძანდნენ სალვიხურამანი, უსნიარა, გულიჯანი, გულჩინ და რუიზანი. ყოველნი თავთავიანთ ალაგას დასხდნენ. მერე ადგნენ და ბაუბაუ-დევს მშვიდობით მოსვლა მიულოცეს და ხელზედ აკოცეს, აგრეთვე ბაუბაუ-დევის სარდლები მოიკითხეს და იმათაც თაყვანი სცეს. მერე შემოვიდნენ ბარუულ და უულუნ ჯადონიც, ამათაც თავიანთ საბრძანებელში გინც რომ იყვნენ ყველასთვის საბაოთ ღმერთი ეწამებინათ და ესენიც ეს იყო რომ დიდის ფეშქაშებით მოვიდნენ და ხელმწიფესთან შევიდნენ. მაშინ არდევან-შაჰამ მეჯლისის გამართვა ბრძანა და უცხო მეჯლისი გარდაიხადეს და დიდ მხიარულებას მიეცნენ და შეექცნენ. ამ დროს ბაუბაუ-დევი წარმოდგა და თავის დევებს ანიშნა რომ არდევან-შაჰისთვის და იმის დედოფლისთვის შაჰნაზდუხტისათვის მოტანილი ალმასის ტახტები მოერთოთ, რომელსაც ფასი არ დაედებოდა. აგრეთვე ორიც ალმასით მოჭედილი გვირგვინი, შვიდ კუთხიანი, ისეთი რამ იყო რომ მნახავნი გაჰკვირდებოდნენ და მიართვა. მერე დაიჩოქა და ხელმწიფეს თაყვანი სცა და ბოდიში მოიხადა. მაშინ ხელმწიფემ დიდი მადლობა გადუხადა. მერე გაბრუნდა და სააპყირან ქუჩუკს, ერთი ბრილიანტით და ალმასით შეჭედილი ხმალი მიართვა. თუ არ თილიყამყამი თორემ იმას სხვა არა ხმალი არა სჯობდა, ასეთი მკვეთელობა ჰქონდა რომ ყაფის მთისათვის რომ დაეკრა შუა გაჰკვეთავდა, ამასთან ათი სალაროს გასაღებები მიართო სადაც სულ თვალ-მარგალიტი იყო. და დიდის ბოდიშით გამობრუნდა და იმ ხუთთა ფალევანთაც თითო საუკეთესო ხმალი. მხოლოდ ქუჩუკის ხმალთან კი არ მოვიდოდა. ხუთი სალაროს გასაღები (ხაზინისა), მიართვა.

და ამათთანაც ბოდიში მოიხადა და პირებს დაჰკოცნა, გამობრუნდა და მერე ბანოვანთან მივიდა, დაიჩოქა სალვიხურამანის, უსნიარას, გულიჯანის, გულჩინის და რუიზანის წინაშე და იმ გვარად მორჩილობით მიართვა თითო ჯავაირით და შიგ ოქრო და იაგუნდით ნარევი ძვირფასი ტახტი დათან თითო გვირგვინი და თითოც დაუფასებელი ყელის ბარდული, და საკუთრათ რუიზანს ერთი ხმალი რომელიც ქურუკის ხმალს უდრიდა და დიდი ქება შეასხა იმის მამაცობას.

მერე ფალევანთა და სარდალთა, აგრეთვე ჯართა, იმოდენა მისცა რომ წაღება არ შეეძლოთ. რა ფეშქაშებისაგან მოიცალეს მერე დასხდნენ და დიდი ლხინი გარდაიხადეს. მერმე შავმა-დევმა, ხაზარანმა, არჯავმა და საყანჩუნ-დევმა მოართვეს ხელმწიფეს და დედოფალს, სააპუირანს, ყოვლიბანს, ხოსროვშირს, ნარიმანს, ყათრანს და ბარამჯიბილს. აგრეთვე დედოფალთა იმოდენა ძღვენი მოართვეს რომ ყელამდისინ აავსეს და შემდეგ დიდი ნადიმი დაიდვეს და უცხო ლხინი გადაიხადეს, შემდეგ ადგნენ გამოვიდნენ და ბაუბაუ-დევის მოტანილი მარმარილოს სვეტები გაშინჯეს და დიდი ქება მოახსენეს. მაშინვე ოსტატები დაიბარეს და უბრძანა, ამ ერთ ქვაზედ ბაუბაუ-დევის სახე გამოჰკვეთეთო და გვერდზედ ჩემიო, მეორეს სვეტზედ, არდევან-შაჰი თავის დედოფლითა, მესამეზე ქურუკისა და სამსურ ცხენისა და თავის საყვარელ გულიჯანისა. კვალად ხუთი მარმარილოს ქვა მოატანინა, ერთი ყოვლიბანისთვის, მეორე ხოსროვშირისთვის და გულჩინისთვის. მესამე ნარიმანისთვის და უსნიარისთვის. მეოთხე რუიზანისთვის. ესენი ყოველივე თავთავის ქვებზედ ამოაქანდაკებინა, მეხუთე ყათრან და ბარამჯიბილისთვის. შემდეგ ხუთიც სხვა მოატანინა, კვალად სალვიხურამანისათვის, რუიზანისათვის, უსნიარასთვის, გულჩინ და გულიჯანისათვის. და ერთი მარმარილოს ქვაც ზორაბ-შაჰისათვის. ზედ წარწერით შემოკლებით, თავიანთი ამბავი რაც რომ ბაუბაუ-დევთან გარდახდოდა ზედ დააწერინა. წაიღეს და ერთ გამოჩენილ ალაგას სადაც ზარბაქ-დევის სახე იყო ძველად აღმართული იმასთან დააყენეს, ბაუბაუ-დევი თავის სარდლებით და მეორე მხარეს მარჯვნივ, ხელმწიფე არდევან-შაჰა თავის დედოფლით. მესამე გვერდზედ, ქურუკ-ყარამანი და ის ხუთნი გმირ-ფალევანნი და მერე ბანოვანნი. რა ესე გაასწყეს, შემდეგ თეთრ-დევს დაუწყეს ლოდინი, ვიდრე ეს თეთრი დევი მოვიდოდა, ვიდრე ამათ საშინაოთ თავიანთი სამზადისი დაიწყეს, დასხდნენ და უცხოთ შეექცნენ, იცინოდნენ ხუმრობდნენ მხიარულობდნენ და ჭიდაობდნენ. ყარხბას ესროდნენ, მშვილდაობდნენ ჯირითობდნენ. ამაში გავიდა რამდონიმე ხანი და თეთრი დევის მოსვლის ამბავიც მოუვიდათ. მაშინვე ყველანი წინ მიეგებნენ და დიდის ყოფით შე-

მოიყვანეს თეთრი-დევი. როდესაც ერთმანერთის სალმობა გაათავეს, თეთრ-დევს იმოდენა საჩუქრები მოუტანა ყველასთვის რომ კაცს ანგარიშიც კი გაუძნელდებოდა, თუ ხელმწიფისთვის თუ დედოფლისათვის, ყველასთვის ცალ-ცალკე. დედოფლისთვის ერთი ასეთი ყელზედ ჩამოსაკიდები ქვა მოართო ზურმუხტისაგან გამოჭრილი, რომ თითო მარცვალი მტრედის კვერცხის ოდენა იყო, ასე რომ ფასი არ შეეგდებოდა. აგრეთვე ქუჩუკს, ყოვლიბანს, ხოსროვშირს, ნარიმანს, ყათრანს და ბარამჯიბილს, ყველასთვის ცალ-ცალკე.

აგრეთვე დედოფლებისთვის: სარვიხურამანისთვის, უსნიარასთვის, გულიჯანისთვის და რუიზანისათვის. ასე რომ ერთი მეორეზედ მეტ-ნაკლები არ იყო, რომ ერთმანერთში გულის კლება არ მომხდარიყო, შემდეგ ზორაბ-შაჰს, ზორაბ-დევსა, საჰმან-ადამზადს, გარდანქეშანს, საჰმანის ამხანაგებს, თერთმეტ დევს, ასიმს და შიროვანჯას, ამბირს, ანყაბუზ და ზანგ დევს და სხვათა მრავალთა, ყოველნი მოიმადრიელა და დიდი მადლობაც მოახსენა. შემდეგ დასხდნენ და უცხოთ შექცნენ. მთელი ერთი წელიწადი სულ ერთად იყვნენ და ვინც იმ გარემოში გარდახვეწილნი იყვნენ, ან დამალულნი, თუ ფალევანნი ანუ დევნი ანუ ჯინნი ყოველივე მოვიდნენ. ვისაც ქუჩუკის მძლავრობა სმენოდა და თავის ხელმწიფიანად ღვთის მოყვარულობა გაეგონათ, აგრეთვე ბაუბაყ-დევისა და თეთრი-დევის დამორჩილებაც სმენოდათ და თავიანთ ქვეყნების ხალხის საბაოთ ღვთის მსახურება. მაშინვე ყოვლის მხრიდამ მოვიდნენ, იმდენი სხვა და სხვა რჯულნი მოვიდნენ რომ ერთმანერთის ენა და ლაპარაკი არ გაეგებოდათ. ამათ ყოველმა საბაოთ ღმერთი იწამეს და ერთობრივ დიდის ხმით ყვიროდნენ, ადიდოს ღმერთმა არდევან-შაჰის ხელმწიფობა! და ვისურვებთ ქუჩუკ-ყარამანის დღეგრძელობას და თვით თავიანთთვის იმედათ და პატრონათ აღვიარებდნენ და ლოცავდნენ. აგრეთვე ლოცავდნენ იმ ხუთთა გმირთა ფალევნებს და ხელმწიფეებს: ყოვლიბანსა, ხოსროვშირსა, ნარიმანსა, ყათრანსა და ბარამჯიბილს. ამათთან დედოფლებს. დიდი ყვირილი შეიქმნა.

შემდეგ როცა ყოველმა მიიღო საბაოთ ღვთის რჯული, დასხდნენ და უცხო მეჯლიში გამართეს. იმ დროს ამ საქმის მნახავი ფაშკუნჯი დიდათ გაკვირვებული იყო, რომ რამდონი უცხო ქვეყნის ხალხი შეიძინა ქუჩუკმა, ასე რომ ამ ფრინველთა ხელმწიფემ, სიმრუღმა არ იცოდა თუ ქვეყანაზედ არსებობენ სადმე ამ გვარნი ხალხნი. როდესაც ლხინიდამ მოიცალეს: მაშინ ქუჩუკმა ამბირ-დევი და ათთარ-ზანგი დაიბარა და უბრძანა რომ ეს თქვენი ქალაქები ამას იქით რიგიანათ უნდა შეინახოთ. ასე რომ უსამართლობა არა მოხდეს რაო და ღვთის სიყვარული განუშორებლივ გქონდესთო. აგ-

რეთვე აფთარ-ზანგს უბრძანა: შენც შენს ქალაქს და საბატონოებს რიგია-ნათ უნდა მოუაროვო და უსამართლობა არასოდეს არ ჩაიდინოვო, თორემ ვერ მომრჩებიო.

ქუჩუკმა უბრძანა მათ, რომ ერთი მარმარილოს ქვა მოეტანათ მხოლოდ თეთრი, რა მოიტანეს, იმაზედაც თეთრი-დევის ვითარება გამოაკვეთინა ზედ და იმის სახე. ესეც წაიღეს და ბაუბაუ-დევის გვერდით დადგეს. მაშინ არდევან-შაჰამ და ქუჩუკმა უბრძანეს ბაუბაუ-დევს, დევთა ხელმწიფევ! რაც რომ შენი საკუთარი სახელმწიფოა და ამ შენ სახელმწიფოს მხარეს, რაც დევთა ქვეყნებია, ყოველივე შენთვის გვიბოძებიაო. და ამის გარდა ყაფის მთაში ანუ იმის სიახლოვეს ერთი დიდი ქალაქია ქაჯებისა, ისიც შენთვის გვიბოძებია. ამ პირობით რომ რაც იქ ქაჯნი მკვიდრობენ, ანუ ფერიანი, ანუ ჯადონი და ჯინნი, რომელთაც თავიანთი ხელმწიფე ჰყავთ, იმათ არა დაუშავორა და სხვა მტერიც არ მიაკარო. ასე რომ შენ და ფარვან-დევს და საჰმან-ალამზადს ერთი სიტყვა და ერთი პირი უნდა გქონდეთო. დასავლეთის ყოველივე მხარე თქვენ უნდა გებარებოდეთ და თუ მძლავრი მტერი აღმოგიჩნდეთ ერთმანერთს აცნობეთ, წელი წელს მიეცით და მტერს პასუხი გაეცით. ყოველივე თქვენი საიდუმლო, თქვენ სამთავემ უნდა იცოდეთ. და თქვენი სამის საიდუმლო, შვიდთა იყლიმის ხელმწიფემ არდევან-შაჰამ და მე უნდა ვიცოდეო. ყოველ წელიწადს უნდა სამჯერ შეიყარნეთ ჩემთან და ხელმწიფესთან. ერთი სიტყვით, დასავლეთის მხარეს ზღვა და ხმელეთი სულ თქვენს ხელთ უნდა იყოსო და უსამართლობა არა მოახდინოთ რაო.

რასაკვირველია ამ დროს დაუწერა „რაყამი“ და ხელმწიფემ დაუმტკიცა, ბეჭედი დაასვა და მისცა. შემდეგ თეთრ-დევს უბრძანა: თეთრო-დევო შენი ღვთის სიყვარული რომ გესმის და სიბრძნე, ჭკუა და გონება, ამიტომაც ჩემს საბრძანებელში რაც რომ ქვეყნები მაქვს, დასავლეთის გარდა — აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ხელმწიფობა შენთვის მიბოძებია, ჲსე რომ შენი ბრძანებელი ერთი ღმერთი იქნება, მე და ჩემი სააპყირანი ქუჩუკი უნდა ვიყვნეთ. მხოლოდ ყოველივე შენი საიდუმლო ჩვენთან უნდა იქონიო. დაუმტკიცა ხელმწიფემ და ამასაც მისცა „რაყამი“ და უბრძანა: წელიწადში ერთხელ, ყველა მხარეს ჩემს საბრძანებელს მოივლიდე, გაძლევ ამის სრულ ნებას, შენცა და ბაუბაუ-დევსაც რომ სადაც მე ვიმყოფებოდე და სადაც ხელმწიფენი მყვანან, ამ ხუთთა გმირთა ხელმწიფეების სახელმწიფოს გარდა, ყველას ნახავდეთ და უნდა შემატყობინოთ რომ უსამართლობა არავისა სჭირდეს. ყოველი ჩემი ქვეყნის შემოსავალს შეჰკრეფდე და სადაც ალაგია იქ წარადგენდე.

რა ესეც დასრულდა თეთრ-დევთან, მერე მოუბრუნდა და ბაუბაუ-დევს უთხრა: შენი სარდლებისა შენ იცით, ყველას რიგი და წესი შენ თვითონ მიეცით. მერე ბარუყდ და უულუნ-ჯადოს უბრძანა: ყოველივე თქვენი სამთავრო, თქვენთვისვე მიბოძებია, აგრეთვე ახირ-ჯადოს უთხრა, მხოლოდ თქვენი ხელმწიფე და ბრძანებელი, ფარვან-დევი იქნებაო და რაც გიბრძანოსთ დაუყოვნებლივ უნდა აუსრულოთ და თუ ჯადოს მოქმედება უბრალოთ თქვენგან შემიტყვია, იცოდეთ რომ ქვეყნიდამ აგხოცავთ. აგრეთვე ბარუყდ და უულუნ-ჯადოც, ფარვან-დევის ბრძანების ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ. ესენი ფარვანს ჩააბარა. მაშინ ის ქალაქები, რომელნიც ამბირს და აფთარზანგს უბოძა, იმათაც უბრძანა, როგორც ადრე საჭმანისა და ფარვან-დევისა მინდობილნი იყავით, ახლაც ისე იქმნებითო. იმ დღესაც უცხო ლხინი გარდაიხადეს და შექცნენ. მერე ამბირ და ზანგ-დევმა თავიანთ სალაროდან, მრავალი ხაზინა მიართო, ხელმწიფეს, სააჰყირანს და იმ ხუთთა გმირთა ხელმწიფეთა, აგრეთვე დედოფალთა და სარდალ-ფალევანთა და ჯართა, მრავალი საჩუქარი მისცეს. ამაზედ დიდი მადლობა უბრძანა ქუჩუკმა და არდევან-შაჭამ, შემდეგ უთხრა: თქვენ იცით როგორც აქაურობას გაუფრთხილდებით და თუ მტერი გაგიჩნდეთ და თქვენ ვერ შეგეძლოთ მათი პასუხის გება, მაშინ თქვენ ვისაც აბარიხართ იმათ აცნობეთ და აგრეთვე ჩვენცა.

რა ამათ საქმეც გაათავა, მაშინ გარდანქეშანს და საჭმანს უბრძანა: სახვალიოთ ჯარები მოამზადეთ რომ აიყარნენ. და ყოველთა სარდალთაც გამოუცხადეთ. მაშინვე ბრძანების მორჩილნი ყოველივე აღასრულეს. შემდეგ ქუჩუკმა უბრძანა: ბაუბაუ-დევო და დევთა ხელმწიფევ! ჩვენ ყველანი, შვიდის იყლიმის ხელმწიფეს არდევან-შაჭას უნდა ვიახლოთ თავის სახელმწიფოში და ვიდრე თავის ბედნიერს ტახტს დაბრძანდებოდეს. მაშინ ბაუბაუ-დევმა თავის დიდრონ პირებით საშინლათ გაიცინა და მოახსენა: სააჰყირანო თუმცა თქვენ ჩვენი წაყვანაც არ ინებოთ, ჩვენ ძალათ ვიახლებით ჩვენს ხელმწიფეს და ბედნიერს არდევან-შაჭას. იმ ღამეს უცხოთ შექცნენ, რა დილა გათენდა მაშინვე ჯარები დასტა-დასტა გააწყვეს და ყოველნი ფალევანნი თავიანთ ჯარებს გაუძღვნენ. ამ დროს ერთი უცხოთ შემკული ტახტი არდევან-შაჭისთვის და დედოფლისთვის მოიღეს და დასხდნენ ზედ. ერთი ტახტიც ქუჩუკისთვის და გულიჯანისთვის, ერთი ტახტიც სალვიხურაშანისთვის, უსნიარასთვის, გულჩინისთვის და რუიზანისთვის. ესენი ყველანი დასხდნენ ზედ და ერთი დიდი ტახტიც იმ ხუთთა გმირთათვის და სხვანიც ვინც ტახტის ღირსნი იყვნენ, ყველანი დასხდნენ. ფაშკუნჯი ქუჩუკს არა შორდებოდა, ხან ზურგით ატარებდა თვითონ, ხან ტახტით მოვიდოდნენ. გარდანქეშანი თავის ჯარებით წინ წავიდა და მეორე დღეს მად-

რიბში მივიდა. იქიდამაც რაკი როვშან-ბახტს წიგნი მისვლოდა დიდის ყო-
ფით მაღრიბში მოსულიყო და იქ ელოდებოდა. რა გარდანქეშანი მივიდა,
როვშან-ბახტს მოახსენეს, გარდანქეშანის მისვლა, როვშან-ბახტი მაშინვე
კარში გამოეგება, რა გარდანქეშანმა, ასიმმა და შიროვანჯამ, როვშან-ბახტი
დაინახეს, მაშინვე პირი მიწას გაერთებით თაყვანი სცეს, შემდეგ წინ მიე-
გებნენ და მუხლთ უნდა ეკოცნათ, მაგრამ როვშანმა არ ინება, ააყენა და
პირს აკოცა, ასიმმა და შიროვანჯამ კი მუხლთ აკოცეს, როვშანმაც სიყვა-
რულით მოიკითხა და შინ შევიდნენ დასხდნენ და უცხოთ იმუსაიფეს. როვ-
შანმა იქაური ამბავი ჰკითხა, გარდანქეშანი ფეხზედ წარმოსდგა და რაც
მომხდარიყო ბაყბაყ-დევთან ყოველივე სრულებით მოახსენა: მერე თეთრი-
დევის ამბავი მოახსენა: როვშან-ბახტმა რომ ესე გაიგო დიდათ გაუკვირდა.

## აქ როვშან-ბახტი კითხვაში დაუტეოთ და მოვიდეთ ქუ-ჩუკ-ყარამანთან.

რა ქუჩუკი აიყარა და მაღრიბისაკენ დიდის ყოფით წამოვიდნენ,
ზღვაში თუ ხმელეთში ბევრი უცხო სანახავები ნახეს, მაგრამ ამ გზაზედ
ძრიელ სიფრთხილით მოდიოდნენ. მტრისა ეშინოდათ რომ არავინ არ და-
ხვედროდათ და გზა არ შეეკრათ. რამდონიმე დღე იარეს და მაღრიბს
მიუახლოვდნენ და ერთ მანძილზედ ჩამოხდნენ და კოჭლ მათუზ-დევს აც-
ნობეს თავიანთი მოსვლა, რადგანაც მაღრიბის მებატონე, მათუზ-დევი იყო.
მაშინვე ორმოცი ათასის კაცით და დიდძალი სარდლებით წინ წამოვიდა,
მისაგებებლად და როვშან-ბახტის ინდოეთიდამ წამოსვლა კი არ იცოდნენ.
მაშინ როვშან-ბახტიც თავისის ასი ათასი ლაშქრით წინ წამოვიდა მისაგე-
ბებლად და ცოტა მოშორებით მათუზ-დევზედ უკან იარა. როდესაც კოჭ-
ლი-დევი ხელმწიფეებსა და სააპყირანს დაუახლოვდა, მაშინ ჭაერით ძირს
ჩამოვიდა და გარდანქეშანს მოახსენეს, ხელოვანთა თავო! მაღრიბიდამ მცი-
რე ჯარი გიახლათო და უკანაც დიდი ჯარი მოჩანსო, არ ვიცი მტერნი
არიან თუ მოყვარენი, ამ დროს საჭმანმა შეხედა და იცნო რომ კოჭლი-დე-
ვი იყო და იმისი ლაშქარი, მაგრამ უკან მომავალი ჯარისა კი ვერ იცნეს,
იმ დროს კოჭლი-დევი კარავის სიახლოვეს მოვიდა, მაშინვე საჭმანსა და
გარდანქეშანს მიესალმა და მაშინ ჰკითხეს ჰუკან ის დიდი ჯარი რომ მო-
ჩანს ვისიაო?! მაშინ მოახსენა მათუზ-დევმა, ის ინდოეთის ხელმწიფის
როვშან-ბახტის ჯარიაო და თვითონ მობრძანდება, არდევან-შაჰისა და ქუ-
ჩუკის მისაგებებლად. გარდანქეშანი მაშინვე შევიდა და მათუზ-დევის მო-

სვლა. არდევან-შაჰას და საპურან ქუჩუკს მოახსენა—და უკანაც ინდოეთის ხელმწიფე როშან-ბახტი ბრძანდებაო თავის ლაშქარ-ფალავნებით ძრიელ სისწრაფით მოვა, ეტყობა რომ მოჰგონებია თავის სატრფო და სულთა-საყვარელი რუიზან-დედოფალი. ამაზე მრავალი იცინეს და რუიზანმა უბრძანა, გარდანქეშანო! მაშ შენისთანა უჭკვირო ხომ არ არის რომ ერთხელ შენს ცოლს არ მოიკითხავ მკვდარია თუ ცოცხალი! გარდანქეშანმა მოახსენა: ჩემი კეკლუცთა ხელმწიფავ და ინდოეთის ხელმწიფევ! შენსავით კეკლუცი და სილამაზით სრული რომ იყოს ჩემი ცოლი, ერთ წამსაც არ მოვშორდებოდი და არც დავივიწყებდი. ამ სიტყვებზე ხელმწიფეებმა ბევრი იცინეს და გარდანქეშანს ქება დაუწყეს. რა ესეთი სასიამოვნო ამბავი ესე იგი როშან-ბახტის მობრძანება მოახსენდათ, მაშინვე აიშალნენ, მაგრამ რუიზანმა ამათ აღარ მოუცადა, მაშინვე ერთ ალმასის ტახტს დაბრძანდა და ფერიებს უბრძანა აწევა, ასწიეს და მსწრაფად წაიღეს სადაც როშან-ბახტი იყო ჩამომხტარი. რა ერთმანერთს შეხედეს მაშინვე იცნეს, მაშინვე იმის დიდებულნი გამოექანნენ და რუიზან-დედოფალს მუხლთ აკოცეს და მშვიდობით მობრძანება მიულოცეს. მაშინვე როშან-ბახტს მოახსენეს: ხელმწიფევ! ჩვენი ინდოეთის უფასო დედოფალი რუიზანი მობრძანდაო, რა ესე შეიტყო, მაშინვე ამ ამბის მომტანს ასეთი ხალათი უბოძა, რომ ერთის წლის შემოსავლათ ღირდა და მაშინვე კარში გამოეგება, რა ერთმანერთი დაინახეს ელვასავით მკლავები გაშალეს და ერთმანერთს მოეხვივნენ და დიდხანს გარდახვეულნი იყვნენ. მერე რა ბევრი ლოშნისაგან მოიცალეს, მერე დასხდნენ და ერთმანერთის თავს გარდასავალი ერთმანეთს უამბეს, შემდეგ რუიზანი უკან აღარ დაბრუნდა და მოახსენა: ხელმწიფეო, მე ინდოეთში წავალო და თქვენ ხელმწიფესა და საპურანს მიეგებეთო. რა ის იქით გაისტუმრა, თითონ ჩქარის სიარულით ინდოეთში მივიდა. რა მოქალაქეთა და ვეზირთა, რუიზანი მოახლოვებული იხილეს და იცნეს, მაშინვე წინ მიეგებნენ და პირ მიწას დამხობით თაყვანი სცეს და ამანაც მოიკითხა, რა მიბრძანდა და თავის ტახტს დაბრძანდა, მაშინ ნაზირ-ვეზირთა უბრძანა, ქალაქის მშვენივრათ მორთვა. ნაზირ-ვეზირთა ბრძანება აღასრულეს, შემდეგ რუიზანმა ქალაქი დაიარა ნახა, თუმცა უცხოთ იყო მორთული და მოკაზმული, თითონაც უკეთესათ გააწყო. შემდეგ სასახლე იმ ნაირათ მოამზადა რომ კაცს არ შეეძლო თვალი გაემართა. მაშინვე ერთი უცხო ტახტი მოადებინა არდევან-შაჰისთვის და დედოფლისათვის, ერთი ტახტიც თავის ძმა ქუჩუკისათვის და გულიჯარისთვის. შემდეგ ერთი ტახტიც ხოსროვშირისთვის და გულჩინისთვის. ერთი ტახტიც თავის დედმამისთვის, ნარიმან და უსნიარასთვის. გვერდით ასეთი ჯიღა და გვირგვი-

ნები დაუწყო რომ არა სახელმწიფოში არ მოიპოებოდა, აგრეთვე სარვიხურამანისთვის, ყოვლიბანისთვის, ყათრან და ბარამჯიბილისთვის. მეორეს მხარეს ბაუბაუ დევისთვის, თეთრი-დევისთვის და იმათ ფალევან-სარდლებისთვის და ფაშკუნჯისთვის, ფარვან-დევისთვის, ერთი სიტყვით ვინც ტახტის ღირსნი იყვნენ ყოველს ტახტები დაუდგეს და ფალევანთათვის უცხო სკამები გაამწკრივეს. მაშინ ორიც ასეთი დევური გვირგვინები დაუწყო რომ ფასი არ დაედებოდა, აგრეთვე ზორაბ-შაჰისათვის ძვირფასი ტახტი დაადგმევინა და ერთი უცხო ძვირფასი გვირგვინიც დაზდო. რა ეს გაათავა, შემდეგ საჩუქრები მოამზადა, ამასთან ორპირი უცხო ზარ-ფარჩა გააშლევინა, ვიდრე თავის სასახლიდამ გარეთ ქალაქს ბოლომდინ. მერეთ სასახლის მოსამსახურენი მშვენივრათ დაართვევინა, ყოველს ხელში ვარდის წყალი მისცა და გზები რამდონსამე ალაჯს ისე არწყევევინა და სულ მუშკი და ანბარი დააკმევინა, რა ყოველივე მორჩა, თვითონ ცოტას ხანს მოსვენებას მიეცა.

## აქ ეს მოსვენებაში დაუტეოთ და ხელმწიფეებისა მოიხსენიეთ.

ომ დროს რა როშან-ბახტის მოსვლა შეიტყეს, ყველანი აიშალნენ და როშანს წინ მიეგებნენ. რა ერთად შეიყარნენ, ერთმანერთის მიესალმნენ და დიდხანს გარდახვეულნი იყვნენ, შემდეგ როშან-ბახტი შევიდა ხელმწიფე არდევან-შაჰსთან და ლელოფალ შაჰნაზდუხტთან, მდაბლად თავი დაუკრა და ხელთა აკოცა. მერე გამობრუნდა სარვიხურამანს და თავის სიდედრს უსნიარას, გულჩინსა და გულიჯანსაც ხელთა აკოცა და სხვებს პირსა, შემდეგ იმ შვილთა იულიმთა ფალევანთა და ხელმწიფეთა, აგრეთვე იმ ხუთთა გმირთა: ყოვლიბანსა, ხოსროვშირსა, ნარიმანსა, ყათრანსა და ბარამჯიბილსა. მერე ზორაბ-შაჰსა, გარდანქეშანს, ფარვან-დევსა, საჰმანსა, თავის ათერთმეტის დევითა, მერე მივიდა ფაშკუნჯთან და კლანჭზედ შემოეხვია და ფრთაზედ აკოცა — და დიდი მადლობა მოახსენა: მერე იმისაგან გამობრუნდა და ბაუბაუ-დევსა, თეთრ-დევსა, შავ-დევსა, ხაზარან-დევსა, არჯავ-დევსა და ყაუანჩუნ-დევს მიესალმა თავი დაუკრა და მოახსენა: მშვიდობა თქვენი ნახვა, ძრიელნო დევთა ხელმწიფენო და სარდალნო. მაგრამ როცა როშან-ბახტი ბაუბაუ-დევს შეხედავდა შიშით გული უკანკალებდა, აგრეთვე იმის სარდლებს. ამ დროს ბაუბაუ-დევმა შეხედა რომ უცხოთ მორთული სულ ბრილიანტში ჩამჯდარი ზის და თავსა ასეთი ჯიღა ხურავს რომ

მთელს ხუთ სახელმწიფოთ ღირდა და თითონაც ასეთი მშვენიერი იყო რომ ქვეყანას ანათებდა. ამ დროს ბაუბაუ-დევმა ერთი ცის გრგვნასავით ხმა ამოიღო და მოახსენა: სააჰუირანო! ეს მშვენიერი ჭაბუკი უმარწვილი და თვით ხელმწიფე ვინა ბრძანდებაო, ანუ რომლის ქვეყნის ხელმწიფეაო? მაშინ სააჰუირანმა მაღლის ხმით უთხრა: ჵეი დევნო! ეს ჭაბუკი ყმარწვილი ბრძანდება დიდი ხელმწიფის შვილი რაიაზამისა, ინდოეთის ხელმწიფის შვილი და თვით ხელმწიფე როვშან-ბახტი. ჩემი და რუიზანი ამისი დედოფალიაო, მაშინ თეთრი-დევი, ბაუბაუ-დევი და ამათი სარდალ-ფალევან დევები მივიდნენ და თაყვანი სცეს, იმ დროს ბაუბაუ-დევმა მოახსენა: სააჰუირანო, თეთრ-დევს ინდოეთს აბარებდი რომ მტრისაგან არა ევნოსთრათ და რადგანაც რუიზანი ინდოეთის დედოფალი ბრძანებულა ვის ძალუძს, იმისი შიშით რომ ინდოეთში ახლოს გაუაროს. ჭეშმარიტათ ვიტყვი რომ მშვენიერებითაც ერთმანერთის შესაფერნი ყოფილან, მაგრამ იმის ფალევნობაზედ გაკვირვებული ვარ ეხლაც და ამისი კი არ მინახავს.

უნდა მოგახსენოთ სააჰუირანო რომ თქვენს გარდა არავის იმედი არა მაქვს, რომ რუიზანს შეედრებოდეს. ამისთანა ქება რუიზანისა, ქუჩუკსა და ნარიმანს დიდათ იამათ. მაშინ როვშან-ბახტმა მოახსენა: დევთა ხელმწიფევ! იქნება განკებ აქებდეთ, თორემ აქ ასეთი ფალევანნი სხედან რომ იმას ბუზათაც არ ჩააგდებენო. მაშინ ბაუბაუ-დევმა მოახსენა: ჵეი შენ ახალო ხელმწიფევ! მე იმისაგან ასეთი შიშები მიწვნევია რომ ყოველთვის საქებია. ის ასეთი ფალევანი დადგება რომ იქნება მე ვერ მოვესწრო და თქვენ იცოცხლოთ და თუ მოესწროთ ის უეჭველათ საბუირანობას დაიმტკიცებს. იმან რომ მე ერთი ხლმის შემოკვრით სამი მკლავი მამწყვიტა. მერე ჩემი მკლავები რომელიც თითო მკლავი თითო დევს ძლივას მოჰქონდათ. მერე როვშან-ბახტმა იმისთანა ქებისათვის ბაუბაუ-დევს დიდი მადლობა მოახსენა: მერე ყველანი აიშალნენ და მაღრიბს მოვიდნენ. კოჭლმა-დევმა მეჯლიში გამართა და უცხოთ შექცნენ, შემდეგ მეჯლისისა, მათუზ-დევმა დიდის საჩუქრებით და დიდის გამოჩენით ყველანი გაისტუმრა და ინდოეთისაკენ გაემგზავრნენ დიდის ყოფით და შექცევით. ამ ჟამად ქუჩუკმა უბძანა მათუზ-დევს, ბნელეთის ქვეყნამდის რამდენი დღის სავალი იქნებაო?! თუ გახსოვს ჯინები რომ დავხოცე იქნომამდე და ის დიდი ზღვის მხეცი რომ მოვკალ, როვშანი და ჩემი და რუიზანი ტყვეთ რომ ჰყვანდათ.

მაშინ კოჭლმა-დევმა მოახსენა: მეოთხე დღეს უეჭველათ მივალთო. ქუჩუკმა მაშინვე ჰკითხა, იქით უნდა წავიდეთ? ბაბა-ხანის და ქირმან-ხანის და ზურან ხელმწიფის სამყოფშიო? თუ ხელმწიფეებსაც მოეწონებათ ჩემი აზრი, მე მსურს რომ იქ ერთი ქალაქი ავაშენო. მაშინვე ქუჩუკი მივიდა

და არდევან-შაჰს და დიდებულთა ფალევანთა თავის აზრი მოახსენა: ამაზედ დიდათ დაუმადლა და უბრძანა: იმ ბნელეთის კუნძულში წასვლაცა მსურსო, რომ ისიც ვნახო. ქუჩუკს ნება დართვეს ფალევნებმა და დედოფლებმაც. მაშინვე გაიბრუნეს ჯილავი და გასწიეს ყველამ, კოჭლმა მათუზ-დევმა გზა კარგათ იცოდა, იარეს სამი დღე და მეოთხეს დღეს იმ სამთა ხელმწიფის სამყოფში მივიდნენ, ჩამოხდნენ და დაბინავდნენ

სარდლებმა ნება დართვეს და ჯარები სანადიროთ დაიფანტნენ და მრავალი ნადირი დახოცეს და აგრეთვე ზღვის ნიანგნი და თევზი მრავალი ინადირეს მოიღეს, მეჯლიში გამართეს და შექცეოდნენ. ამ დროს ბაუბაუ-დევს, თეთრ-დევს და იმათ ფალევნებს თავისი ამბავი უამბო, როგორც ოხელხან-ჯინმა გადაკარგა და რა წვალება და ტანჯვა განიცადა, ან ამ ალაგას როგორ მოვიდა, ან ის ზღვის ცხოველი როგორ მოკლა, ან ხელმწიფეები როგორ მოატყუა და დევის ორთავა სახელ როგორ შეიცვალა. მეცხრე კარში სწერია ქუჩუკის ამბავი რაც რომ გადახდა დაწვრილებით ყოველივე უამბო. ამის ლაპარაკზე დიდ განკვირვებას მიეცნენ ბაუბაუ და იმის სარდლები.

შემდეგ მოახსენა ქუჩუკმა: ხელმწიფევო შვიდის იყლიმისავ! კვალად მე მსურს რომ აქაც ერთი ქალაქი ავაშენო, თუ თქვენი ნებაც იქნება და ქალაქის პირველ შემოსავალში ერთი დიდი მარმარილოს ქვა უნდა აღვმართო და ზედ დავაწერინო ყოველივე რაც რომ თავს გადამხდა ამ ადგილას. ხელმწიფე არდევან-შაჰამ ნება დართო და უთხრა: დიახ კარგი იქნება და დიდათ მოხარულიცა ვარ.

ამ დროს ადგა თეთრი-დევი და მოახსენა: ხელმწიფევ შვიდის იყლიმისავ და სააპყირანო ხმელეთისაო! გთხოვთ რომ აქ, ქალაქის აშენება მე მამანდოთ. ისეთი ქალაქი ავაშენო რომ არა სახელმწიფოში არ იყოს იმისთანა ქალაქი. და აგრეთვე თავის შესაფერი ციხე ავუგო. ისეთი ციხე რომ მთელი ქვეყანა რომ ზედ მიადგეს ერთი ქვის გამოძრობა ვერ შეიძლონო— და აგრეთვე საიდუმლო გზები იმ რიგათ გაუკეთო, რომ ქუჩუკის მეტმა არა სულიერმა კაცმა არ იცოდესო.

მაშინ ხელმწიფე არდევან-შაჰმა ნება მისცა, თეთრ-დევს და კვალად მოახსენა: ხელმწიფენო! მე აქ ორმოც დღეს დავრჩები და შემდეგ მობრძანდით და ნახეთ, როგორი ქალაქი იქნებაო. ესენი აიყარნენ და ინდოეთისაკენ წავიდნენ, მხოლოდ თეთრი-დევი იქ დადგა და თავის ქვეყანაში ასი ათასი დევი გაგზავნა და თორმეტი მადნის ქვა სხვა და სხვა ფერისა მოატანინა. და ჯერ პირველათ ასეთი ციხე ააგებინა, თილისმებით რომ იმის მიდგომა და აღება შეუძლებელი იყო. მერე მშვენიერი სასმელი

წყლები იპოვნა და გამოიყვანა, შორის მხრიდამ სულ მილებით მოატანინა დევებს და ქაჰრიზებით, ისეთ ნაირათ გააკეთეს რომ თავის დღეში მტერი ვერ მოსწყვეტდა.

როდესაც ციხის საქმეს მორჩა, მერე დიდი ქალაქი გააშენა, როდესაც ესეც მორჩა და ყოვლის ფერი გაუკეთა. შემდეგ მაღრიბში წამოვიდა. ზო-გი იქიდამ და ზოგი სხვა ადგილებიდამ აჰყარა და ორასი ათასი კომლი დააყენა და საქებური ქალაქი შეიქმნა, ისეთი რომ იმისთანა ქალაქი არც ინდოეთში იყო, არც ერან-თურანში. იმ ქალაქს, თვითონ თეთრმა-დევმა „ბედნიერი ქალაქი“ დაარქო. და ქუჩუკის ბედ-იღბალზედ ააშენა.

შემდეგ თავისთვის ისეთი სასახლე გააკეთა და იმისთანა სიმაგრეები მისცა რომ იმ სიმაგრეების აღება არა ვის შეეძლო. მაშინ ორმოცი დღეც შესრულდა და მორჩა კიდეც. მაშინ იმ „ბედნიერ ქალაქიდამ“ ერთი საიდუმ-ლო გზა გააკეთებინა მაღრიბამდე და მაღრიბიდამ ვიდრე ინდოეთამდე და შიგ დიდძალი ხაზინა შეიტანა და იქ დააწყო. ვინიცობა იყო, ჟამთა ვი-თარება, თუმცა მძლავრი მტერი გამოჩენილიყო: ინდოეთი, მაღრიბი და ეს „ბედნიერი ქალაქი“ აეღოთ ანუ წაერთმიათ, მაშინ შეიძლებოდა რომ იმ საიდუმლო გზიდამ სათ მხარესაც მოენდომებინა იქით გავიდოდნენ. აგ-რეთვე ერთი გზაც სამთავისისაკენ გაეკეთებინა მიწაში და ის გზა ყარა-მანია ქალაქში შეიტანა. რა ესეც დასრულდა, მაშინ ინდოეთში მივიდა და მოახსენა არდევან-შაჰს: ხელმწიფევო და სააპყირანო! თქვენი ბრძანება აღ-ვასრულეო და თუ ინებებთ ნახვას მობრძანდით და თქვენი მონის თეთრი-დევისაგან აღშენებული ციხე-ქალაქი ნახეთო.

მაშინ ხელმწიფე არდევან-შაჰა, ქუჩუკი და ყოველნი ფალევანნი წამო-ვიდნენ და რა ბნელეთში მოვიდნენ, შეხედეს ნახეს რომ ისეთი ქვეყანა და ქალაქი აეშენებია თეთრ-დევსა, რომ ასი და ორასი წლის აშენებულსა ჰგვანდა. რა შიგ შევიდნენ, იქაურნი მოქალაქენი წინ მოეგებნენ და მრა-ვალი თვალ-მარგალიტი თავს გადააყარეს და უცხოთ მიიღეს. შემდეგ რო-ცა ციხეც გაშინჯეს დიდათ მოეწონათ. ამ დროს არდევან-შაჰამ და ქუჩუკ-მა, ფარვან-დევს სთხოვეს, ჰეი ფარვან! ერთი ამაგი რამ შენც დასდეო. მაშინ ფარვან-დევმა ისეთი თილისმები დააწყო და გამართა რომ თუ არ ყარამანის ჩამომავლობისას და არდევან-შაჰის თესლისას და ამათის მოყვა-რებისას, სხვას არავის შეეძლო იქ შესვლა. მერე იმ ქალაქის შესაქცევათ, ისეთი ბაღი გააკეთა რომ არას ქვეყანაში არ იყო. მერე საშუალო ქალაქი-სა, ერთ ალაგას ერთი დიდი მინარეთი გააკეთა თილისმით რომ თითქმის იმ მინარეთიდამ მთელი ინდოეთი სჩანდა, უშანგბათის ქალაქი და ყარამა-ნია ქალაქი. ოთხივ კუთხეს დიდროვანი ფანჯრები დაატანა და იმ ფანჯა-

რებიდამ ყოველ მხარეს ხედავდნენ, ესე იგი აღმოსავლეთსა, დასავლეთსა, სამხრეთსა და ჩრდილოეთსა. ამ ოთხ მხარეს ჩიტსაც რომ გაევლო მაშინვე დაინახავდნენ. მაშინ ყარამანმა რომ თავის მამა-პაპის სასაფლაოზედ ბაღი გააკეთა და იქ მინარეთები აღმართა, იმ გვარი მინარეთი აქაც გააკეთა და იმ გვარათ გააწყო. მაშინ რა დაიარეს და ყოველივე ხელოვნება ნახეს, ფარვან-დევს დიდი ქება შეასხეს. ამ დროს ბაუბაყ-დევმა სთქვა: ამის აღება არა ხელმწიფეს არ შეუძლიანო. მაშინ თეთრმა-დევმა თავისი საიდუმლო გზები არდევან-შაჰს, ქუჩუკს, ფარვან-დევს და იმ ხუთთა გმირთა ფალევანთა უამბო და ის ყველაზე უკეთესათ მოიწონეს. მერე მოახსენა: ხელმწიფეო, ვინ იცის დრო და ჟამი როგორი შეიქმნეს და მტერი მოადგეს ამ თქვენს სახელმწიფოს და ამ ჩემ გაკეთებულ „ბედნიერ ქალაქს“. ამისათვის აქედამ გზა გამიყვანია სამთავისში და სამთავისიდამ ქაბულში და ქაბულიდამ უშანგბათში და ინდოეთში, ინდოეთიდამ მაღრიბში.

შემდეგ იმოდენა ხაზინები შემოატანინა რომ მთელს ქვეყნის ხელმწიფეებს არ ექნებოდათ იმოდენა ხაზინა. ამაზედაც დიდათ დაუმადლა და დიდძალი ხაზინები უბოძა. რა ამ საქმიდამაც მოიცალეს, აიყარნენ და ინდოეთში წამოვიდნენ. თეთრმა-დევმა მაშინვე ოსტატები დააყენა და უბრძანა: რაც რამ აკლდესო, ჩემს მოსვლამდის შეასრულეთო. ხელმწიფე თავის ამალით მოვიდნენ ინდოეთში, უცხო მეჯლიში გამართეს და შეექცნენ. იქ რუიზანს ისეთ რიგათ გაეწყო თავის სახელმწიფო რომ თვით უშანგსაც გაუჭირდებოდა. მაშინ ამათ დაჰყვეს ინდოეთში ერთი წელიწადი და უცხო ლხინები გარდაიხადეს მაშინ როშან-ბახტმა ხელმწიფე არდევან-შაჰს და დედოფალს იმოდენა ძღვენი მოართვა რომ ქება აღარ უნდოდა. მერე ყოვლიბანსა, ხოსროვშირსა, ნარიმანსა, ყათრანსა და ბარამჯიბილსა, ზორაბშაჰსა და სხვებსა ყოველსა ცალ-ცალკე დიდძალი ფეშქაშები უბოძა, აგრეთვე დედოფლებსა. ბაუბაყ-დევსა, თეთრ-დევსა და სარდლებსა, შავ-დევსა, ხაზარან-დევსა, არჯავ-დევსა და საყანჩუნ-დევს. იმოდენა უბოძა რომ წაღება არ შეეძლოთ. აგრეთვე ზორაბ-დევსა, ანყაბუზ-დევსა, საჰმანს თავის ათერთმეტ დევსა და სხვათა უმრავლეს ჯართა, იმოდენი უბოძა რომ წაღების თავი აღარა ჰქონდათ. მერე სალვიხურამანს, უსნიარას, გულიჯანს და გულჩინს მიართვა. ყოველივე ისე ავსო რომ იძახდნენ აღარ გვინდაო. გარდანქეშანს, ასიმს, შირფანჯას, სხვათა და სხვათა მრავალს. რადა გავაგრძელოთ, შემდეგ დიდი მადლობა უბრძანეს ხელმწიფემ და სააპყირანმა, როშან-ბახტს. მას შემდეგ ერთი წელიწადი დაჰყვეს იქ, ლხინით და შექცევით, ნადირობით, შვილდისრის სროლით, ბურთაობით, ყაბახის სროლით, ჭიდაობით და დროს გატარებით. ამ ერთ წელიწადს როგორც სურ-

დათ ისე იმხიარულეს. მერე საჭმანს და გარდანქეშანს უბრძანეს, ჯარების მომზადება და ტახტებისა. ბრძანების მორჩილთა მსწრაფლ მოამზადეს. მაშინ მთელი ინდოეთი მოიგლიჯა და მოვიდნენ და იძახდნენ მაღლა ხმით ერთობრივ, ადიდოს ღმერთმა არდევან-შაჰი ჩვენი ხელმწიფე! და გმირი ჩვენი მფარველი და მხსნელი ქუჩუკ-ყარამანი! აგრეთვე ხუთნი ხელმწიფენი და ჩვენი შემწენი და გმირნი ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ნარიმანი, ყათრანი და ბარამჯიბილი. ეს ამოდენა ხალხი ბაყბაყ-დევს გაკვირვებული უყურებდნენ, დამის შიშით გულები უსკდებოდათ და ამბობდნენ, ამოდენა დევის შეპყრობა როგორ მოახერხესო. შემდეგ ხელმწიფენი და ფალევანნი აიყარნენ და უშანგბათისაკენ გასწიეს, ბევრი იარეს თუ ცოტა, უშანგბათს მივიდნენ. რა მიუახლოვდნენ, მაშინვე ბურჯ-ყეზირს თავიანთ მისვლა აცნობეს, ბურჯ-ვეზირმა იმათი მოსვლა რომ შეიტყო, მაშინვე წინ მიეგება დიდის ყოფით. იმ დროს მოვიდა ბურჯ-ვეზირი, როდესაც ისინი გარდომოხტარიყვნენ. რა მეფეთა და ფალევანთა ბურჯ-ვეზირის მოსვლა შეიტყვეს, მაშინვე კარში გამოვიდნენ და მისაგებებლად წამოვიდნენ, ვიდრე ესენი მიეგებებოდნენ, გარდანქეშანი და საჭმანი წინ მიეგებნენ მოიკითხეს ერთმანერთი და ერთმანერთს გარდაეხვივნენ და ლოშიდნენ, მერე ქუჩუკ-ყარამანი მოვიდა, რა ბურჯ-ვეზირმა დაინახა, უნდოდა რომ თაყვანი ეცა, მაგრამ ქუჩუკმა არ ინება, მისწვდა და ყელზედ მოეხვია და როგორც თავის მშობელს ისე ეალერსა და მოიკითხა ქუჩუკმა.

მერე ნარიმანი მოვიდა და დიდხანს ლოშნიდნენ ერთმანერთს, შემდეგ ის ხუთნი გმირნი და გულადნი ყოვლიბანი, ხოსროვშირი, ყათრანი, ბარამჯიბილი და ზორაბ-შაჰი, ესენიც მოვიდნენ მოიკითხეს და მამაშვილურათ პატივი სცეს. რა სალმობას მორჩნენ, შემდეგ არდევან-შაჰის წინ მავიდა, არდევან-შაჰმა ბურჯ-ვეზირი რომ დაინახა, მაშინვე წინ მოეგება და სიყვარულით მოიკითხა მერე გულში ჩაიკრა და დიდხანს მოხვეულნი იყვნენ. შემდეგ ბანოვანნი და ხათუნნი თითო-თითოდ მივიდნენ და ბურჯ-ვეზირს ხელსა ჰკოცნიდნენ. მაშინ ბურჯ-ვეზირმა დიდის კრძალვით მადლობა მოახსენა და დალოცა, ბოლოს შავიდნენ სახლში.

რა სახლში შევიდა ბურჯ-ვეზირი, ბაყბაყ-დევს რომ შეხედა კინაღამ გული გაუსკდა და სთქვა: ოჰ ღმერთო, ეს უშველებელი მთა განა ადამის შვილისაგან შესაძლებელია რომ შეიპყრონ! მაშინვე დაიჩოქა და დიდის გულმხურვალებით, ჯერ ქუჩუკი დალოცა, მერე ღმერთს შევედრა: ჰო, შენ უფალო! ვმადლობ ყოველ ჟამს თქვენს მოწყალებას რომ ესეთი ძრიელება მიგინიჭებია ჩვენს დასაფარავად ქუჩუკ-ყარამანისათვის რომ ამისთანა საშინელი და მძლავრი დევი შეგიპყრობინებიათ, მერე თეთრ-დევს შეხედა და ისე

მიამზგავსა ვით ერთს გორაზედ თოვლი მოსულიყოს, იმ გვარათ ნახა და დიდათ გაუკვირდა, შემდეგ შავ-დევს, ხაზარან-დევს, არჯაგ-დევს და საყანჩუნ-დევს რომ შეხედა სთქვა: ღმერთო ნეტა ამოდენა ცხოველნი სად გაზდილან? ან რა დედამიწა უდგნობსთო, ან რა ფალევანთა გაუძლესო.

ბაუბაუ-დევმა ბურჯ-ვეზირი რომ დაინახა, ამის ვინაობა იკითხა და უთხრეს: ეგ პირველი ვეზირი გახლდათ, უშანგ-შაჰისა, უარამან-უათილისა და ახლა არდევან-შაჰისა. ქუჩუკი ამ ვეზირის გაზრდილიაო. ეგ დიდი ჭკვიანი და ფილოსოფოსია. მაშინ ბაუბაუ-დევი ფეხზე წამოდგა და წინ მიეგება, ბურჯ-ვეზირმა რომ ნახა ეს წყეული, ერთი დიდი მთის მომავლობა ეგონა, თავის სიმძიმისაგან ხუთი მწყრთა დედამიწაში ჩადიოდა, რა მოუახლოვდა ბურჯ-ვეზირს დადგა და მოახსენა: მშვიდობა შენი ნახვა დიდის ხელმწიფისა და შვილის იულიმის სააპყირანის ვეზირო! აგრეთვე თეთრმა-დევმა, შავმა-დევმა, ხაზარან-დევმა და სხვა დევები მიემშვიდობნენ. ბურჯ-ვეზირმა რომ ამ ბილწთაგან ერთიანი ხმა გაიგონა, ცის ქუხილს დაამზგავსა და კინაღამ გადაიქცა შიშით. მერე გული გაიმაგრა და უპასუხა, მშვიდობა თქვენი ნახვა და აქ მობრძანება, დევთა ხელმწიფევ! და სარდალ-ფალევანნო! ბურჯ-ვეზირი წინ მივიდა და ბაუბაუ-დევს ხელზედ აკოცა და სხვათა პირს და ისე გამობრუნდა და ყველანი დასხდნენ. მაგრამ ბურჯ-ვეზირი კიდევ იმათ სიდიდეს ჭკვირობდა და ქებას ასხავდა ქუჩუკსა და გმირთა იმათ შეპყრობაზე. და მადლობასა სწირავდა ღმერთს, რომ ამისთანა ვეშაპები შეაპყრობინა. მაშინ იქ ცოტა რამით დანაყრდნენ და უშანგბათის ქალაქში შევიდნენ. ამათ მაშინვე მოქალაქენი მოეგებნენ და დიდძალი თვალმარგალიტი გადააყარეს თავს, შავიდნენ და დასხდნენ. ამ ჟამათ ასეთი ლხინი გარდაიხადეს რომ თავის დღეში არავის ენახათ იმისთანა ლხინი. შემდეგ ამათ აქ დაჭყვეს ორი სამი წელიწადი და ერთად შეექცეოდნენ ლხინით, თამაშობით, შვილდისარის სროლით ასპარეზობით, ხან ნადირობით, ხან ჭიდაობით. ამ ყოფით და შექცევით სამი წელიწადი დაჭყვეს ერთად, ხან უარამანია ქალაქში წავიდოდნენ, იქაც სალვიხურამანი უმასპინძლებდათ, ხან ქაბულში მივიდოდნენ ნარიმანთან და იქ შეექცეოდნენ.

შემდეგ ინდოეთიდამ გაგზავნა ფარვან-დევთან, ასი ფალევანი დევები, თორმეტი დიდრონი მარმარილოს სვეტების მოსატანად, ვიდრე ესენი მივიდოდნენ, ფარვან-დევს კიდეც დაეთლევინებინა და ბაუბაუ-დევის სახე თავის ხელებით და ფეხებით რაც სახე და აგებულება ჰქონდა, იმ გვარათ დაეხატვინებინა და მარმარილოზე ამოეჭრათ ისე რომ კაცს ეგონებოდა სწორედ ცოცხალიაო. აგრეთვე ქუჩუკის სახე, თავის სამსურ ცხენზედ მჯდომი და ხმალ მოწვდილი და ერთ შემოკვრით რამდონი მკლავი მოეწყვიტა

და ძირს ეყარა და სამსურ ცხენს რქა როგორ ეძგერებინა. მეორე გვერდზედ ყოვლიბან-შირვანი და ხოსროვშირი როგორ შეებნენ და ან ამათ რამდონი მკლავი მოსწყვიტეს, ან რუიზანი და გულიჯანი როგორ მიუხდნენ, ან რა გვარათაც ომი გარდაიხადეს, ყოველივე იმ მარმარილოს ქვაზედ გამოეხატვინებინა, კაცს რომ ენახა მოეწონებოდა. მერე შავი-დევისა ყოვლიბანისაგან დამარცხება. აგრეთვე ხოსროვშირისა და ხაზარან-დევის ომი და დამარცხება. ნარიმანისა და არჟავ-დევის ომი და დამარცხება. ყათრანისა და შაქუტ-დევის ომი და ყათრანისაგან მისი მოკვლა. ბარამჯიბილისაგან საყანჩუნ-დევის ომი და მისი დაჭერა და დამარცხება. ესენი სულ ცალ-ცალკე იყვნენ გამოქანდაკებულნი. ფარვან-დევს წაედო და ზარბაქ-დევი გუდათ რომ იყო ამოდებული იმ სვეტის გვერდზედ დაედგმევინებინა და ყოველი მოქალაქენი მოდიოდნენ და შინჯავდნენ, დიდათაც უკვირდათ. როდესაც ქაბულის ხელმწიფის ნარიმანის მეჯლისი მოიშალა მოსვენებას მიეცნენ. რა დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თავისი ბრწყინვალე ნათელი ქვეყანას მოჰფინა, მაშინვე ადსდგნენ ღმერთი ილოცეს და კარში გამოვიდნენ. მაშინ ბაუბაუ-დევმა ზარბაქ-დევის სახის ნახვა მოინდომა, წავიდნენ და გაშინჯეს ქაბულის მეიდანზედ. რა ბაუბაუმა შეხედა დავის სახეც იქა ნახა და გაჰკვირდა. კარგათ რომ გაშინჯა, ფარვან-დევს ქება შეასხა, ჯერ თავის სახის ისე მიმზგავსება, მეორეც ისე საჩქაროთ გაკეთება. ზარბაქ-დევს დიდი ხანი უცქირეს და ქუჩუკსაც ქება შეასხეს.

მაშინ ბურჯ-ვეზირმაც გაშინჯა ის დახატული, გაბრუნდა და ქუჩუკს ქება შეასხა და შუბლს აკოცა. შემდეგ ყოვლიბანსა და ხოსროვშირსაც ქება შეასხა და დალოცა, აგრეთვე რუიზანი და გულიჯანი. რაღას ვაგრძელებთ იქიდამ წამოვიდნენ და ისევ უშანგბათში მოვიდნენ და იქაც დიდი ლხინი გამართეს. შემდეგ ყოველნი მივიდნენ ხელმწიფე არდევან-შაჰასთან, დაეთხოვნენ შინ წასასვლელად, ხელმწიფემაც ყველას ნება მისცა.

მაშინვე ბაუბაუ-დევი თავის სარდლებით თავის ქვეყნისაკენ წავიდნენ.

ამათ დიდძალი ფეშქაშებით გაისტუმრეს. თეთრი-დევიც თავის ქვეყნისაკენ გაემგზავრა „ბედნიერ ქალაქში“, თავის ლაშქარ-ფალევგხებით. ნარიმანი, ყოვლიბან-შირვანი, ხოსროვშირი, ყათრანი, ბარამჯიბილი, ზორაბ-შაჰი და ფარვან-დევი. სულ ვინ ვინც იყვნენ. ერთ თვეს კიდევ ერთად შეექცეოდნენ. ერთი თვის შემდეგ ფარვან-დევი, საჰმან-ადამზადი, თავის ათერთმეტის ამხანაგით, აგრეთვე ანუაბუზ-დევი, ზორაბ-დევი, ზორაბ-შაჰი ყოველნი ვინც იყვნენ, თავთავის ქვეყნებში წავიდნენ. როდესაც ყოვლიბანი თავის ქვეყანაში მივიდა, ყოველი წარჩინებული მოქალაქე წინ მოეგება, და დიდის დიდებით და პატივით შეიყვანეს. აგრეთვე ყათრანი ქიშმირში

წავიდა, ბარამჯიბილი ფერიისტანში. არდევან-შაჰიც უშანგბათში დარჩა და ხოსროვშირი, ერან-თურანში, როშან-ბახტიც ინდოეთში წავიდა.

ეს გმირნი ხელმწიფენი რომ თავთავის ქვეყნებში მივიდნენ, ყოველ-ნი თავის ქალაქის წარჩინებულნი პირნი წინ მოეგებნენ და დიდის პატი-ვით შეიყვანეს ქალაქში. მაგრამ ურთმანერთოთ კი ვერა სძლებდნენ, თვეში ერთხელ ერთად შეიყრებოდნენ და უცხო დროებას ატარებდნენ. მთელი შვიდი იღლიმის გმირ-ფალავანნი შეიყრებოდნენ, მოვიდოდნენ თეთრ-დევ-თან „ბედნიერ-ქალაქში“ და ლხინობდნენ. ეს ზემოხსენებული დიდებულნი ყოველთვის ერთად იმყოფებოდნენ, ხან ფაშკუნჯს ეწვეოდნენ ბუდეში, ხან ფაშკუნჯი იმათ. და ესე ამ რიგათ სიხარულით ატარებდნენ თავიანთ სი-ცოცხლეს. და ერთმანერთისთვის თავებს გასწირავდნენ ისეთი სიყვარული ჰქონდათ. ამათ მრავალი წლები იცოცხლეს სიამოვნებით და სიხარულით. ამათ ყველას მიეცათ თავიანთ შესაფერი ძენი, ქალ-ყრმანი და სახელმწი-ფოს შესაფერნი. გავიდა დრო და ჟამი, რასაკვირველია სოფლის ჩვეულე-ბისამებრ, ეს ზემოთ ხსენებულნი ხელმწიფენი გარდაიცვალნენ და ამათ შემდეგ ძენი და ასულნი დარჩათ.

## ამათ თავი დავანებოთ და ახლა დაიწყობა დიდი ამბავი.

დიდმა დრომ განვლო, რომ ქუჩუკსა და არდევან-შაჰსა მტერი აღარ გამოუჩნდათ და მშვიდობიან ცხოვრებით იყვნენ, ისე რომ როგორც ზე-ვითა ვსთქვით ერთად შეიყრებოდნენ ეს გმირნი და ფალავანნი, ხან ნა-დირობდნენ, ხან ყაბახს ესროდნენ. როგორც ჰსურდათ ისე შეექცეოდნენ. გავიდა ამაში მრავალი წლები დ ყოვლიბანს მიეცა ერთი მშვენიერი შვი-ლი, რაკი სამის წლისა შესრულდა, მაშინვე ეტყობოდა რომ მამას ემჯო-ბინებოდა, ამ ყმაწვილს სახელად უწოდეს „ბეგზად-შაჰ.“ აგრეთვე ხოს-როვშირსაც მისცა ღმერთმა ვაჟიშვილი, სახელად უწოდეს ,,ხოსროვზად''. რაკი სამისა წლისა შეიქმნა, ამასაც ეტყობოდა რომ უცხო ფალავანი უნდა გამოსულიყო და სულ ყარამანს ამზგავსებდნენ. აგრეთვე ყათრანსა და ბა-რამჯიბილს მისცა ღმერთმა კვალად თითო ვაჟი-შვილი, უცხო სახელმწი-ფო ტახტის შესაფერი ესე ამბავი ხელმწიფე არდევან-შაჰს მოხსენდა და დიდათ ესიამოვნა; საჩქაროდ ქუჩუკი და ნარიმანი დაიბარა, როდესაც მო-ვიდნენ აგრეთვე ბანოვანნი, მაშინვე მეჯლიში ბრძანა არდევან-შაჰმა, უთხრა: სააპუირანნო და დედოფალნო! დღეს მე უცხო ამბავი მსმენია! ყოვლიბანს მისცემია ვაჟი-შვილი და სახელად უწოდებიათ ,,ბეგზად-შაჰ'' და აგრეთ-ვე ხოსროვშირსაც მისცემია ვაჟი-შვილი და იმისთვისაც დაურქმევიათ ,,ხო-სროვზად''. ყათრანის შვილისთვისაც დაურქმევიათ სახელად ,,გორშა-რაპ.'' აგრეთვე ბარამჯიბილის შვილისთვისაც დაურქმევიათ ,,ბარზინ''. ახლა ჩვენ გვმართებს რომ დიდის ფეშქაშებით მოვიკითხოთ და კიდეც მო-ვიწვიოთ! უკეთუ ტახტის შესაფერნი იქნებიან, უცხოთ უნდა გავზარ-დოთ და ჩვენს ბურჯ-ვეზირს უნდა ჩავაბაროთ აღსაზრდელათ.

1880 ~~[illegible]~~ [illegible]

„[illegible] 12 [illegible] 103 [illegible] 1 [illegible]"